



მეფისე წიგნი

თფილისი

დუბელირის (გ. წერეთლის დ აძხ.) სტამბა

1871

ქართული
ბიბლიოთეკა



მკათსე წიგნი

თფილისი

დუბლირის (გ. წერეთლის გამს.) სტამბა

1871



ქართული
ზოგადი მოთხრობა



შეშვლილი ცენზურით. თბილისი, 30 აპრილი 1871 წ.

1871



ქართული
ლიბრარი

მეფთხე წიგნის უინჯარსი.

მელაღუმე, ძველი და ახალი ჯმუბი — ნ. სკანდელისა.

* * (ლექსი) ***-სა

საქართველოს პოლიტიკური

ცხოვრება ძველის-ძველათ . . . გ. გორისკლისა.

მიბაძვა ლენინსადმი ***-სა.

ინგლისზე (დეინესი). . ნათ. ვლ. ნიკოლაძისა.

რა დაუკარგავთ ქალებსა და

რას დაეძებენ ისინი? ს. შესხისა.

ვოლტერის თქმული (ლექსი) ნათ. ალ. ჭავჭავაძისა:

«ვარდის» ხმაზედ. აკ. წერეთლისა.

შინელი (გოგოლისა) ნათ. . . ი. მ — ის.

ორი ლექსი დობროლიუბო-

ვიდამ. ნათ. თომა კარგარეთელისა.

ფ ე ლ ტ ო ნ ი — ფიქრი ლიხის მთაზე ნ. სკან-
დელისა.





მელადუმე

მკელი და ახალი ამბები

ნ. სკანდელისა

ბაღას-ბუღასი უფრო
ხშირათ მდიდარ მიწაზე
ხარობს.

შექსპირი.

I

მე ოცი წლის ახალგაზდა ვიყავი. პირ-უკუღმა
ვიჯექი მე სკამზე, ჩემი მკობრის პაწაწინა ოთახ-
ში—პეტერბურგს, — სკამის ზურგზე ნიკაბ დაბჯე-
ნილი, ჯ ნელ-ნელა მდუღარე ჩაის ვსვამდი, — მა-
რიაძობის თვეში, ახალ ნახადილეკს. ფანჯრიდამ,
ჩემ თვალს წინ, ხევის ნაპირები ჩნდენ, უთვალავი
ტემებით; ოთახში ოთხ თუ ხუთ ნაცნობს ვაღ-
სარებულა ბასი ჭქონდათ გამართული. მაგრამ მე
უღარდელათ, უგრძობულათ ვიჯექი, თითქო მიძი-

ნუბული ან ღრმა ფიქრში გატაცებული: სამი ოთხი
 დღე იყო, რაც ერთ ჯიბეში მე სამზღვარ გარკეთი-
 ლი პანპორტი დამქონდა, ზე მეორეში - ათი თუშ-
 ნის ოქროს ფული; სამიოდე დღის შემდეგ მე პა-
 რიყისკენ უნდა გავმგზავრებულვიყავ...

პარიყისკენ გამგზავრება ვისმე რომ დღეს უთხ-
 რა, ჩაფიქრდება, ვაი თუ თავის წვადი მაჭმონ
 ან მე თვითონ წვადზე უარესათ გამსადონო. მაგ-
 რამ სამოცდა ოთხში პარიყი ზე ევროპა სულ სხვა
 საზრდოს ზე მოძვალს უქადდენ კაცს... ამის გამო
 მეც იმ დღეს გული იმ გვარათ მინტიდა, რომ გარ-
 შემო საგნების ზე ამბების დაკვირვება - ჩემთვის
 შეუძლებელ საქმეთ გადაქცა. რა ხდებოდა ჩემ თვალ-
 წინ, რას ამბობდენ ჩემ გვერდში, რას ფიქრობდენ
 ჩემი მეგობრები, რა მჭიროდა მე თვითონ, რა მე-
 ლოდა, რა არა, - ვერც ამ საგნებზე, ვერც სხვა რა-
 მესე მე დაფიქრებას ვერ ვახერხებდი. ჩემ თავში
 ყოველ დაფიქრების სურვილს, ყოველ აზრს ერთა-
 გრძნობა ჰკლავდა: "ზეგ თუ მასეგ მე ევროპისკენ
 გავსწევ" ზე ეს გრძნობა ისეთ ახალი ხანასავის, ახა-
 ლი შთაბეჭდილების სურვილს ხმრავდა ჩემში, რომ
 მასთან შედარებით, რაც კი მე გარშემო მერტყა,
 ყოველი ფერი სრულიად შეუნიშნავ, უშნო ზე უდიარ-
 ხო საგნათ უნდა ჩამეთვალა.

მართლაც, ბევრ ძვირფასს გრძნობას აუარე მე
 მაშინ გვერდი გულგრილათ, ბევრ შესანიშნავ ვინის
 შევეყარე & გავეყარე, მათი ღირსების დაუფასებლათ.
 ან ვის ქონდა დაფასების, დაკვირვების დრო: ერთას
 მხრით ვერომა მიცდიდა სამზღვარ გარეთ; მეორით,
 ჩემ მკერდში მოუსვენებლათ დასტიდა გული, & ჯიბე-
 ში - ოქროები...

II

მე ვიხეკი ფანჯარასთან, ისე, რომ ოთახისთვის
 & შემოსავალი კარისთვის ზურგი მქონდა შექცეუ-
 ლი. ჩემ გარეშეძო რაღაცაზე სმა მალდა ბაასობ-
 დენ, ისე სმა მალდა, რომ ჩვენებური ასაღვანდან
 გარდა ამ ბაას სსვა ვინმე რომ დასწრებოდა, ვგონებ,
 დაურუკებელიყო; ოთახში სმიანობას კიდნვის გარემოებ
 ადიდებდა, რომ მობაასენი ერთი კუთხიდან მეორა-
 სკენ დასეირნობდენ, & თან ბაასობდენ კიდევ & ჩა-
 ისაც სვამდენ.

ჩემ წინ ფანჯარაზე წამოწოლილი იყო ს-ი, რა-
 მელიც ორი წლას განმავლობაში თითქმის დღე &
 ღამ ამ მდგომარეობაში იყო: წამოწკებოდა ფანჯარა-
 რაზე, თავს გარეთ გაყოფდა, & მე ორე ოთახის
 ფანჯარაზე წამოწოლილს სასლის ჰატრონის ქალს.



ხარხარით ჭ კასკასით ეძუსაიფებოდა. — იმას ხშირათ
 მიუხსლოვდებოდენ სსკა ნაცნობები, ზოგი ხუმრობით
 ზურგზე ტყუას უწყებდა, ზოგი ფეხში ხელს ავლე-
 ბდა ჭ ფანჯრიდან ათრეკდა, ზოგი ლაზღანდარობ-
 და მის ჩვეულებაზე, ზოგი ზურგზე ავდებოდა,
 ერთი სიტყვით, ეს ფანჯარა შესანიშნავი შემთხვე-
 ვების ასპარეზი იყო.

მე არ მასხოვს ვინ ჭ ვინ იყო იმ დღეს ჩვენ
 ოთახში, ან ვინ აწვალებდა იმ სასაღილეკს ფანჯარა-
 ზე წამოწოლილ ს-ს, არც ის მასხოვს, რა საგან-
 ზე ქქონდათ ბაასი დანარჩენ ნაცნობებს, არც ის
 ასე გასინჯეთ!) ვინცაღა მაშინ, თუ რა საგან-
 ზე იყო სჯა. — მე ისიც გაშიკვირდებოდა, რაც
 აქნამდი ვთქვი, ის რამ შთამბეჭდა ტუინში, ამის მი-
 ზეზი ძლიერ კარგათ რომ არ ვინცაღა.

ეს «მიზეზი» ერთი სასაღილეკს ემაწვილი იყო,
 თოთხმეტ-თოთხმეტი წლისა, რომელიც ს-ს გვერ-
 დში ამოჯდომოდა, ფანჯარაზე, მაგრამ ისე, რომ
 ქუჩისკენ ზურგი მიეშვირა, ჭ ოთახისკენ შირი. —
 იმას ეცვა უკალთო ტანსაცმელი (გურტკა) ჭ წმინ-
 და მაუდის შალვაჩი; თავზე, თითქო ქუდი, გიშე-
 რივით შავი დასუსუტებული თმა ედვა; მისი შირის
 სახე შირველივე შესედვით მტკარალის ყურადღებას
 იზიდავდა, რეგარც თავისი მოძრავი ჭ ნიადაგ

წელილი შნოთი, უფრო მეტათ კიდევ მშვენიერი,
 წესლით ჭ გამჭრანობით ანთებული თვალებით.
 ფაწვილი ხემს ასლო იყდა, მაგრამ ასეთ-
 ვიწყებით, ისე თვალ-მოუცილებლათ მშინჯავდა და
 ისეთ ნაირათ აქცევდა უურადლებას ხემ უოთაქცევასე,
 რომ მე ერთი წუთის ვადით ევროზა ჭ შარიჟი
 დავიკიწე, ჭ ხეში მსრით ასაღვასდა ფაწვილს
 უურადლება მივაქციე. მისი პირისასე მე მეტის მე-
 ტათ მომეწონა, თავის მოძრაობით ჭ ასაღვასდო-
 ბით. შუბლზე ჭ თვალეში იმას თითქო ჩაბეჭდილი
 ქონდა აკვირდნ დაყოლილი გამხედობა ჭ შეუ-
 მოკრობა ჭ ფართო სქელი ტუჩი წამისწუმ ისეთ
 დარდიმანდულნაირათ იღიმებდა, თითქო უნდა ეთქვა:
 «შენ ეს საჭმე მხელ რამეთ მიგახნია? მე უკეთესე-
 ბიც ჩამიღენია!»

მე უფრო ჭ უფრო დაკაკვირდი ამ ფაწვილს,
 მერე ისე, რომ თვითონ იმას არც კი ეგონა, თუ
 მე იმაზე უურადლება მქონდა მიქცეული, ჭ რაც უფ-
 რო მეტათ ვაკვირდებოდი მე მის სასეს ჭ მისრა-
 მოსრას, მით უფრო ჭ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ
 ამ ფაწვილის აკვანში ბედს ჩინებული ნიჭი
 უნდა ჩავიწყებოდეს.

ფაწვილი სწავლობდა. ერთ ჰეტეროურგელ შან-
 სიონში, ჭ - როგორც ამბობდენ - ხეირიანათ სწავ-

ლობდა. საქციელით ის საკმაოთ გათამამებული იყო, ჭ ლაშარაკში სსკას უკან არ დაუფარდებოდა. მაგრამ, არც ის გადაჭარბებული სითამამე ჭ ეხადანდაუდგომლობა სჭირდა, რომლითაც ზოგიერთები ასე ხშირათ გვაბეზრებენ თავს ჭ მოთმინებას გვიკაფენ მე ჭ შენ, ჩემო მკითხველო.


III

მე ერთი ახირებუდი, უცნაური ჩვეულება მსჭირს: ვინაც უნდა ვხედავდე ან ვემუხაიფებოდე. ვინზედაც უნდა ვფიქრობდე ან ვსჯიდე, მაშინვე ერთი აუნილებული კითხვა მომდის თავში: რა გამოვა ამ კაცისგან, როგორი იქნება ის ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ.

რადგანც ეს ჩვეულება დიდი ხნისაა, რასაკვირველია, ერთი თვალი მოვაუღე თუ არა ახალგაზდა უმაწვილს, მაშინვე წელანდელი კითხვა მომივიდა აზრში. მე სრულიად არ მენახა ეს უმაწვილი, არც ვინცადი ის ვინი რა იყო, ან სასულათ რა ერქვა. — მე ერთი ნაცნობისთვის მიხდოდა მეკითხა უმაწვილის კითარება, როცა უმაწვილს ერთი დაბალ-დაბალი, მოხქო ჭ მსუქანი ახალგაზდა მიუახლოვდა, მეტიც მეტი ჭკვიანური სახით ჭ ბოხი სმით. ამ

ახალგაზრდას სახელათ შვილდლოვი ერქვა.

- არა, ზოყალუისტა, ერთი მითხარი, რათ გინდა შენ ფული?



ემწვილი გაწითლდა.

- გამიგონე, მითხრა მე შვილდლოვმა, ჯ მხარზე ამსანაგურათ ხელი დამკრა, ერთი ყური დამიგდე: აი ეს სინკო დღეს თავის მასნიონში უნდა ყოფილიყო. მივდივარ მე, გამომეყავს, სასეირნოთ. მასნიონში ათი შაური დროყვის ფულათ მიცეს, დასაბრუნებლათ. განა იქვით დაბრუნება არ შეიძლება? არ სჯობს?

შვილდლოვს კიდევ რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ სინკო თითქო სემსესე იჯდა: ის სან წითლდებოდა, სან ყვითლდებოდა, - მე ვითექრე, ალბათ იმისთვის, რომ ფულესე ლაზარაკი ჩამოგარდა-მეთქი, ჯ მდიდარ ემაწვილებს - როცა ისინი ხეირიან საზოგადოებაში შედიან -- რაღაც ნაირათ რცხვენიათ «ფულის» ხსენება.

- მე ხომ... უარი... დანიყო სინკომ ჯ თან უნებურათ ყილეტის ჭიბეში ხელი ჩაიყო, საიდანაც მალე ორმა ჭრელმა აბაზმა ამოყო თავი.

- ჭო, ემაგრე... მოლოდენე, სინკო, მოლოდენე! რინი დროყვა, - რა საჭიროა! არც განფეტების საჭირო, წელან რომ ამბობდი ამსანაგუმამ მთხროკს

უნდა ვუეიდო.

— მაშ არც ვაპირებთ საჭირო, შენ რომ ვინ
და უიღვას აპირებ!

— ბრავო! წამოაძახე ერთმა ნაცნობმა, დახე ეს
ჩვენი შვილდლოცი რა ჩინებულათ შეგვიტყვიან!
არა, შე წუწყო, რას ჩატივებისარ მაგ უმაწვილს,
რომ მის განიუტებს ვაპირებთო სწევ?

— დაივარე იქით, მოსვენებული გულით თქვა
შვილდლოცმა, ჭ ვაპირების მოსატანათ გავიდა.

სინკო ისევე გაწითლებული ჭ თავის თავზე უკმა-
ყოფილო დარჩა.—რაკი მე მისი სახელი გავიგე,
მაშინვე გავისხენე, რაც უწინ მის ოჯახზე ჭ თვი-
თონ იმაზე გავიხილი ბქონდა, ის იყო ერთი ძლი-
ერ მდიდარი გაჭრის შვილი, პეტერბურგში გამოგ-
ზავნილი სასწავლებლათ.—მამა მისს, სრულიად გა-
უნათლებელ, მაგრამ ძლიერ ჭკვიან ვაჭს, საკმაოთ
ეკრძინო თავის თავზე გაუნათლებლობის ჭ უმეცრე-
ბის ვნება.—«რუსული წერა-კითხვა რომ ჩივიანათ
მცოდნოდ, იმეორებდა: თურმე ის სშირათ, აქნამდი
სუთჯერ ექვსჯერ მილიონური გავსდებოდით. »—მაშ
ის როგორ დაუკავებდა სინკოს განათლებას, რო-
მელხაც სუთჯერ ექვსჯერ შეუძლია მილიონის მო-
გება?—თავისი მხრით არც სინკო იყო ურიგო ბიჭი:
იმახ მხარული, ძლიერ მხარული სასიათი ბქონდა,

სწავლა ედვილებოდა, ცხოვრება იმას შორიდგან
 უცნობა, & ბედი მის გზასე ყოველ ნაირ
 კვლეს თითქო თითო თითოთ აცლებდნ...

«რა გამოვა ამ უძაწვილიდგან? ვეფიქრობდი მე,
 როცა ეს გარემოებები გავისხენე & ხელახლა გავ-
 ვრით სინკო გადა ვათვალერე. — რა ვქნა, ვუპასუხე
 შევე ნემ თავს — თუ სამართალია და მკა, თუ გამოვა რამე,
 ამიდგან უნდა გამოვიდეს: ღმერთს ამინთვის ნიჭი
 არ დაუკლია & შეძლება; სასლგანდობა & სიმრთე-
 ლე ამ ნაირი უნდა, — მაშ თუ სურვილიც დაუვა &
 შრომას შიწვა, რა ჩინებული კაცი უნდა გამოვიდეს
 ამ ძვირფასი მასალეებდან...»

IV

მეორე დღეს მე დამავიწყდა სინკო: ის კი არა, იმ
 დღეს, მგონი ჩემი თავიც დამევიწყნა, ჩემი სასლი
 ზაწაწა ჩემოდნისთვის, რომელშიაც მე მთელი ბარგი
 უნდა ჩამქტია, რაც კი საზღვარ გარეთ მქონდა
 წასალება. — ბევრი უხეირო ნივთები დაუტოვე მე ჩემ
 მოხამსასურეს, ბევრი სხვა — ნაცნობებს, უფრო მე-
 ტი ცეცხლში ჩავწვი, ზოგი ფანჯარაში გადავუარე,
 ზოგი იატაკზე დავაშნიე, — ერთი სიტყვით ბარგი
 დავიმწადე. სხვათა შორის, დავკარგე მე სინკოც



ხსენებატ. — მაგიერათ, ვეროპაში დაუმიძიებელი თავი
 ღ მხატე ხემოდანი შევიტანე, ღ კარგათანც ნუქქინა:
 პირველს, დარი რომ დამდგომოდა, ბუკრ-რინიძე
 შექენა შექდლო, ღ მეორის გადატანა შარიაშიდი,
 მძიძე რომ ყოფილიყო, ჯიბესაც დამიძხატებდა.

ღ რაკი ვეროპაში თავი შეკუპვი, იქ სამ სულ
 ერთიანათ დამაჰვიწყდა სინკო, შვილდლოვი, ს-ი, მისი
 სასლისპატრონას ფუნთრუშა ქალი ღ ყოველი ფერი,
 რაც კი ახალგაზდობაში მსიარულათ მოძუკებოდა ღ
 მიცინოდა...

V

ოთხი წლის შემდეგ. ნოემბრის თვეში, საღამო-
 ხანს, საათის ცხრაზე, მე მარტო-სკლავ დაკიარებოდი
 გრაბენზე, გენაში. ამ ქალაქში სამი ოთხი დღე უნ-
 და დარჩენილვიყავი, დუნაის ცეცხლის გემისთვის
 მოსაცდელათ.

გრაბენი გენის პირველი ქუჩაა, რომელზედაც
 დიდიდანი შუალამედი, გახალეული ღ გამრიალებუ-
 ლი ძალაწიების წინ, გახამებული ღ გასხეტაკებული
 სალხი დასეირნობს. — ამ ქუჩაზე არავინ დაიარებოა:
 რაგინდ საჩქარო საქმე ქონდეს კაცს, რაგინდ გამ-
 წარებულათ მიწობდეს ის სხვა ქუჩებზე, რაკი გრა-

პენსე ფესი შეადგა, უხათუოთ ისეთნაირათ დაიწ-
 უებს სიარულს, რომ გეგონებათ, ვაი, ცრვანქანა
 რება ამ კაცს ცხოვრება, ღ რა გულით უნდა რა
 გორბე დრო დაკარგოს უაზრო ღ უშიზნო სიარულ-
 შიო. განიერ ტროტუარზე ნაზის ტანის რსკვით
 ღ ნემცური, დატვილქული, მოქაჩრული ღიმილით
 დაიარებიან ქალები ღ დიანები, ერთნაირათ მორ-
 თული ღ მოკმაზული, ერთი მეორის მიმხამავნი, ისე,
 რომ თუ ძლიერ გაწვრთნილი თვალი არა გაქვს,
 პატროსან ქალს როსკიანიდგან ვერც კი გამოიციან. —
 დაიარებიან ჯგუფ-ჯგუფათ გამოჯგომული, მამანი
 შესკდულაობის ღ ამაყი სასიათის აფიცრები, — რა-
 მელთაც სიამაყემ სადღვის ბრძოლის ველიდან გა-
 მოქცევა არ დაუშალა, დაიარებიან მოხუცი ღ ახალ-
 გაზდა «სერთუკონსები,» გაბერილის სასით, თით-
 ქო, ესე-ეს არის, მთელი ქვეყნის ბედს ღ უბედობას
 სწუკეტონო, ღ თან კი ჩუმ-ჩუმათ ხეხეშით ღ მიმ-
 წვევი შესკდვით ატარებენ გამკლელ ქალებს... დაუ-
 მატოთ ამას აფიცრების დეზების ღ რკინის სმლების
 რაწვა-რუწვი, ათასი კვიპაყის გრიადი, დაუმატოთ
 კიდევ ამ კვიპაყებში მჯდომი საღსის სუსტი-პირის-
 სასკები: მიბლანდული თვალები, გაციკებული ღ გამ-
 ციკებელი შესკდულება — რომელმაც პირველი ადგი-
 ლი თავდაკაკებას ღ ბუნების ძალდატანებას უჭი-

რავს, ჭ მშინ გრახენი თქვენ თვალ წინ გაქსებათ
გამოსატული...

მეც წანტათ დავდიოდი გრახენზე ჭ გაშვლელ
გამომკლელებს თვალს ვაკლებდი, — ძლიერი გულით
მინდოდა შექენიშნა, სხვა ქალაქებიდან გენა რითი
განირხეოდა, ან მისი მცხოვრებლები სხვა ქალაქ-
ბისას რითი ჩამოგაკდენ ჭ რითი ანა.

ამ დაკვირვებას მე უეცრათ სამმა სიტყვამ მო-
მადილა, რომელიც სმა მადლა წამოიძახა ქართულათ
დაბალ-დაბალმა, შავ თმიანმა ახალგაზრდამ:

— ბიჭო, ბიჭო, რა ღამაზია!..

— იცინის, უპასუხა იმას, აგრეთვე სმა მადლა
ღ ქართულათ, მისმა მსლებულმა, ქერთმიანმა, წვრი-
ლმა ჭ ატუსებულმა ახალგაზრდამ, რომელსაც ტლე-
ქიანი კაცივით თვალები ჭ მკერდი ჩავარდნილი
ქქინდა.

— არიქა, მიშველე!. თქვა აჩქარებით ჰირველმა,
შეორეს ხელი წაავლო ჭ გაქანა ერთი სეირიანათ
ჩანძული დიაცის დასაწყვათ.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე ქართული ენა ჭ
ქართული სიტყვა თითქმის სრულებით არ გამეგო-
ნა. უცხო ქვეყნებში მცხოვრებს ჭ უცხო ცხოვ-
რებაში გართულს, მე, რასაკვირველია, ხემი ენის
სმა აღტაცებით უნდა მომწონებოდა. მართლაც, მე

გულმა აჩქარებით ფეთქა დამიწყო, & მე თვითონ /
 შეუნიშნავათ ფეხს მოუჩქარე, თითქო მეცემ დაწინა
 დაწევას ვაპირებდი.

— უთხარი რამ &... მეტის მეტათ ხმა მალდა
 ეუბნებოდა შავ-შავი ახალგაზდა ქერას.

— ვა, შენ ენა ნათხოვარი გაქვს ეუბნებოდა იმას
 ქერა-უმაწვილი.

— არა, თუ ძმა ხარ, შენ დაიწყო...

— დაიკარგე იქით, მე ნემეცურის ერთი სიტ-
 უვაც არ ვიცი. შენშივი, მე ოხერო, ათას თუ-
 მანსე მეტი დაუსარჯავთ ნემეცურ & ფრანცუზულ
 ენის სასწავლებლათ...

ამ სიტყვებმა ცოტათი გაამხსნევს დაბალ-დაბალი
 შავგვრიძალა. იმან თავი მამაცურათ ორჯერ იქით
 აქეთ გაიქნია, — სწორეთ ისე, როგორც ძველ დრო-
 ში მსედრები შერებოდენ, ძლიერი მტრის შესკედ-
 რას რომ დაუპირებოდენ, ახალგაზდა ქალს დაუ-
 პირდაპირდა, ერთი ორი ჩაასკულა, შერე მარცხენა
 ხელით ქუდი მოიხადა, მარჯვენა ხელი სა-
 ვარცხლის თავზე გადისო შემდგომ ცხვირ-
 ხასოცი ამოიღო & ცხვირი მოიხრცა, თუმცა
 ძლიერ კარგათ ეტყობოდა, რომ ცხვირის მოხრც-
 ვა იმას არ სჭიროდა, ბოლოს პალტო გაიხსნა &
 შიგნითი შავი სერთუკი უცუბ ორივე ხელით გაიხ-

წორს, პალტო სელახლავ შიერს, ღ შეშინებული
 მკრთალა სმით ღ ძლიერ გაუკვეთელი ენით უთხ-
 რა:

— უმდაბლესად გთხოვთ, გამახედნიეროთ, ღ
 თქვენი გაცნობის ნება მიბო...

იმავ დროს, მეორე მხრით მომავალმა აფიცრება
 ქალს თვალი მოავლო, დარდიმანდულათ გაუცინა
 მსკდრული წესათ ქუსლებზე ერთბაშათ მოტრიალ-
 და, მარცხენა ხელი დოინჯათ შემოიღო ღ ქალს
 მიუშვირა, ამ სიტყვით:

— კომ! (წამო)...

ქალმა, თავის მხრით, ტეზილათ გაუცინა, ხელში
 ხელი გაუყარა ღ სიცილით ღ კანკასით თავის
 მსლებელს თვალში წქერა ღ ლაპარაკი დაუწყო.

— *Чирок вонзает!* დაღონებულით ბუტბუტებ-
 და პირდაღებული ახალგაზდა, მაშინ როდესაც მი-
 ნი მეგობარი, დასამშვიდებლათ ხან გაქცეული ქალას
 ხალმასზე აგინებდა, ღ ხან ხსკა ქალების საშინლს
 ღ ალერსს აქებდა.

მე ხელ-ხელა ამ ჩემ თანამემამულეს ცო-
 ტათი მოშორებით მიუყვებოდი. — ამ უეცარ
 დამარცხებას მათ გონებაზე ისეთი გავლენა ჰქონდა,
 რომ იმით თითქმის სრულიად შეწყვიტეს საუბარი.

ამ დროს ჩვენ დავეწიეთ ერთ მართლად მშვენიერ

ასაღგანდა ქალს, ძლიერ სუფთათ ღ უბრადლო
 ჩაწმულს, ჭერა თმიახს, მალაღს ღ ქვერღ
 ნისახს. ღამეს ბრალი იყო ეს, თუ სსკვ
 მისი თვალეპი მე მოძავოთ მეჩვენს, ღ ამ გარემო-
 ბამ შიხი ალერსიანი სახე უფრო გამშვენიერს ჩემ
 თვალში.

— აი, თქვა ჭერა უმაწვილმა, აბა, თუ ბიჭისარ!

— რახ ამოცბ! დომის ჭამა სომ არ არი? ეს
 სულ სსკვ ქალია.

— რა გენაღვლებს, შე ოხერო, ამის გულბ-
 თვის წისეპი სომ არავინ ჩავსვამს, ან კბილეს სომ
 არავინ დაგამოცბს! გაბედე! სულ ერთია...

მართლაც, დაბალ დაბალი უმაწვილი ასაღგანდა
 ქალს გამოუღვა, ქალმა თესი მოუჩქარა, მაგრამ ჩემ
 თანამეპამულებს განსებში ეტყობოდათ, რომ ამ საქ-
 მეში იმათ ვერავინ გაასწრებდა.

— უმდაბლესად გთხოვთ, გამაბედნიეროთ, ღ
 თქვენი გაცნობის ხება მიბოძოთ, უთხრა ქალს შავ-
 თმიანმა უმაწვილმა.

ქალმა ხმა არ ამოიღო, მაგრამ არც შეჩერდა
 არც მოისედა.

— აკი გეუბნობდი! მოუბრუნდა შავთმიანი ქე-
 რახ.

— რა უყოთ, ნუგეშინია.

— უმდაბლესად გთხოვთ გამაბედნიეროთ ჭ
თქვენი გაცნობის ნება მიბოძოთ... ერეკონი

— საჭირო არ არის, მართლა ციფათ უმასუნსა
ქალ მა, თუმც ამ უსუსიდანაც კი სჩანდა, რომ შე-
უზოვარ უარზე არც ეს ქალი იდგა.

— ჩვენ გვსურსთ, გავაწილოთ სასლამდი... გა-
ბედა მაშინ ქერამ.

— მეტი ხალხი კერსად მოაგროვეთ, მარტო
ორი რომ შეერძლხართ, ერთი ქალის განაწილე-
ლათ!

ქერამ ეს სიტყვები კერ ვაიგო. ეტყობოდა, რომ
რაც თქვა, ზეპირად ნასწავლი ქმონდა.

— რას ამბობს, რა ჩინდაო? ჭკითხა იმან თავის
მეგობარს.

— *Упрям ее знаешь!* უთხრა მეგობარმა ჭ
ხელ-ასლავ ქალს მოუბრუნდა.

— მე მსურს თქვენ სასლამდი გავაწილო.

— ნუ სწუხდებით.

— თქვენ ძლიერ ღამაზი ხართ.

— ვინა.

— მე ძლიერ მომწონსართ...

— შეიძლება.

— თქვენი თვალები ჭ პირისხასე სწორეთ სიყ-
ვარულს იღძრავს კაცში...



— ბევრა.

— თქვენი გული აგრე რამ ვაატივს?

— ნოემბერმა.

— რა სახელი გქვიათ?

— მარიაძი.

— ჩინებული, ღამაზი ხსელა, სწორეთ თქვენი შესაბერი. მე ერთი ხსენობი მეავდა, იმასაც მარიაძი ერქვა, თქვენ ჩამოგვავდათ.— მე ის ძლიერ მიუყარდა...

— ბევრჯერ გამიგონია სწორეთ ეს ხატულები.

შავკვრიძალი ახალგაზდა სულ ერთიანათ გადნა. მართლაც, ამ ახალგაზდა ქალს— მამულიც, აღმათ, მალაზიის დასლდარი უნდა ყოფილიყო— ისეთი მაცნოური, დამცინავი ჰირისსახე ქონდა, ჭ მისი თვალები ისეთ მიმზიდავანიანათ ვასკასობდენ ჩემ-ჩემათ, რომ იქ რომ ყოფილიყავი, ჩემო მკითხველო, შენც მოგვიდოდა მისი გაცნობის სურვილი.

ამ დროს მე შავკვრიძალი უმაწვილის ჰირის სახეს შევხედე. ის მოხარული კიბოსავით გაწითლებული იყო, სურვილით ჭ სირცხვილითაც, კვანძებ, ამიტომ რომ იმის უსათუოთ უნდა კვანძო დატინვა ჭ თან ამისთანა ღამაზი ქალის გამოარებაც უნდა სწეენოდა.— არ ვიცი რა მიზეზით, არ ვიცი რა მოაზრებით, მე მაშინ მომეჩვენა, რომ



ეს ახალგაზდა სწორეთ ის ემაწვილი უნდა ეოფი-
ლიყო, რომელიც მე ოთხი წლის წინეთი პეტრო-
ბურგს ვნახე, ჩემი იქედამ წამოხვლის წინ. ჩემი მე-
გობრის ოთახში: სულ ახლავ ჩავაპვირდა მის პირის
სახეს, და თუმც იმას წვერ-ულაში ამოხვლოდა &
სახეც დაუაყვარებოდა, თუმც მის თვალები სრუ-
ლიად გიხეთიანსებული იუვენს სურვილის ძალით,
მე მაინც & მაინც ჩემ ახრში დავრწმუნდი.

— მითხარით, თუ ღმერთა გწამთ, დაიწყო იმას
სელახლავ, სად დგასართ? შორს თუ ასლო?

— ასე ძალე დაილაღეთ! როგორი ახალგაზდა
ეოფილხარ?

— არა, მე არ დავლაღუღვარ, მე მსოლოდ მინდა
ვიცოდე, სად დგასართ, ჩემო მშვენიერო, ლამაზო
მარია.

ქალი გაჩუმებული თავის გზას აგრძელებდა — ჩემ
პეტრობურგელ ნაცნობს კი ეს გაჩუმება ნება-
დართვის ნიშნათ ეჩვენა, & ალბათ ამას გამო იმან
ერთი სასტუმროს წინ (გენაში სასტუმროებს წინ
ტილოს ან ლიმონების და სხვა ხესილის კარკუთა
გაკეთებული საზაფხულთ; ზოგიერთ ამ კარკუებს
საზამთროთაც სტოვებენ) მარჯვენა ხელი ქალის
წელს მოხვია, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვა, მო-
სვევა მოინდომა.

— გესმისთ, მეტის მეტად დამშვიდებული და
თან სასტიკი სმით უთხრა იმ ქალმა, ვიდრე რომ
ერთხელ ეს გაბედოთ, მე ვისმეს გამკლავს ვთხოვ,
რომ თქვენ ზდილობა გასწავლონ. გარწმუნებთ,
რომ ეს სწავლა თქვენ არ მოგეწონებათ.

ამისი თქმ., და ქალის უცებ მანაწინა ქუჩისკენ
გადახვევა და გაქრობა ერთი იყო. ჩემმა ასაღვასადამ
წრიალი დაიწყო, რა იქნა, სადაა, სად წავიდაო;
ქერამ იმას დაესძარა; გამკლავლ-გამომკლავლებმა კი ორი-
ვეს ცქერა დაუწიეს.

— *Hy ee*, თქვა ბოლოს ქერამ, და ორივე ასაღ-
ვასადამ სელი სელს გაუყარეს, მობრუნდენ, და ვი-
ღაც ასალ ქალს გამწარებულათ გამოუდგენ.

VI

გაიანა ვიდრე ერთმა წელიწადმა.

დეკემბრის თვე იყო, სწორეთ შობის დღეები.
მე ვიდექი ერთ რუსეთელ ქალაქში, ისევე სამი
ოთხი დღის ვადით, და ისევე ცეცხლას გემს ვუცდიდი.
იმ ქალაქში ორიოდუ ჩემი ნაცნობები იდგენ, და
— რაღა თქმა უნდა — ამ ნაცნობებს თავიანთი ნაცნო-
ბები უნდა ყოფიდათ; ერთმა ამ ჩემ ნაცნობესთა-
განმა, ერთ სადამოს, მოვიდა ჩემთან და მითხრა
წამო, ორიოდუ ასაღვასდა კაცს გაგანობო,
ისინი ესლა ალბათ თავიანთსა იქნუბიანო, და სასლ-

ში ჯდომას ისეკ ის სჯობია, იმათსა წავიდეთო.

უსაქმო, მგზავრ კაცს ამისთანა დამატრეებს უოკულთების გულში უფლება.

მე, რასაკვირველია, იმ წამსვე ქუდი დავიხურე და ხემ ნაწნობს გაყევი.

ერთ დავარდნილ ქუჩაში ჩემმა ნაწნობმა ერთი დანგრეული, დასაკსიანებული სახლი გამოძუნა, მეტის მეტათ ვიწრო, ბინძური და ძალადი. დასლართული, ჭიადჭმული კიბეები ჩვენ იქვე ქვეშ ღამის ჩანგრევას ამირბედენ, და ცივი დეკემბრის ქარი ჩანგრევის შიშით განციკებულ ძულებს უფრო უარესათ გვიცვივებდა. ჩვენ ავედით ერთ კიბეზე, გავიარეთ რაღაც ღამის წლის ბაღკონი, გავედით მეორე, უარეს კიბეზე, გავევიით ჯამბაზებსავით ორ თხელ და ვიწრო, დანამებულ იფიცრებს, რომელნიც ბაღკონს მოასწავებდენ, შევედით მესამე კიბეზე, რომელზედაც გასვლა ბუნრის მსვეტლებსაც ვი გაუძნელდებოდათ შეკვიპრით ერთ ნამცერა ჩანგრეტში, — რომელიც ვითომ კარის მაგიურობას შრეებოდა, ავიხურეთ ბნელ ცივ ოთახში, რომელშიც ქვეიდან და ზეიდან, თანჯარაში, კარში, გვერდებიდან და კუთხებიდან, ერთი სიტყვით ყველა მხრიდან ცივი ქარი ბზუილით და ვაი ვაგლასით ვარჯიშობდა.

— დიკართო, ვი უსაქრე მე, რა თაკვანირულობა

უნდა ედგათ გულში იმ ემაწვილებს, რომელნიც
 ამნაირ სადგომურში ოთხ-სუთ წელიწადს სცხოვრო-
 ბენ, და ამნაირ მდგომარეობაში იმედს არ ბარ-
 გვენ და შრომას არ კრიდებინ?..

ეს აზრი მთლათ ერთიანათ ტანში გამიჯდა.
 ჩემმა ტანტაზიამ მაშინვე დამისატა მე პირ მქრთა-
 ლი, წელში მოხრილი, უდროოთ მოსუცეული
 ემაწვილები, —საუკარელი სახე ზოგიერთი ჩემი მე-
 გობრების, რომელნიც სწორეთ ამნაირ მდგომარე-
 ობაში, მაგრამ უფრო ცივ და ნოტიო ზეტერბურგ-
 ში, ოთხი და სუთი წლობით აკვდებოდენ პატიო-
 სან სწავლას და შრომას.

მე გამახსენდა ეს ჩემი მეგობრები, გამახსენდა
 ჩემი ემაწვილობა და ემაწვილური ოცნებებები; ჭ
 ჩემმა გულმა აღტაცებით ძეგრა დაიწყო. ან ვისი
 გული წასდება და დაობდება ისეთ ნაირათ, რომ
 ძვალში გამჯდომი გრძობით არ აივსოს, როცა
 უწინდელი თავის სიუკარულის და აღტაცების საგანს
 ხელახლავ სედავს?

ამ დროს ჩემმა ნაცნობმა, დიდი გაჭირვებით და
 ხელის ფოთიანლით, კარი მოძებნა და შეაღო. ოთა-
 სიდან სინათლე გამოვიდა, ჭ, სინათლესთან, თფი-
 ლი ორთქლი, რომელმაც კვამლსავით წინა ოთასი
 აავსო.

მე შევეყვი ჩემ ნაცნობს, ჭ გულის ძეგრით გა-
გეშურე იმ უმაწვილების სანახავათ. რომლის შესხე-
ნეში ჭანტაზიით ცივ წინა ოთახში დანატული,
ისე ნათლათ მიჰდა ტვინში.

ოთახი განათებული იყო ერთი სტეკრინის ჭ
ერთი ჭონის ხანთლით. პირველი შანდალში იყო
ჩანთებული, და მეორე—ეკლმოტესილ ბოთლში.
შუა ოთახში იდგა მწვანე სტოლი, და მის გარშე-
მო იჰდა და იდგა, ერთი მეორეზე მიჯგუფული,
ათორდე სრულიად ჩვილი ახალგაზდა.

ერთი მათგანი შუა ადგილას იდგა, ფერმკრთა-
ლი და თვალ დაბნეული. ხელში იმას ერთი კალოდა
კარტი ეკავა. მის გარშემო მდგომ და მჯდომ
უმაწვილებს ხელში კარტები ეჭირათ, და თან მე-
დიც მთელი სტოლის მაუდი ერთი გუთსიდან
მეორემდი გაჭრელებული იყო მოკების ჭ წაგების
ანგარიშებით. ყველას ხელები, ტანისამოსი, პირი-
სახე ჭ თმა-წვერი თეთრათ შეღებილი ჭქონდა მე-
ლის მტვერში. კაცს ეგონებოდა, ამათ, ესეც არი,
ფიქვლის ცრა გაუთავებიათ და მოხელას აზირე-
ბენო.

ჩვენ შეხვლას არავინ ელოდა. ამის გამო ახალი,
უნცობი კაცის დანახვას ყველასეც ისეთი გაკლენა

ჩინდა, რომ რამდენიმე წამის განმავლობაში უკმა
 და გაშეშებულია, ზირდაღებული დარჩა.

მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რამდენ
 ხანს შეიძლება იმ ოთახში დარჩეს. მაგრამ,
 თუმც მუ იქ ხუთი წუთიც ძლივს გავატარე,
 ერთი თვალის გადაკლება მანაც მოვასწარი.

სტოლს გარშემო რომ ახლათ-ახალი ახადგანდე-
 ბი იყდენ და იდგენ, ყინულია, ავსებული პირის
 ჩახით და წინელით ახტებულ თვალებით — იმათ
 შუა მუ ხედი სინკო დავახსენე, უწინდელურათ მო-
 რავი ზირისხანით და მომცინარე, თავისთავით
 დაკმაყოფილებული შესედელობით. — მაგრამ, ამ
 ზირისხანს და ამ შესედელობას ერთი ამოუშ-
 ლელი დღი დაუდენოდა: ის დღი, რომელსაც აქვს
 კაცს ნიადაგი სიამოვნების და გართობის სურვი-
 ლი, ნიადაგი უზარობა და უხეკმა, უძიხნო
 ცხოვრება...

VII

ცოცხლის შემდეგ, მუ ერთ ჩვენს პატარა ქალაქ-
 ში მომიხდა ყოფნა, სადაც სამიოდე თვე უნდა
 დარჩენილყავი. — ამ ქალაქში სცხოვრობდა ხედი სინ-
 კოს დედამა, და ამავე ქალაქში ხამოვიდა ის,
 ორი კვირის შემდეგ.

ყვეთ ხათქვამია, რომ სინკო მდიდარი ოჯახის
 შილი იყო. წახვედრულია, რომ მის მდიდარ მს-



მას ჩვენ ქალაქში დიდი გავლენა და ძალა უნდა
ქონოდა, და რადგანც გავლენა და ძალა მთავრების
ლობით გადაიცემა, სამკვიდრებელთა, როგორც
მაწა-წყალი და თუთია, ხეც სინკონაც იმ ქალაქში
— მკონია პირველჯერ თავის სინკონცელში — მნიშვნე-
ლობა ჯ ღირსება მიეცა.

ამ გადაცემას მე ბევრჯერ დაუფიქრებია. იმ
ნაირ მდგომარეობაში რომ ჩამაყენოს ვაცმა, რომ
მელშიაც მე მისთვის კი არ მცემენ ჰატავს, რომ
ხეცი სასათი, გონება და მსჯელობა, ხეცი მოქმე-
დება და სინკონცელე მოსწონთ და სეირიან, მისა-
ბამკელ რამეთუ მიანნათ, — არა, იმისთვის, რომ
რადაც ბედს შემდეგ ან მდიდარი დედამისი შვი-
ლათ გამოუყვანივარ, ან უეცრათ რომელმე მდი-
დარი ნათესავის მკვიდრეთ გაუსდივარ, — ამ ნაირ
მდგომარეობაში, ვამბობ მე, ხეცი თავი მოსაწყამდეკე-
ლათ გამისდებოდა. ამ ნაირ მდგომარეობაში ერთი
არსი ნადაგ მქნებოდა თავში: ესლა, რამე სიფა-
რმა მე უეცრათ რომ გამაღარბოს, ისე უეცრათ
და ხედა უკითხვათ, როგორც გავმდიდრდი, ესლან-
დელი ხეცი მნიშვნელობა და გავლენა, დეკანდელი
ხეცი ჰატავისცემა სომ ყინულზე დაწერილი იქნება?
მნიშვნელობის და გავლენის უქონლობა არაფერია,
როცა ეს სიმდიდრე არცა გაქვს და არც გქონია,

მაგრამ «არად» გადაქცევა, მის შემდეგ, როცა /
 «რამე» იყავი, როცა პატივისცემას, დაუკრძლავს,
 დამორჩილებას შეეჩვიე, და მერე ისეთ უბრალოდ,
 რმა მიზეზით. ეს მდგომარეობა საშინელი რამ უნდა
 ბიუოს...

მაგრამ ამ გადახვევას თავი დავანებოთ, & ისევ
 ჩვენ სინკოს დაუბრუნდეთ, რომელსაც უცებ საზო-
 გადობას თვალში მნიშვნელობა მიეცა, იმიტომ, რომ
 იმას ერთ ბნელ შუალაძეს ჯაფა დაუენებია — უშუალო-
 ბელი ჯაფა! — მდიდარის ცოლის მუცლიდან გამოს-
 ვლა...

VIII

სინკო, რასაკვირველია, აღტაცებით, ტაშის გვრით
 & ღიმილით მიიღო ჩვენი ქალაქის საზოგადოებამ.
 — ვაწის ბუნებას ისეთი სასიათი აქვს, რომ ვინც
 ჩვენ მოგვწონს, იმან საშინელი სისულელეც რომ
 სთქვას, ჩვენ ჩვენ თავს ძლივს გაუმსვლთ, რომ ამ
 ვაწს ნამეტანი ჭკვიანური რამ არ უთქვია ესლაო. —
 მაგიერათ, რაგინდ ჭკვიანური, საქები & სასარგებ-
 ლო აზრი გამოთქვას ან საქმე ქნას ჩვენგნით
 რ უწონარმა ვაწმა, ჩვენ ძნელათ გამოვტყდებით,

რომ ეს აზრი ან ეს საქმე ნამეტნათ უხეირო არ
 არიხო. ამ რიგი ჩვეულებას სჭირს ჩვენ ტყანს.

სინგოს ამ შემთხვევაშიც ბედი დაქმნათ: სასო-
 ვადობამ ერთბაშით მოიწონა ის, ესე იგი ზირდა-
 ზირვე არ შეიძულა. ღ კარგა სახმა გაიარა, სახამ
 წამ-ღ-უწუმ გამეორებულმა სინულებემ ღ სეპრობამ
 ბოლოს ყველას, მტერს ღ მეგობარს, მისი უვარ-გი-
 სობა არ გამოუაშკარა.

თავიდანვე დაწყებული, დამკვირვებულმა ზირებმა
 შენიშნეს, რომ სინგოს სიამოვნების, გაცნობის
 შიშლილი აქვს თითქმის ნიადაგ. შენიშნეს, აგრეთვე,
 რომ იმას მეტის მეტი თავისუფალი დრო ქონდა
 ღ ამ თავისუფალ, უსაქმო დროს ის ნიადაგ ღ ყო-
 ველთვის ერთნაირათ გაუთლელ, ბინძურ სიამოვნე-
 ბის ძებნას ანდობებდა. შენიშნეს, ამას შემდეგ, რომ
 იმას გავგეჟან არ ქონდა, თუ ფული ღ მისი ანგა-
 რიში რაა. ეს საში გარემოება ყველასთვის ადვილათ
 დასახსნავი იყო.

უფრო ძნელი დასახსნი ღ უფრო მძიმე გამოხა-
 ვლევები იყო მეორე ნაირი გარემოებები. სინგო იყო
 ზანტი ღ უძალე; იმის სწავლას არც საფუძველი
 ქონდა, არც სასურავი, თუ ამ ნაირი სიტყვების
 ხმარება ამ საგანშიც შეიძლება. იმას გავრხნილი
 ქონდა ღ უკანასკნელ წიგნებში ამოკითხა სოფი-

ერთი მიღებული აზრები, გავრცელებული სიტყვები. მაგრამ, იმას სრულიად გაცემა არ ქონდა ნამდვილი განათლებისა. იმას თავის დღეში მიზნათ არ ქონია რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით გამოემკვლია, რა მიზეზით, როგორ ჯ რისთვის არსებობდა ის თვითონ ჯ უოკლეიკე, რაც იმას გარშემო ერთეა. ამის გამო, იმას არც ნათელი აზრი ქონდა ქვეყნიერებაზე, არც ცოტადნათ ნამდვილი გაცემა კაცობრიობის ცხოვრებისა, არც მისი საკუთარი მოქმედების გამოკვლეული მიზანი. ის ცხოვრობდა, ამიტომ რომ ცხოვრებენ სსვანი, დაზარალებდა, ამიტომ რომ სსვებიც დაზარალებენ, დადგინდა, სიძროვნებას ეძებდა, ფულებს ფანტავდა, იზრანტებოდა, მოქმედებდა მხოლოდ იმიტომ, რომ დადიან, სიძროვნებას ეძებენ, ფულებს ფანტავენ, იზრანტებიან ჯ მოქმედებენ სსვები, ვინც იმის გარშემო ცხოვრობს ჯ მის თვალ წინ წრიალებს.

თავის დღეში—როგორც სხანდა—იმას თავში ის აზრი არ მისკლია, თუ რითი ჯ როგორ იშოვდა ის საკმეღ ჰურს, რამე უბედურებას ვინიცობას რომ მის სკლიდან მამა მისის სიმდიდრე გამოეტანა:—თუ შესაძლებელი იყო ამისთანა შემთხვევა, ამის ფიქრი იმას არას დროს არ მიკარებია.—თუ სიტყვის თქმას, აზრის გამოქმენს ჯ სმარენს გა-

ცის მოქმედებაზე და მთელ სინოცსლეზე უნდა ჩვენდეს გაკლენა, თუ სიტუვს და აზრი მსოფლიო კაცის რწმუნებაების გამოსათქმელათ უნდა ისწავებოდეს, იმ რწმუნებაების, რომელიც მთელი ცხოვრების მძაღოველი და გამნათლებელი უნდა იყოს, და ურომლისათაც კაცი ჰირუტუვის მოძქვა—ამისი იმას არა გაკგონს და არა გაკგებოდს რა...

IX

ამისთანა აზრის და გონების ჰატრონს, ამისთანათ დამზადებულ უმაწვილს, ბედმა შესანიშნავი შეძლება მისცა ხელში...ბედს ბევრი რამ შეუძლია, მართალია, და დაილოცოს მისი განტება. მაგრამ ეს სურათი, მკითხველო, იმ თოთო ბავშვს ხომ არ განსენებს, რომელსაც აკვნის გვერდში ღამაზი, ბასრი და ელვარე დანა უნახავს?...

სინკომ. გაიკგობრა სიამოვნების მამიებლები და მობერების და შრომის მტრები.—მათი რიცხვი უკვლავს დიდია და გამკგობრებაში იმათ კაცი კერ დახსწრებს. მათთან, მათი დახმარებით და მეცადიეობით ჰოულობდა ის ნაკებს სიამოვნებას—ეს სიამოვნებაც უკვლავს ბლომათ და ადვილათ იზოება, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც სინკოსსავით

მდგომარეობაში არიან. -- მაგრამ ნიადაგმა ბედოვლათობამ მალე მიიქცია სინკოს მამის ყურადღებამ, რომ მკლამაც ბოლოს პირდიპირ აუკრძალა იმას დღე-ღამე ქუჩა ქუჩა თრევა.

ეს გასლდათ სინკოსთვის პირველი განსაცდელი, რომელიც იმას როდისმე მისდგომია. პირველჯერ, თავის სინოცხლეში, დაინახა იმას, რომ ბედს, თუმცა ძლიერ კარგათ გაუკატყეს იმისთვის სინოცხლის (ესე იგი სიამოვნების) გზა, მაგრამ ამ გზაზე ზოგი ორმოკები მანაც დარჩენილან.. დაფიქრდა ხეში სინკო, ჯ ცოტა სწით დახუშდა.

სწამ იმ დალოხებულათ ფიქრობდა, რომ ზოგიერთ გარემოებას თურმე კაცის სურვილის ჯ სუბის დამოხება შესძლება, სწამ იმ იმ გრძნობას ეხვეოდა, რომ მამის უთანახმოთ, მის დაუსმარებლათ იმას არც საკუთარი ხეხა ქონია, არც საკუთარი შეძლება, ერთი სიტყვით იმ თავისი მდგომარეობის ყურმორილი ყმა ყოფილა, მისმა პირის სხსემ თავისი ნიადაგი ღიმილი ჯ განხარებულა გამოსკდულობა დაქარგა... ნუ გეშინია, მკითხველ: ეს სიკეთეები იმას რამდენიმე დღის ვადით მოსცილდენ.

რად თქმა უნდა, რომ მისმა ამხანაგებმა, ჯ ბევრმა გარეშე პირებმა, რომელნიც იმას სწირათ ხედავდენ სოფლი, მალე შენიშნეს სინკოს დაფიქრე-



ბული, ან, სწორეთ ვთქვა, დარდიანი ჰირისსასე. —
 ჭ რაკი ეს ჰირისსასე შენიშნეს, ყოველ ^{ცოტაოდ-}
 ნათ გაჩვეულ თვალს ჰირ-ღ-ჰირვე შექმლთ ^{კანკე-}
 ზე შეტეო, რომ ამ დარდიანობის მასე სი უფუ-
 ლობა იყო.

ამ მდგომარეობაში იყო სინკო, როცა ერთჯერ
 მე ერთ ჰემ ნაცნობ ვაჭარს ქუჩაზე ვემუსაიფებოდი.
 უცაბედათ სინკომ ჩვენ ასლო ჩავგვიარა, მეტის-მე-
 ტათ აჩქარებული სიარულით ჭ დადონებული სასი-
 იძან ჩვენ ძლივს შეგვნიშნა, ისე გართული იყო ის
 თაკის დარღში. მაგრამ ჩემმა მემუსაიფემ კი ის
 ძლიერ გარკათ შენიშნა, ჭ როცა სინკო ჩვენზე
 გარკათ მოშორებით იყო, მომიბრუნდა ჭ ნელის
 სმით შითხრა:

— ამ უმაწვილს სომ იცნობ? ასეთი მელაღუმეა,
 რომ თქვენი მოხაწონარი! აი ამ სახლს სომ უუ-
 რებ, ჩვენს ჰირ-ღ-ჰირ. მამა მისმა ეს სახლი ძლიერ
 მტეტეთ ჭ სალჯასლოთ ააშენა, მაგრამ მის სინკოს
 მათც ისეთი ლაღუმეები დაუსვრეტია ამ სახლის
 საძირკველში, ჭ ისეთი ჩინებული თოფის წამალი
 ჭ აბედი დაუმზადებია, რომ გატენის ჭ ცეცხლის
 წაკიდების მეტი არა დასჭირდება: ისეთი სრიალით
 ჭ ვაი ვაგლასით დაინგრევა მაშინ ეს ქვითკირა,
 რომ უკეთესი არ შეიძლება!



— რა ვქნა, მე შენს ღაზარაკში ვერა გავიგე?

მამის ხემა ნაცნობმა მოიწია, თითქმის ყურადღებით ყაფიყუნება უნდოდა, & უფრო ხელი ხმით მიტრია: გუშინ წინ ამ ემაწვილმა ერთ ისეთ ვექსილზე მოაწკრა ხელი — ერთი ათათ დაუწკრა ფული, — რომ თუ მაგისტანა ვექსილი ათიოდე გასცა, ზრახშია ნაშა გამანია — ღაღუმი მიეცემა მამა მისის ქონებას.

— მაგის ვექსილს მერე რა ძალა აქვს?

— შე დაღრცვილო, მამა მისი სომ მუდამ ცრუნალი არ იქნება. & გადაბრუნდება თუ არა ის კურთხეული, მამისვე სინკოს ვექსილები ათვს ამოყოფენ, მოწმებით & დამსწრებით. მამის რაღა ეთქმება... მამამდი ქე მოიგდიან მისი მოვალეები: გიჟები იქნებიან, მაგდენა სარგებელი მიიღონ, & ბოლომდი მოთმინება ვერ გაატანონ?! მამის კი ასეთ ფიქრებს დაძახებენ ამ შენ მოწონებულ შენობას, რომ აგურები ვგონებ იერუსალიმამდი მიაწვევენ.... გალა სომ გესმისთ, ღაღუმი & მელაღუმე რა არის? ..

X

თუ ნამეტნათ არ მოგწოინდა, მკითხველო, ვნახოთ ესღა, რა ნაირათ გატენა სინკომ თავის ღაღუმები & რა ნაირათ დაუბირა ის ცუცხლის წაკიდებას.



სინკოს ძამა, ერთ მშვენიერ სასაღიფეს, ბანქოს
 თამაშში მიიწვიეს თურმე. ის იყო დასაღი დასაღი
 ძაგარი, ტანთელი კაცი, ღ—საზოგადოთ—სრულია-
 დაც არ იცოდა ავითყოფობა. ამის გამო, თვითონ
 იმასაც ღ ეკელა მის ნაცნობს ძლიერ გაუგვირდა,
 როცა იმან ბანქოს თამაშის უარი თქვა ღ მიხეზათ
 უქეიფობა მოიყვანა.—ძაგრამ იმ სადიღზე შექმდე,
 გავლენის მჭონე ზირები იყვნენ, ღ იმათ თხვანაზე
 სინკოს ძამას უარი არ ეთქმეოდა—ან, თუმც ეთქმე-
 ბოდა, უარის თქმის შეხვეული არ იყო...

რაკი ამ შემძლე პირებმა ორჯერ—სამჯერ გაუ-
 მუარეს სინკოს ძამას—რისი უქეიფობააო, ვერ
 იარაღაშს შეკვეტიოთ, იმან ითქმრა ამას არა გა-
 წყობა რაო, და მწვანე სტოლს მოუჯდა.

პირველი კარტის გამოსვლა ღ ამ კაცის კრესლო-
 ზე ჩაკეტა ერთი იყო: იმას, როგორც ამბობენ,
 დამლა დეცა, და ეს ძაგარი, ღონიერი კაცი რამ-
 დენიძე საათის შემდეგ თავის მამაშაშისკენ წავიდა..

ამ შემთხვევამ ძლიერ შეაწუსა როგორც მთელი
 საზოგადოება... რომელსაც იმ დღეს მასთან სადი-
 ლი ეჭამა ღ საღამოს მსიარულათ გეტარების იმედი
 ჰქონდა, აგრეთვე ღ უფრო მეტად იმ სასლის პა-
 ტრონი, ვისხაც ეს სადილი იყო გამართული, ღ
 ვისმა სარკმა თითქმის ტყუილა უსრადოთ ჩანარა.

ამ დაღონებულმა, დანაღვლებულმა ხალხმა ბანქის
 ღ ქეივიან მუსაიფს თავი დაანება ღ თავთაგინას
 წვიდა. — რასაკვირველია, უკვლას თავში ღ ენაზე
 ეს გასაოცარი შეძთსკევა ადგა: ერთი კაცი არ წასულა
 ამ სადილიდან სასლში ისე, რომ იმდღევანდელ
 ფლავზე და ჩერვის კალეტზე ლაზარაკს შუა ორი-
 სიში სიტყვა არ ჩაუეხებინოს საბრალო სინკოს
 ძამაზე. — მაგრამ, ეს სიტყვებიც, მართლა რომ
 კთქვათ, უფრო მთქმელის ბედს გავრკვედნ, ვინემ
 გადაცვალებულისას. აი ეს ორიოდ სიტყვა:

— ესაა ჩვენი სინოცსლე!...

ეს საში სიტყვა გაატანეს საიჭიოს სასლგადაცვა-
 ლებულს ღ თან, მისივე ფულით, ოთხი თუ სუთი
 ადგი სსვილი ტილო, ერთი ხელი ძველი ტანსა-
 ცმელი ღ ორიოდ სსსულიერო სურათი.

მის კუბოზე ძღვდეღმა აჩქარებული ხმით დაწე-
 სებული ლოცვები წაიკითხა, შინაურებმა — ჩვეულებ-
 რიგ — ათიოდ ცრემლი დაღვარეს ღ ნანობებმა
 ნსკეარი საათის კადით დიდმარხვული ჰირისსახე
 გაიკეთეს. — ამის შემდეგ გადაცვალებულისას გამართეს
 ქელესი, ღ მის დასაფლავებაზე დამსწრები — მისი სუ-
 ლის საცხონებლათ — კარგა ლასათიანათ გაძღენ ღ
 შერიკრიკდენ.

ეს გაუვა საიჭიოს იმ კაცს, რომელმაც მთელი

თავისი სიცოცხლე ღ ნიჟი ერთ მიზანს მოახდომს
— საკუთარ გამდიდრებას.

საქაოს კი, მართალი რომ თქვას ^{უკაცმს} ^{მიმას} ბევრი რამ დარჩა. სადაც კარგი მამული იყო, კარგი ქვითვირის შენობა, კარგი შეძლება — მისი იყო, ესე იგი მის ყუთში იდგა ქაღალდები, რომელნიც ამტკიცებდნენ ამ საკუთრებას. — ყველა ეს საბუთების, ღ მამასადამე ყველა ეს ფულები ღ ქონება დარჩა საქაოს, ღ იმავე საღამოს ამ სიმდიდრის მოგლობულათ გახდა ხვენი სინკო.

XI

რად თქმა უნდა, რომ სინკოს წინანდელი მისი უფულობების ღ უძალობებისგან იმისთანა ახალ, შემდეგ ღ ძდიდარ მდგომარეობაში გადასლვას მისთვის თავბრუ უნდა დაესკია. მართლაც, ორმა-სამმა კვირამ გაიარა, ისე, რომ იმას თავის თავი სიზმარში მიაჩნდა; ვერაფრის ნაირათ ვერ დარწმუნდა ის, რომ ესლა მასზე სხვისი ნება ღ სხვისი უფროლობა არ აწევს ღ სხვის განსილვას, სხვის თანხმობას არ უნდა წარუდგინოს ყოველი თავისი ნაბიჯი, ყოველი მოქმედება. იმას უწინდელურათ თვალს წინ უდგა მამიმისის სასტიკი ღ აუღელკებე-

და ხასე, რომელიც დაკვირვებით იკვლევდა თითქმის ყოველ მის საქმეს და მრისხანეთ იბრუნებდა ყოველ დასარჩულ გროშს. ერთი სიტყვით, ის ხასე რომლის ძალა იმას მამის უკანასკნელ დღეებში აწვას, მამი მისის სიკვდილის შემდეგ აზრდილსავით არ სცილდებოდა მის შემინებულ, უძლურ გონებას.

თავდაპირველათ, ერთი ორი კვირის შემდეგ, იმან სწორეთ იმავე ძალულ, მომხარაკ ნაირათ გაბუდა ორიოდე მამიძისისაგან აღკრძალული მოქმედება, თითქმის მამა მისი ცოცხალი და თვალ გამოჭიმული ყოფილიყოს. მაგრამ ცხოვრებამ ძალე, ძლიერ ძალე დაანასა იმას, რომ მის მოქმედებას და საქციელს დაუძინებელი მამა მისის თვალი კვლარ სდევდა, და ძნელათ წარმოხადგენია კანცისთვის ის ტებილი, ამაყი ზმანვა, რომლითაც ჩემი სინკო ლოგინში წკებოდა ხალამოს, რაკი კარგა მტკიცეთ დაწმუნდებოდა, რომ თავისუფალი, თავისნებური და უუფროსო კაცი შეიქნა.

მაშინ მისი ცხოვრების ხასიათიც თან და თან შეიცვალდა.—დიღ-დიღობით ის იღვიძებდა ათ, თერთმეტ საათზე, და მაშინაც ისეთი სიზანტით იმსელდა თვალებს, ასე ხელა, დგებოდა და ტანს იცვამდა, თითქმის სიცოცხლე ეზარებოდა. როცა, დიდი ძალდატანებით და გაჭირვებით ის დღის სინათ-

ღეს შეეხვეოდან ღ ფესზე წამოდგებოდან, იწებოდან
 და მამინ გაუთავებელი ტანისამოსის ^{წინა} მინკო
 მოკიდებდა ხოლმე ხელს თავის ^{განსუტავებულ}
 ახლათ-ახალ წინდას, და თითქმის მთელ ნახევარ
 ხაათს ერთი ფესის ჩაცმას ანდომებდა, — მერე ისე,
 რომ ჟერ წინდას ფესის წვერზე წამოიცვამდა ღ
 შეჩერდებოდა, ღრმით ჩაფეჭრებული, ღმეთომს
 იცის რაზე ან ვიზე. — ამის შეძღვე ის, თითქო
 ფეჭრიდან გაფხინდებული, ერთბაშათ თავს გაიქნე-
 და, თავის ხუჭუჭა თმას მარცხენა ხელის თითუ-
 ბით გადავიარცხნიდა, ერთ გოჯის ტოლად მეტათ
 ამოსწევდა ფესის თითუბზე წამოცმულ წინდას, ღ
 ხელახლავ ღრმა ფეჭრს მიეცემოდა. მართალი რომ
 თქვას კაცმა, ეს ფეჭრი, ფეჭრი კი არა, გონების
 მიძინება იყო. მის აზრში მამინ მხატვთ ღ კვალ-
 დაუტოებლათ გაივლიდენ წინადღეს ნანახი ნაცნო-
 ბები, გაჭკრავდა თავისუფლათ რომელიმე ნაცნობი
 ქალის მიძინიდავი ჰირისსახე, ღ ჭანტაზია ამ ჰი-
 რისსახეს ბევრ სხვა უფრო მიძინიდავ ღირსებაებს
 მიუმეტებდა. ამ ხაირათ, სინკოს ტანისამოსის
 ჩაცმა — ღ თითქმის ყოველი მისი მოქმედება — უბო-
 ლო ბაწარსავით გაგრძელებული იყო.

ნამეტნათ დანამაურობათ არც ეს უნდა ჩაუთვა-
 ლოს კაცმა სინკოს: რომ აჩქარებულიყო ის, ღ სწრაფ-

ლათ ტანი ჩაეცვა ღ სამოქმედოთ გამწადებულყო,
 რა საქმე უნდა გაერიგებია? მამულების შემოსავლის
 აკრება? ამისთვის იმას ხელქვეითები ბლომით ჟეა-
 და. სადაო საქმეების დეკნა? ადვოკატები ღმერთს
 რილასთვის გაუჩენია, ან რა ცოდნით უნდა ედეკნა
 იმას ამ საქმეებისთვის? სასარგებლო საქმის აჩენა,
 ხდეკნა, მოაზრება? მაგრამ, საუბედუროთ, მთელ
 მის უწინდელ ცხოვრებას ამის შემდეგ ან მიუ-
 ცია სინკოსთვის, ამიტომ რომ ის მუდამ ტკინ-
 დამშვიდებული, დაუფიქრებელი, მამა მისიდან ფუ-
 ლის მიღებას ელოდა, ღ სიყრმიდგანკე იმ აზრს
 შეჩვევოდა, რომ მე რა მიჭირს: დალოცა ღმერთ-
 მა მამაჩემის სკივრი, შიშშილით მანც ან მოკვედე-
 ბიო.

ჩემი სალგაზდა ღ სწავლის მოსურკე მკითხვე-
 ლი ამასე მე ძლიერ გამიჯავრდება.—როგორ, გამ-
 წურალათ იფიქრებს ის, შენ სინკოს ამართლებ,
 შრომასე შეჩვეული ან არისო ღ საქმე ან იცი-
 ხო? რათ ან შეეჩია ის ჭკუის ვარჯიშობას,
 რათ ან აჩინა იმან, გონების ცხოვრებაში, ისეთი
 საგანი, რომ მის გამოკვლევას, გაცნობას ღ შე-
 მუშავებას მისთვის მიმზიდავი ძალა ჟქონოდა
 ღ ცხოვრების მიზანი მიეცა? ეს არის მაგ შენი
 სინკოს უმთავრესი უბედურება...



მართლს ამბობ, ჩემო სიუვარელო, ახალგაზრდა მკითხველო: ეს არის სინკოს უმთავრესი უბედურება, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ ამ უბედურების ბრალი მარტო იმას როდი უნდა დაკადავთ; თუ სამართლიანათ გსურს ამ საქმის განხილვა. თუ გინდა, ამის მიზეზებსაც მოგახსენებ.

ერთი გერმანიელი მწერალი ამბობს, რომ სანამ ქვეყანა ქვეყნად დარჩება, კაცის მოქმედების მიზეზი ყოველთვის შიშხილი და სიუვარული იქნებაო, ესე იგი კაცზე მარტო სტომაქს და ქალს ექნება გავლენაო. ეს აზრი სწორია, თუ სიუვარულის მაგიერათ ჩვენ თავმოყვარებას ვიტყვი — მართლაც, კაცისთვის ბუნებას ისეთი თვისება მიუცია, რომ მის მოქმედებას და ცხოვრებას ყოველთვის და ყოველგან ერთი დაუმაღავი და ნიადაგი მიზეზი აქვს: სხვებში თავი გამოვიჩინო, ვასახელო, სხვებს უკან არ ჩამოვრჩე და სხვებზე გავლენა მქონდესო. — ვის მოქმედებასაც უნდა დააკვირდეთ, ვისი სასიათიც უნდა გახინჯათ, ამ თვისებას ყოველთვის დანახავთ, რაგინდ წამსდარი ან გაუზღელი იყოს ის პირი, ვის მოქმედებაზე თქვენ უურადლებას აჩვენებთ. აიღეთ, მაგალითად, თთილისელი კინტო, რომელიც დილიდან მუორე დილაძედი ღოთობაში ან ნაყარნობაშია ჩათვლილი. დაუკვირდით ახა ამ

კინტოს ღ მითხარით, სასელობის, «დარდიმან-
დობის» მეტი ღმერთი ეავს იმას თუ არა. მის-
თვის საქმე იმაშია, რომ მეტი სმით, მეტი ჭა-
ძით ღ უდარდებლობით თავის ამსახავებს ათქმევი-
ნოს: ოჴ რა კარგი ბიჭი სარო.

აიღეთ, თუ გნებავთ, კაჭარი, რომელიც ძუნწათ
თავს იმშიებს ღ მტერსა ღ მეგობარს ჩამორჩენას
აპირებს. დააკვირდით ამის ყოფაქცევასაც, ღ ადვი-
ლათ დინახავთ, რომ მისი ცხოვრების ღ საქციე-
ლის მიზანი ღ მიზეზი ის აზრია, თუ როგორმე
ბლღძათ ფულის შეკრებით, გამდიდრებით, ქვეყანა-
ში თავი გამოიჩინოს ღ ქვეყანას ათქმევინოს—«ეს
და ეს კაცი ძალიან მდიდარიაო.»

ეს ორი მაგალითი მარტოხელა არ დარჩება,
თუ სხვა და სხვა ხალხის, სხვა და სხვა გვამების მოქ-
მედებას გავხილავთ. მაგრამ აქ ესეც საკმაო უნდა
იყოს. ესლა ავიღოთ მეორე მხარე, — სიუვარული.
ყოველთვის, როცა კაცი ამ ახპარესზე გამოდის,
იმას მარტო ერთი შეძლება აქვს თავის მიზნის
მისაღწევლათ, — ქალის გულის მოქრთამვა იმ ნაი-
რათ, რომ ქალი დარწმუნდეს — ეს კაცი სხვებს სჯო-
ბია, ამასთან ყოფნა მიჩვენიაო. დაუკვირდით, მარ-
თლაც, ამ აზრით შეუვარებული კაცის მოქმედე-
ბას, მის დარდიმანდობას, ხანდისხან თავის გაწირუ-



ლობასაც, და, გაწმუნებთ, უსათუოთ დაშტკვირდუ-
ბით იმ აზრში, რომ კაცის მოქმედების მიზანი,
შიმშილს გარდა, მუდამ თავმოყვარობაში, თავის სა-
ხელობაში მდგომარეობს, & თვითონ ხიყვარულიც
ამ უმთავრესს მიზეზს ეძირჩილება.

არის, მართალია, ზოგიერთი კაცების მოქმედე-
ბაში სხვა მიზანი & სხვა მიზეზები, — თავის საკუ-
თარი აზრის & სინდისის დაკმაყოფილება. მაგა-
ლითად, მაგრამ ამისთანა მიზნები ძლიერ მცირედ
რიცხვს უქვესთ თვალწინ, & როცა კაცი საზო-
გადოთ კაცზე, კაცობრიობაზე ღაპარაკობს, ორიო-
დე განსაკუთრებით პარების სასიათი ახგარიში
არ ივდება.

რაკი ჩვენ დავინახეთ, რომ თავის მოყვარება
ყოფილა კაცის მოქმედების მიზანი & მიზეზი,
ჩვენ ადვილათ შეგვიძლება მივხვდეთ, რომ კაცის მო-
ქმედება ან სრულიად თავდება და ისპობა, ანა და
მეტის-მეტათ კლებულობს და სხვაფერდება, როცა
კაცს თავის მიზნამდე მიუწევია, ესე იგი თავის
თავმოყვარება დაუკმაყოფილებაა. კინტოს მარჯვე
ლოთის სასული რომ დუვარდება, ის უწინდელივით
როდი დარდიმანდობს, ჯდება; კაჭარს მდიდრის
სასული რომ მიეცემა, ის, ცოტათი მაინც, ხელს
შლის, & ქალისგან მოწონებული, დაიმედებული კა-

ტი ბევრათ როდიღა დასდეკს, რა აზრის იქნება ის
ქალი მის შემდეგ მოქმედებაზე. — ასე, გამაძლად
კაცი სადილის ჭმას როდი ფიქრობს, ეს აზრი
მარტო მშიერ კაცს არ სცილდება თავიდან.

ეს გრძელი ჯ მძიმე გადასვენება მე იმისთვის მო-
მისდა, რომ ჩემი ახალგაზდა მკითხველისთვის მინ-
დოდა შეჩვენებია, რა ხაირ მიზეზს ქონდა გაგლე-
ნა სინკოს უაზრო ცხოვრებაზე. — სინკოს, რო-
გორც უოკელ კაცს, თავის მოყვარება ჯ სასელო-
ბის სურვილი უღვა გულში, ჯ მისთვისაც ძლიერ
სასიამოვნო იყო ქვეყნის ყურადღება ჯ პატივის-
ცემა მიექცია თავის თავზე. მაგრამ თავდაპირველად-
ვე მამა მისი სიმდიდრემ ჯ შეძლებამ აამაღლა ის
საზოგადო აზრში. იმას ყურადღებას აქცევდენ,
ხათრს უწევდენ, პატივს სცემდენ, — მეტი რა უნდა
ნდომოდა სინკოს? მისი თავმოყვარეობა ძალე დაკმა-
ყოფილდა ამ პატივისცემით, მაშასადამე იმას
მიზეზი ჯ მიზანი აღარ დარჩა, რომ თავის გო-
ნების გახსნაზე, თავის ცხოვრების გაუმჯობესე-
ბაზე ემუშავნა. — თავდაპირველათ რომ იმას გონე-
ბის გახსნისთვის, თუნდა თავმოყვარებით, ხელი
მოეკიდა, გონების ცხოვრება ძალე ჩაითრეკდა იმას,
ჯ მის სიცოცხლის მმართველათ, თავმოყვარების
მაგიერათ, სხვა, უმჯობეს, უმაღლეს მიზანს მიხ-



ცემდა. მაგრამ, რადგანც სინკო დაკმაყოფილებული იყო, იმის ცხოვრებაც უმიზნოთ დაწინაურდა. აქედამ, მართალია, იმას ვერ გამოვიყვან, რომ თვითონ სინკოს, თავისი გონების ძალით, იმის მოაზრება არ შეეძლო, თუ რა უსაფუძვლო ზედვილი საქმეა სხვისი ნაშრომის და ნაღვაწლის მიღებით ჭკეუნიან ფურადლების მიქცევა თავის თავზე. მართალი რომ ვთქვათ, იმას იმის გაგებაც შეეძლო, რომ ეს უღირსი ფურადლება დიდ რაშეთ არ ღირს ზედ არც მაგარ საფუძვლიანია. მაგრამ, ჩემო მკითხველ, შენი საკუთარი მხრით, შენი მეგობრების, ნაცნობების მხრით, ან, უკეთ ვთქვა, მთელი საზოგადოების მხრით, ერთი მოქმედება იყო მაინც ნაქნარი, ისეთი, რომ სინკო და მისი მსგავსები იმ უღირსი მიზანიდან მოეცილებია ზედ სწორე. ნამდვილი მიზნისკენ მიემართა? — მის სიტყვებში, თავიდანვე დაწყებული, ყოველიფერი იმას ამ სწორე მიზანიდან აქცევდა, ზედ ისეთნაირ გზაზე აყენებდა, რომელზედაც უმჯობესი ძალა იფუჭ, გროშის ფასიან მიზნის ზედ საქმისთვის იკარგება...

ესაა, ჩემო მკითხველ, იმის მიზეზი, რომ ჩემი სინკო უაზრო და უსაქმო კაცად გამოვიდა ზედ უმიზნო ცხოვრებას მიეცა, როცა მის წინ უეცრათ სიტყვების და მოქმედების ახვარევი გაიხსნა.



XII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სინკოს სიამოვნება ზ მოძრაობა შიოდა. გათუ-
ნებიდამ შუალამედი ზ შუალამიდამ გათუნებადი,
ის ყოველ საშუალებას სძარობდა, ოღონდ კი რო-
გორმე თავის დაუბოლოებელი, მომბეზრებელი
დრო მოეკლა. მარ ილაც, რამ სირგქე'იყო მისთვის
ყოველი დღე, რა ლოკოტინას სარულით გადიო-
და ყოველი საათი! მოდი, ზ ნუ მოგინდება შენ,
ჩემო მკითხველო, ასაღი, უცნობი, უეცარი შემთ-
სვევის სურვილი, როცა ტვინი ზ გრძნობა მინა-
შული, მიძინებული გაქვს, ზ როცა კაცს საჭმელ-
სავით სჭირია, რომ მისი ტვინი გართული იყოს
რამე ხაირ შთახეჭდილებებით ზ მის გრძნობას
რამე საგანი სძრავდეს ზ აღელვებდეს...

ჩემს სინკოს, მეოქი, სიამოვნება ზ მოძრაობა
შიოდა. — და რაკი თავის თავი ძამა მისის უღლი-
დან გათავისუფლებული დანასა, ამან აღვირი წახ-
სნა ამ თავის შიმშილს, ზ პირდაპირ სიამოვნების
ტბაში შესტოვა.

რა უნდა მიხსოვდა სინკოს სიამოვნებათ, მოძ-
რაობათ?

ის, ჩემო მკითხველო, რაც მის გულს ასტუ-

ნებად ჯ მის ტანში მოუსვენარ თრთოლას სძრავდა.
 რაღა თქმა უნდა, რომ ამ საქმეში სინკოს გვარიახი
 ხანი თეხი ჩადგმული ჰქონდა: ლამაზი, ახალგაზ-
 და ქალის კეკლეუცობას იმაზე ძლიერ დიდი გავ-
 ლენა ჰქონდა, ეს ჩვენ გენაშიაც ვნახეთ. მის სამ-
 შობლო ქალაქში, რასაკვირველია, იმას გენის და
 სსვა ქალაქების სწავლა არ დაეწყო. — ჯ რადგან
 მწაწინა ქალაქებში ეს სიამოვნება სინკოსთანა ვი-
 რებისთვის სსვა სიამოვნებასთან არის შეერთებუ-
 ღი, — იმ სიამოვნებასთან, რომ საზოგადოების თვა-
 ლში „ქალებზე გამარჯვებულ“ კაცს გმირათ
 სთვლიან, — სინკო სულ ერთიანათ ჩაეფლო ამ გმი-
 რობაში. მოსწონდა იმას რომელიმე ქალი თუ არა,
 მისთვის სულ ერთი იყო. იმას ამ საქმეში — რო-
 გორც დანარჩენებში -- თავისი საკუთარი გემოვნე-
 ბა ჯ გრძობაც არ ჰქონია: საკმაო იყო მისთვის,
 რომ საზოგადოებაში სმა გავარდნილიყო, ესა ჯ
 ეს ქალი ლამაზი, მადიანიაო; ის მამინვე ამ ქალს
 თავის უურადლებას მიაქცევდა ჯ სდეკას უწყებდა,
 თუნდაც ძლიერ სშირათ თვითონაც არ ესმოდა.
 რა იყო იმ ქალში მოსაწონარი ან გადასარევი. ჯ
 რაკი ის ამ ქალს გამოუდგებოდა, რა კი მის თვალ-
 ში მხოლოდ ერთი მიზანი იყო, თავის სასიკეთობა,
 ის ქალის უარის თქმას თავისი საკუთარი ღირსე-

ბის დამცირებათ იღებდა ღ ალარაფერს აღარ ზო-
გავდა, ოღონდ კი ზატონანცემათ გამოხუდდყო
ვის ნაცნობების თვალში. თვითონ სიუვარულის
გრძნობა ღ სიამოვნება, ამისგამო, მარტო იმიტომ
 ეს სიმდიდრე საქმეში მოესმინათ. როდესაც
 მთვე ოფიციალური გაავდეს ქართველებმა, ქრის-
 ტეს მოსკლის წინათ მთვე საუკუნის გასულს,
 ის გაიქცა ზონტოს და იმდენი სიმდიდრე
 გაიტანა, რომ ათის წლის განმავლობაში
 ზონტოლებისა და ბერძნებისაგან შედგენილი
 ჯარი მუდამ დაქირავებული ჰქავდა და იმის
 შეძწობით ცდილობდა ცხელი ისე დაებრე-
 ნებინა. ეს ისტორიული ფაქტები ცხადთ
 გვიტყვით, რომ საქართველოს ერი ვაჭ-
 რებით კარგა გამდიდრებული უნდა ყოფილიყო
 იმ დროებში.

საზოგადო დაწეობილებინა მამასახლი-
 სურს ჰეროდოტის თითქმის არავითარ წ. ისტორი-
 რია მხალად ამას გვაცნობებს, რომ ყოველ თემს
 ჰქავდა თავის მამასახლისი, ანუ გვარში უფრო-

სი. საზოგადო საქმეზე ერი უოკელთვის იქნს
 დაკეითხებოდა და ომიანობის დროს უკმოდ-
 გან შედგენილი ლაშქრის უფროსი ის იყო.
 ისტორიან ამასაც ამბობს, რომ ყველაზე უფ-
 რი ჰატავცემული მცხეთის მამასახლისა იყო-
 ვა. ამის მეტს ისტორიან არას გვეუბნებს
 საქართველოს ერის იმ დროების დაწუბი-
 ლებაზე. მაშ თუ უფრო ვრცელი ცნობა გვინ-
 და შევიძინათ ამ საგანზე, შევკვლათ გონე-
 ბას თვალი უნდა დავაკვირვოთ ზოგიერთს
 მთიულს ერს, რომელსაც თავის განკერძო-
 ვებული და შუუვლი ქვეყნის წყალობით აქამ-
 დის თითქმის უცვლელათ შეუნახავს ძველე-
 ბური თავისი დაწუბილება. სვანეთის საე-
 რი წესის დაწვრილებითი განხილვა და ჭა-
 რელ ლეკების დაწუბილების საფუძვლიან-
 ნათ შესწავლა ბევრს დაგვეხმარება ამში. სვან-
 ეთის ერის დაწუბილების მგზავსათ რომ
 წარმოვიდგინოთ ძველებური საქართველოს ერის
 მამასახლისური გამგეობა, აი, როგორ უნდა უო-
 ფილიყო: უოკელ თემშია ერთიან ორი ჰატავცე

მული კაცი თავისი გონებით და მისეოდით. როდესაც ჩაიძე საზოგადო საჭიროებას, იქნეს ბოდა, მთელი თემი სალოცავ ადგილას დად მუნის ძირას მოგროვდებოდა და ამ შეკრებილებში წარმოდგებოდენ ის პრაქტიკული კაცები, ილაპარაკებდენ, აჩივებდენ, როგორ სჯობდა ამ საზოგადო საქმეში მოქმედება და, თუ უკუღას დაუჯდებოდა, გადასწყვეტდენ, აგრე უნდა იყოთ, თუ არა და დაიწყებდენ ზოგიერთები იმის წინააღმდეგ ლაპარაკს და ბოლოს, როგორც მომეტებული ნაწილი გადასჭრდა, ისე მოქმედებდენ. ომიანობის დროს თემის მოთავეთ შემოსეულებული პირები იქნებოდენ, რომელთაც ეძახდენ სევის ბერებს. მამ ამ კაცებს ომიანობის დროს უთრო დაი უფლებს და პრაქტიკის-ცემს უნდა ქმნოდნათ. როცა მთელ საქართველოს გარეშე მტერი მოადგებოდა, მამინ უოველი თემი შეზახნიდა ორ-ორ კაცს მცხეთას და იქ შეგროვილს ერის ამორჩეულებს ეძახდენ უღლის ლაქანს, რომელიც გადასწყვეტდა



როგორ უნდა მოქცეულიყო მთელი კრიკა კანკა
 ჯიკებულს მდგომარეობაში. უკვე მისი
 მცხეთას მამსახლისი მთელი საქართველოს
 ლაშკრის უფროსი იყო. სადაც საქმეებს გა-
 სამართლებდენ ბჭეები, რომელთაც უოველ
 თითოეულ შემთხვევაში ამოარჩევდენ მოდა-
 ვენი მოხუცებულ კაცებისგან და რასაც ისინი
 გადასწყვეტდენ, მოდავენიც იმას უნდა დამო-
 რჩილებოდენ. საქართველოში ძველ დროს ჩვე-
 ულებათ იყო სისხლის ძიება. ყოველი კაცი
 ძალიან ამაყი და თავისუფლების მოყვარე
 იყო. ამისთვის შეუწინააღმდეგებლობდა
 თავის მტრისათვის მაგიერი ძაღვით. ამის-
 თვის წერილი ჩხუბი თეობაში ძალიან გა-
 ხშიარებული უნდა ყოფილიყო. ვთქვით ერთმა
 რომელიმე თემის კაცმა მოჭკლან ჩხუბში მე-
 რე თემის კაცი. მაშინ მთელი ის თემი ვა-
 ლათ წაწხდა მიდგომოდან თავის კაცს და
 იმის გამა სძიარათ მოხდებოდან თემისა და
 თემის წინხუბება ერთმანეთთან. სანამ თემი
 მაგიერს კაცს არ მოუკლავდა, მანამდის მტრით

ბა იმათში არ შესწუდებოდა, მერე კი წავი
უნდა მომხდარიყო. ამის გამო საქართველოს
ერის თემები ერთმანეთში თითქმის მუდამ
ჩხუბობდნენ, მაგრამ როდესაც გარშემო შიში რაიმე
ატყუდებოდა, მაშინ კი ყველანი ერთმანეთს
უდგენ და მთელი ერი ძმურათ გამოემართე-
ბოდა თავის სამშობლოს დასაცველათ.

ს ა მ ხ ე დ რ ო ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა. როდესაც
თვალს გადავაკვლებთ ძველ ნანგრევს ტიხეებს და
ტოტათ დაჟუჟვირდებით იმათ მდებარეობას,
ვრწმუნდებით, რომ საქართველოს ერს ქქონიან
მშვენიერი სტრატეგიული მოსახრება თავის
ქვეყნის დასაცველათ. უოველი ნანგრევი ტიხე
ისეთ ალაგას არის აგებული, რომ უეჭველათ, ან
ერთი რომლისამე ხეობის გასასვლელს კარს
იტავს და ან რამდენსაღე ჭაღას. მამასახლი-
სურს პერიოდში თუმცა მუდამი გაწურთნული ჯა-
რი არ უოფილს, მაგრამ მაგიერათ უოველი ახალ-
გახდა, რომელსაც შვილდ-ისრის აღება შეეძლო
ხელში, მხდარი იყო და თითქმის აკვნადგან
ჩრვეოდა ამ იარაღის ხმარებას. ამ სხნით მთელი



ხალხი, თუ დრო მოითხოვდა, ერთ დიდს კარგათ გაწვრთვნულს ლაშქარს შეადგენდა. ამის გამო თუმცა ერს არ შეეძლო მისკლათი ომის (*наступательная война*) გაძრთვა, მაგრამ მოკერებთს ომში (*оборонительная война*), ერი უძლეველი იყო. უოველი ბურჯი, ტყე, კოშკი, ციხე, კლდე ისეთი თავშესაფარი იყო საქართველოს ერისთვის, რომ ამ ღიუვანი მდებარეობის წყალობით ერთი კანცა ათს და ოცს მტერს მოიგერებდა. ამას გარდა რადგან უოველს კანცს თავის ქვეყანაში ადგილ-მამულა ჭქონდა და იმის შემოსავალში არავინ ეცალებოდა, ის მით უფრო დამკვიდრებული და შეუვარებული იყო თავის მიწისა და თავის ქვეყნის, მით უფრო ჭკრძნობდა თავის უოვლების სიუვარულს და მით უფრო თავგამეტებით იბრძოდა თავის ქვეყნისთვის. იმან კარგათ იცოდა, რომ შემოსული მტერი პირველ იმის მიწას მივარდებოდა, დაისაკუთრებდა და თვითონ იმას თავის სახლობიანს ჯანაბათ გაიბდიდა. ამისი გრძნობა კიდევ უფრო ადელეკუ-

ბდა ქართველის გულს და ამხნევებდა თავისე-
 ტებით მტერთან ბრძოლაში. ბუნებრივად
 გამაგრებული ქვეყანა და თავისუფლების მო-
 ევარეობა — აი, ორი უძლეველი ბურჯი ძველ
 დროში საქართველოს ერისა. ამით ნახსენებ
 ის ისტორიული ფაქტი, რომ მაძასახლასურს
 ზერიოდში, მთელი ათას ორასი წლის და კი-
 დევ მეტის განმავლობაში საქართველოს მი-
 წას თითქმის მტერია არ უნახავს თავის ზუ-
 რგზე დაბინავებული. სხვა ქვეყნებს არ ერჩი-
 და და იმათაც არ აძლევდა თავის გაქვლვის
 ნებას. ამ სახით საქართველოს ერი სულ ძველას-
 ძველათ იყო საკუთარი მამულის სიუვარულით
 ღონიერი, მდიდარი თავის სავაჭრო გზის წყა-
 ლობით და ზატვიცტებული მამინდელ ძლიერ
 სახელმწიფოებასაგან, რომელნიც სკვითუ-
 ბის გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო
 ჭკობნობდენ, თუ რამდენათ სასარგებლო იყო
 იმათთვის საქართველოს ერი და მათ უფრო
 შეგობრულათ ექცეოდენ.

გონებითი მოწიფულობა. ძველიდგანვე

ვაჭრობითა ურთიერთობამ ბაზილიონელებთან,
 ლიდიელებთან, ფინიკიელებთან და სხვა საქს-
 როველს ერს ადრე ასწავლან რიგიანი მიწის
 მუშაობა, იმის მშვენიერათ რწყვა ჩინებულათ
 ნაკეთები არსებითა და სარწყავი რეზბათა,
 ქვითკირის შენება, მრავალ ნაირი ხელობა,
 მატყლისა და სამოსლის ქსოვა, მანუელობა-
 ს—რკინისა და სპილენძის იარაღების კეთე-
 ბა. ამისგანა მამსახლისურს ზერიოდში საქს-
 როველს ერის გონება კარგა გაღვიძებული
 უნდა ყოფილიყო. ცხოვრების გასაუმჯობესებ-
 ლათ ერს ბევრი მოხერხება ჰქონდა, მაგრამ
 მეტნიერება კი სრულადით არა იყო, როგორც
 თვითონ იმ განათლებულს ქვეყნებში არ ყოფი-
 ლა, რომლიდგანაც საქართველოს ერი ასე გულს
 მოდგინებათ სწავლობდა უაკელნაირს საქმეს.
 მეტნიერების დაჩისება ბერძნების საქმე იყო,
 რომელსაც ადრე თუ გვიან საქართველოშიაც
 უნდა შემოეტანა გონების საუნჯე, მთელი
 ქვეყნისთვის უბეჯურს ისტორიულს გარემოე-
 ბას რომ ადრე არ აკლდა ეს მეტად ჩინებუ-

ლი ერი. მე ვამბობ რომაელების შემოსევასზე და იმათ შემდეგ ბარბაროსების გადმოყარვასზე, რომელთაც მთელი ოცხა საუკუნის განმავლობაში გაანადგურეს სრულიად მაშინდელი განათლებული ქვეყანა.

იყო თუ არა შემოდებული იმდროს საქართველოში წერა-კითხვა? — ჰასუხას მაგიერათ ვაკმალოთ ისტორია, მაგრამ ის სრულებით არას გვეუბნება ამ საგანზე. უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ერს წიგნი არ ჰქონია და არც სტოდნია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მოგვებს ანუ კერძთაყვანის მცემლების დედლებს არ სტოდნოდესთ წიგნი. უეჭველათ, იმათ ეტოდინებოდათ სპარსული წერა-კითხვა, რადგან იქაური სარწმუნოების დამცველნი იყვნენ, მაგრამ ისინი ერს უფარავდენ ამ წიგნის სწავლას, როგორც სხვა ქვეყნებშიც იყო ძველათ.

ს ა ზ ო გა დ ო უ ფ ლ ე ბ ი ს ს ი ს უ ს ტ ე და
ხ ი რ ა დ ი უ ფ ლ ე ბ ი ს მ ლ ი ე რ ე ბ ა.

რამდენათაც ერი მდიდრდებოდა ვაჭრობით, იმდენათ უოკელი ვაჭრი ჰგონობ-



და უფრო დიდ საჭიროებას, რომ სწორად
 გადა უფლებას უფრო ძლიერად მოვიხსნათ
 ლიუც და ყოველი კაცის ქონებას კერძობი-
 საგან შიში არა შექონდნა. მართლაც როგორც
 ყოველ დროში ყოფილან მეტნაკლები შეძლე-
 ბის კაცები, მაშინაც უნდა ყოფილიყვნენ და
 რამდენათაც უფრო გამდიდრდებოდა ერი,
 იმდენათ უფრო ცხადი შესანიშნავი უნდა
 ყოფილიყო სიმდიდრით გარჩევა თითო-
 ეული ოჯახობისა ერთმანეთში. ამისგან
 შური სიმდიდრის შემატებით თან-და-თან
 უნდა გაძლიერებულიყო; ამას, რასაკვირველია,
 მოხეყებოდა უფრო და უფრო ხშირი ჩხუბი,
 მტაცებლობა და კაცის კვლა, რომელიც
 კიდევ უფრო გახშირებდა სისხლის ძაბვას.
 ამისთანა მდგომარეობაში ვერც ბჭეების სა-
 მართალი, ვეღარც მორიგის ლაშქრობა და
 ვერც მამასახლისების გავლენა ვეღარ შეიკა-
 ვებდა თითოეული კაცის მძლავრობას. მაშ-
 სადაჲ თან-და-თან გამდიდრება ერს უფრო
 და უფრო აგრძნობინებდა სწორად უფლე-

ბის სისუსტეს და უფელ მამასახლისს უღლის
 ლაშქრის შემწეობით თან-და-თან უფრო და და
 უფლებას ჩაუგდებდა ხელში, რომ თითოეული
 კაცი ძაგრათ მოეთოკა და იმის მძლავრობის-
 თვის აღკვირი აედვა. ამისგანთ იმ ძველ მამ-
 მასახლისურს დაწუობილებას რომ თავის შე-
 სარებრი ბუნებითი წარმატება მისცემოდა,
 ადრე თუ გვიან, საქართველოს ერს უნდა მოემ-
 კო იმგვარივე სახელმწიფო დაწუობილებას,
 რომლისადაც ჩვენ ესლ ვხედავთ ევროპაში, ფარ-
 ნაზის წესს რომ სულ სხვა მრუდე გზაზე
 არ წაუყვანა ამ ერის ისტორიული ცხოვრება.


VI

334 წელს ქრისტეს მოსვლის წინათ აღექან-
 დრე მკვედრელი ოცდაათი-ათასი ქვეითი ჯარით
 და ხუთი ათასი ცხენოსნით საბერძნეთიდან
 გავიდა ანატოლიაში და სუთჯურ დამარცხებით



მთელი სპარსეთის სახელმწიფო ფეხქვეშ ადრ-
 იდრ: იმისი საზოგადო დაწყობილებს სპარსეთის
 ნულსავით დაიმსხვრის ალექსანდრე მაკედონე-
 ლის ძლიერი ხელის მიკარებით. ყოველ ბრძა-
 ლაში ამ ოცდა-ხუთმეტი ათასი კაცი ვინა-
 აღმდეგ დარბოს კოდომანს გამოჭყავდა ხოლმე
 ასი და ორასი-ათასი კაცი, მაგრამ ჰირკელ-
 სავე დატაკებაზე მაკედონელები სულ ცხვრე-
 ბსავით შეკრეუდენ იმ ჯარს, რომელმაც ორ-
 სი წლის წინათ თავის გმირული მხნეობით
 დაიპყრო მთელი მაშინდელი აზიის ქვეყანა.
 რაიყო ამ ჯარის ასე წახდენის მ.სეზი?—
 დამხალი საზოგადო დაწყობილებს სპარსეთის
 სახელმწიფოსა. მთელი ორასი წლის განმავ-
 ლობაში, მას შემდეგ რაც სპარსეთის დიდმა
 ხელმწიფემ კვირასიმ დაიპყრო აზია, სპარსეთის
 სახელმწიფო დაწყობილებს წარმოადგენდა
 ისეთ ქვეყნის სურათს, სადაც წვრილმან პდი-
 კან-ბეგებიდგან მოკიდებული სატრატებამდის
 და თვითონ მეფემდის,—ეს მილიონი უქმათ
 მკვამელი ხალხი აწვა კისერზე დახალს მიწის

მეუბნება ხალხს და მატლასავით სწავლავს იმანს/ ცხოვრების ღონისძიებას. მდივანსავე, მსუ- ვით სატრატების მოხელენი იუვნენ, ამათ ზეით სატრატები და სატრატებს ზეით თვითონ სხარსეთას მეფე. ამათ ხელში გრძობდებოდა მთელი ქვეყნის სამდიდრე და ამ ქვეყნის ოფელს სულ იმაში ხარჯავდენ, რომ თვითონ ფუფუნებით და განცხრომით ეცხოვრათ. ბოლოს დაბალი ხალხი მეტის მეტი შევიწროებისგან ისე მოეშვა, რომ სულ ღონე აღარ შექანდა თავის რჩენისა. ახა, ამისთანა კაცს რაღა მამულის სიუვანრული ექნება, ან როგორი გულით ეამება მეტერს, როდესაც შინ უარესი მეტერი აწევს კისერზე. სამშობლო? — მეტეუკით, მაგრამ ის რა სამშობლოა, საცა კაცი წვალების მეტს არას შეგონდებ? მდაბალი ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ძირია წელ-განწვეტილი იყო, მაღალი წოდებაც აგრეთვე უზრუნველი ცხოვრებისაგან მეტად გასუქებული და სიზარმაცით ღონე გამოლეული იყო. ამისთანა ხალხიდან შედგენილი ჯარი მეტერს წინ როგორ დაუდგებოდა, თუნდ მილიონიც გა-



მკვევანათ. მაშ უმთავრესი მიზეზი სპარსეთის
 სახელმწიფოს დატეხისა იყო იმის^{დაძმადი}
 სახელმწიფო დაწყობილება, რომელმაც თან
 და თან გააფუჭა სპარსეთის ერი. ივანოზ
 მეფემ ეს სახელმწიფო დაწყობილება შემოი-
 ტანა საქართველოს ქვეყანაში და როგორც
 დაძმადი სახდო ტანს თან-და-თან დაასრუ-
 ლებს და მოჭკლავს, ისე ამ სპარსულმა სახე-
 ლმწიფო დაწყობილებამ დაასუსტა საქართვე-
 ლის ერის მოწიფულება. უფრო ამითი აისხნება
 ის ისტორიული ფაქტი, რომ ივანოზ მეფიდ-
 გან მოკიდებული ჩვენ დრომდის საქართველოს
 ერს უცხო ქვეყნის მონებიდან თითქმის თავი
 კვლარ დაუღწევია და თუ დაუღწევია, ასი-ორასი
 წლებით, მეტათ კი კვლარ...

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ იმის
 გრტელი სახელმწიფო გაინაწილეს მხე-
 დართ მთავრებმა. მთელი ორასი წლის გან-
 მავლობაში ისეთი საშინელი ჩხუბი ატედა
 იმათ შორის, რომ დედა შეიღს არ აიყვანდა.
 ბოლოს უოკელმა ამ სახელმწიფოთაგანმა მი-

იღო თავის შესაბუერი სახე. ქვეყანა დაძუდუნდა,
 დიდმა საქვეყნო ვაჭრობამ ისევ თავი გამოჰყარა,
 კეთილმდგომარეობამ და განათლებამ ისევ
 ფრთები მოისხა. უწინდელ ბაბილონის მაგი-
 ერათ ახლაცაკეთდა ორი დიდი სავაჭრო წერტი-
 ლი: ერთი იყო ალექსანდრიის ქალაქი ეგვიპტე
 ში. მდინარის ნილოსის სართავში, დაძუდურე ჰერ-
 ცამი მცირე აზიასში, იქ სან უწინ ლიდიის სა-
 ხელმწიფო იყო. ის გზა, რომელიც გადიოდა
 ალექსანდრიაში ჰერეთებდა წითელი ზღვით ინ-
 დოეთს ევროპასთან და დასავლეთის აზიასთან,
 მეორე გზა, რომელიც იწუებოდა ჰერცამის ქალა-
 ქიდან გადიოდა. რიონისა და მტკვრის გა-
 ყალებს კასპიის ზღვასე, მეორე ბაქტრიის სახელ-
 მწიფოში. ეს სახელმწიფო გაკეთდა ალექსანდრე
 მაკედონელის შემდეგ კასპიის ზღვის აღმოსავ-
 ლეთით ინდოეთსა და დასავლეთის აზიას შუა შე-
 იქნა ვაჭრობით შუამავალი. მას რიონ-მტკვრის
 გზა ჰერეთებდა მთელს საბუთმნეთს და ჰერცამის
 სახელმწიფოს ბაქტრიასთან და ინდოეთთან.
 შლოსკრის სიტუკით-მეორე საუკუნის და,

წუებისა ქრისტეს მოსვლის წინაჲ ატტალგანდა
 ზერგამის სამეფოს მბძანებლათ და სამეფოებს
 შორის ის უძლიერესს სახელმწიფოთ განადა.
 «საქვეუნო ისტორიაში ზერგამის სამეფო მეტად
 შესანიშნავი და პატრივტიული შეიქნა ქრისტეს
 მოსვლის წინათ მეორე საუკუნის დამდეგს, რად-
 გან ის იყო საბერძნეთის განათლების შუაწერ-
 ტილათ, სადაც აღმოსავლეთისა და საბერძნე-
 თის შეერთებულმა განათლებამ უმაღლესს ხარის-
 ხამდის მიაწია. ატტალ ზარკელის წუალობით
 ზერგამის სამეფოს მასჲნ მთელი მტირე აზია
 ეჭირა და ძველი საბერძნეთი იმდრას სწო-
 რეთ ამ სახელმწიფოში განახლდა.—მეფეებმა
 დიდი უფლება მისცეს ქალაქებს. ხელფუნე-
 ბასა და მეცნიერებას ხელს უმართავდენ,
 აგროვებდენ წიგნებსა და ხელფუნურს სუ-
 რათებს, ეწეოდენ ხელფუნებს და მეცნიე-
 რებს...» ზერგამის მეფეებმა თავის მოხერხე-
 ბით და გონიერი მოქმედებით იმდენი სიმ-
 დიდრე შეკრიბეს, რომ ატტალ მეფის
 ქონება და იმის სახრავო სიმდიდრის ხმა

რომაელებში ზღაპრით იყო გადაქცეული.
 «ისინი — მეფეები — ხელს უძარტავდნენ კრის-
 კეთილ-მდგომარეობითს წარმატებულს, მეტ-
 ნიერებსა და ხელისუფლებას იწვევდნენ თავის
 კარზე, უხკათ აჯილდოებდნენ და ხელს უწეობ-
 დენ იმათ, ასე რომ ჰერგამა შეიქნა საბერძ-
 ნეთის სკლავობის და მეტნიერების შეაგული.

იმათი მწიფე ელობის გამო ჰერგამის სამე-
 ფო აღებშიცემობით, ვაჭრობით და მოხელე-
 ბით გაჯიბრებულა იუა ეკვიპტუსთან, რე-
 ძელიც იმდროს საბერძნეთის ვაჭრობისა და
 აღებშიცემობის შეაგულათ ირიცხებოდა; ჰერგა-
 მის სამეფოს სატახტო ქალაქი, ჰერგამი, თით-
 ქმას ისეთნაირათ შესანაშნავი და საჯარო შეიქნა
 მთელი ქვეყნის განათლებისთვის, როგორც
 იმის წინა საუკუნეში ეკვიპტის სატახტო ქა-
 ლაქი იყო. ევშენ მეორემ ჰერგამში გამართა
 ისეთი ბიბლიოთეკა, სადაც მკელი მწიგნუ-
 ლის სიტყვით რძასი ათასი ხელნაწი იყო-
 ვა. როცა ეკვიპტის ზტოლომეებმა შერისგა-
 მო აუკრძალეს იმ ჰაზიროსის გაცნა ჰერგა-

მის სამეფოში, რომელიდგანაჲც მამინ სვეთებ-
 დენ დასაწერს ქალაქდს, ზერგამელებს^{საქართველოში}
 გონეს ტყავას ქალაქდის კეთებან, რომელსაჲც
 უძახდენ ზერგამენტს და ამ ხსალი საქონლით
 კიდევ უფრო გახდიდეს თავისი ვაჭრობა. ატ-
 ცალი ზირველისა და იმის შემკვიდრებისაგან
 მოწვეული მეტნიერები იმავე გვარს ლიტუ-
 რატურაში და მეტნიერების ძიებაში იუვენენ
 განთულნი, როგორც ალექსანდრიის მეტნიე-
 რები და ამსახით ზერგამი ალექსანდრიისსაჲით
 სამეტნიერო ქალაქათ გახდა, სადა მიდიოდენ
 შორის ქვეყნიდგან და სწავლობდენ მათემა-
 ტიკას, მეხანიკას, ვარსკვლავთმრიტხველობას,
 ზღვის ხელობას და ფილოსოფიას. ორივე ქალა-
 ქში იყო დაგროვებული ძრავალი ძვირფასი ხე-
 ლაქნების ნაწარმოები შორეული ქვეყნიდგან
 მოტანილი და ადგილობრივის ხელაწნებისა-
 გან ნაკეთები. შემდეგი დროის მწერლები,
 როცა დაიწყებენ მამინდელს სუვეთესო სუ-
 რათებზე ლაზარაკს, ყოველთვის ამას იტყვი-
 ან, რომ ზერგამის მეფეები ძალიან გულუხიე-

მიუზრკველები იყვნენ სელონობისა. სელონობის
 ნებსსთან და მეტნიერებასთან ვაჭრობის
 მრავალგვარი სელონობა ძალიან გადიდებული
 იყო ზერგამში. ზოგიერთი ზერგამის საქონე-
 ლი, მაგალითად, ნაქსოვი საქონელი და ხალი-
 ჩები ისეთი ნაქებნი იყვნენ მთელ ქვეყანაში,
 რომ სუკეთესი ხალიჩებს და ნაკერების რე-
 მულები დიდი ხნადგან ატრეტალურს საქონელს
 ეძახდენ.»

ზერგამის სახელმწიფოს პირდაპირი სავა-
 ჯრო გზა აღებმიტყობით გამლიერებულ მა-
 შინდელ ბაქტრიანის სახელმწიფოსთან ქქონ-
 და გზებზე რიონ-მტკვრის გაყოფებაზე,
 რომელიც აერთებდა შავსა და კასპიის ზღვას
 და იმათ იქით მთელს აღმოსავლეთის აზიას
 დასავლეთის აზიასთან და ევროპასთან. ამას
 შემდეგ ნათლად წარმოვიდგეთ, თუ რამდენი
 სიმდიდრე უნდა დამრულ იყო ამ გზაზე.
 იმ დროს განითქვეს ვაჭრობით სახელი რე-
 თინისა და მტკვრის პირათ მდებარე ქალაქებ-
 მა, რომლებს შორის განსაკუთრებით შესა-

ნიშნავნი იუვენ ანსეოპალისი, მდებარე რიონის ჰარხე იმ ალაგას, საცა ამ ლაქეკს ეძახიან და ბარდა მტკვრის ჰარათ შირვანის მასწავლი. ამათ გარდა იყო კიდევ მეტად ნაქები ვაჭრობით დიოსკურიას (სოხუმა) და ჰინდი (ბიჭვინტა). ამ დროსვე გაიშალა შარანის სავაჭრო წერტილი, საცა იყო განწყობილი მთელი აზიას და ევროპის საქონლის დასაწყობი ალაგი. რომელი მუტნიერი ჰლანი, რომელიც უფთავს საქართველოში ამტკიცებს, რომ მარტო რომი უფულ. წელიწადს ჰგზავნიდა შარანს ას მილიონ სესტერციას ბაჟის ფულსა. მგრამ ეს აურაცხელი სიმდიდრე უწინდელ დროსაკით ერს აღარ ეძლეოდა. ამ დროს საქართველოში იყო გამართული სამეფო ტახტი და ხევის კარების, ანუ ქალაქების შემოსავალი სულ მეფის და ერისთავების ხელში გროვდებოდა.



VII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარათაშვილი ამბობს, რომ თვარნაოზი იყო მცხეთის მამასახლისის შვილი, იმისი ჯედა სპარსელი ქალი და მამა კი უმაწვილობიდანვე დარბილ კოდომანის კარზე გახდილი. იმან თავისი ახოვნებით, სიმარჯვით და მხნეობით მოიპოვაო სიუვარელი დარბილ კოდომანისა. მაშასადამე ამ კაცს დაწვრილებით უნდა სტოდნოდა სპარსეთის სახელმწიფო და წყობილება და, როგორც მცხეთის მამასახლისებიდან ჩამომავალი ჰიბრეული მისი განზრახვა ის იქნებოდა, რომ როგორც სპარსეთის წესი შემოეტანა საქართველოში, ჯარი გაეწყო; თუ თავისი არა, ჰიბრეულ დროში დარბილ ხელმწიფისაგან ენათხოვრნ და იმის შემწეობით დაეპურა საქართველო და მეოქვდ გამხდარიყო. ეს განზრახვა მით უფრო სასურველი იქნებოდა თვარნაოზის მამასთვის, რომ უმაწვილობიდანვე სპარსეთის სახელმწიფო კარზე ნამყოფი და შეჩვეული განცხრომას და იყო-



ნუელობას, მარტვი და განუცხრომელი ცხოვ-
 რებს თავის მამა ჰაჰისა დაღრთვით მარტვი-
 ნებოდა. ახლა ესეც ვიკ თხოთ სპარსეთის
 კარზე მცხეთის მამასახლისი ემაწვილობი-
 გან რათ უნდა უფილიყო გაზრდილი?—ამას
 ბეგრი ახსნა არ უნდა. კაკასია იყო სპარსე-
 თის ჩრდილოეთით გაწვილი კასპიასა და
 შავ ზღვას შუა. იმის შუაგული ეჭირს საქარ-
 თველას ერს, რომელიც იყო მხნე, დონიერი,
 თავისუფლების მოყვარე, გუშაგათ (ყარაულათ)
 იდგა კაკასიას მთის განსავლებში და იმა-
 რებდა ჩრდილოეთის ველურს ხალხს. სპარსე-
 თის სახელმწიფოსთვის მეტად საჭირო უნ-
 და უფილიყო ამ ერის როგორმე მეგობრათ
 ყოლა და ამისგანა აქაური პატრიარქული კა-
 ტები უნდა მოებირა თავისკენ. აი, რის-
 გამა მცხეთის მამასახლისის შვილებს იმატი-
 ავბდა თავის კარზე, ჩრდიდა თავის წესზე
 და მეტე პატრიარქისტემით და დიდი საჩუქრით
 ისტუმრებდა მცხეთას. ამას შემდეგ რა განს-
 კვირველია, რომ მცხეთის მამასახლისები უფ-

ველთის ზატვიისტეით უუერებდენ სპარსე-
 თის მეფეებს. ამისგანთ სწოგადღეისტე-
 რიანი მცხეთის მამასხლისს ეძახიან სპარსე-
 თის სატრანათ, მაგრამ ამის დამატკიცებუ-
 ლი საბუთი არა არისრა. არც არის ეს ამბავი
 დასაჯერი. მცხეთის მამასხლასს იმდენი უფ-
 ლება არ ქონდა საქართველოს ერსე და, რომ
 სდომებოდა თავისი გავლენით, ვერც მოა-
 ხერხებდა საქართველოს ერის დამორჩილებას
 სპარსეთის მეფის ხელ-ქვეით. უფრო სარწ-
 მუნთა ვიფიქროთ, რომ თვითონ სპარსეთის
 ხელმწიფეები რადგან ძალიან გაამაყებულნი
 იყვნენ და თავის თავს ეძახდენ მთელი ქვეყ-
 ნის მოუღობელათ, მცხეთის მამასხლისსაც
 თავის სატრანათ უწოდებდენ, თუმცა ეს სიტ-
 ვეები იმათს ტრანანობის მეტს არას ამტკი-
 ცებენ. ივანჩახს, როგორც მცხეთის მამას-
 ხლისი/-შვილს დაწვრილებით უნდა სტოდნოდა
 სპარსეთში გაწდილი მამის განწრახვა, მით
 უფრო, რომ დედა სპარსელი ჰყავდა და, რო-
 გორც ამბობენ, დარითს კოდომანის ქალი



იუოკო. მაშასადამე სპარსეთის მეფის მსული
უმანვილობადგუნვე ჩაგონებდა თბვის შვილს
მეფობას სურვილს.

როდესაც სპარსეთის სახელმწიფო აღექ-
სანდრე მაკედონელმა დაიბურა და იმის სა-
კვდილს შეძლო ეს მზაის სახელმწიფო აღექ-
სანდრეს მხედართ მოაზრებმა განაწილეს, ბე-
რძნები საქართველოსაც მოადგენ. ბრძოლაში
მოჭლეს მტრეთის მამასხლისი და დაიწეს
ამ ქვეყნის დაბურობა. თარნაოზი მამინ სამა
წლისა იუო და დედამ მთებში დამალა. როდე-
საც მოწითულელებში შევიდა, ის შეაქნა თავის
აურაცხელი ქონების ჰატრონი და რაც მამას
არ დასტალდა, შეიღმა აასრულა. გარემოებაც
კარგი დაუდგა. საქართველოს ერი ისე გა-
ჯავრებული იუო ბერძნების ჯარის ცარცვა-
გლეჯისაგან, რომ მხოლოდ ერთი დამხების
მეტე არა უნდოდათ რა, რომ დიდი და ჰატარა
ამდგარიუო საზნადარი მეტრის გასაურელათ.
იმათ უნდოდათ მოთავე კანტი და ამ შემთხვე-
ვაში თარნაოზზე უკეთესს ვის იპოვიდენ. ის

იყო კარგი. ვაჟკაცი, პატრიოტული გვარის შვილი და დიდი სიმდიდრის პატრონი. იყვნენ ნახშირის გაწევა ჯარი ბერძნულს წესზე, საყენს მთელი ერი, დაამარცხა მტერი და ქვეყანა განათავისუფლა. ამის შემდეგ საკუთარს იმის განზრახვასაც წინ არა დაუდგებოდა.

იმან გამართა მუდამი ჯარი მაკედონელი ჯარის წესზე. ისტორიის ამტკიცებს, რომ იარნახოს ჭეკუდა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი სამხედრო ვარჯიშობაში კარგა განვითარდა. ამ სამხედრო ჯარს სწავლათ დაერქვა აზნურები (თავისუფალი კატები). ისინი იყვნენ მოგროვებულნი როგორც ქართველებიდან, აგრეთვე დაქირავებულ უცხო გვარის კატებისგანაც. ზევი ამ მუდამი ჯარის შემწეობით იარნახი თან და თან შეიქნა საქართველოს სრული უფალი, მერე მთელს ქვეყანასაც მისცა ახალი დაწეობილება სწავლულს წესზე. იმან სვა და სხა მწრებში დააყენა ხევის ბერების მაგისტრთ ერისოვები, თითოეულს იმათგანს გაუნაწილა თავის ჯარი, რომელიც უნდა ერჩინათ



იმ მხრებს, სადაც ერისთავები იყვნენ დაუ-
ნებულნი. ომიანობის დროს უკველიან ერის-
თავი თავის მხედრობით ანუ აზნაურებათ უნდა
გამოსულიყვნენ მეთვის მოსახმარებლათ. ამ
სახით თვარნაფხმა გააკეთა მხედრობა, რომე-
ლიც დაწვა კასერზე საქართველოს თემობას,
დაიჭირა ქალაქები, კომპეები და ამით მთელი
ერი კიდევ უფრო მავრათ ჩაიგდო ხელში.
ამიერითგან ჩნდება საქართველოში თავად-
აზნაურობა, რომელიც არის მხედრობა და ირჩენს
თავს, რომელიც ბაჟის შემოსავლით, ისე თვი-
თონ ერისაგან ხარჯის რომეკით. ამ დაწყობი-
ლებასში მეოვე არის ყველასი თავი, ერისთავ-
ბი იმის ხელ-ქვეითნი და აზნაურობა იმათი
დონე, რომლის შემწეობით მეოვე თან და
თან მხდება თვით მხურბული უზენაესი არსე-
ბა, მაწის მომუშავე ერი. კი მხოლოდ
მეთვისა და იმის მხედრობის ანუ თავად-
აზნაურობის მსახურებელი.

აქედგან წარმოსდგა სამი დიდი უბედურება.
ქვეყნისთვის.

მორკელი უბედურება. ნახევარი ნა-

წილი ერისა გადაიქცა მხედრობათ, ანუ
 ახატებთ. და ვინც მწარმოებულათ დაწინა, მან-
 ცო იძინ შეადგინა ერის მეორე ნაწილი, რომ-
 ელსაც ნახევარი თავის შრომის ნაყოფი წა-
 ერთო და მიეცა მხედრობას. ეს უქმი ჯარი
 დაწევს თავზე მიწის მეხატრობებს და ამ-
 ნაირათ ჩამოვარდა ქვეყნის დამარღვეველი შერი
 და მტრობა. აი, სხვათა შორის ბარათაივილი
 რის ამბობს მეფე ამხანაჟზე, რომელიც ცხოვ-
 რებდა მეორე საუკუნეში ქრისტეს მოსვლის
 შემდეგ: «ამხანაჟი ისე მადლობელი იყო თავ-
 ვისი მხედრობისა, რომ ლაშქრობიდან რომ-
 ცა სახელმწიფოში დაბრუნდა, ჯარს ნება მის-
 ცა, რომელიც გინდათ, ისე მოიქცითო. ამის-
 გამე ერში მსწრაფლად შემოვიდა გარეუნი-
 ლება, მხედრობამ დაუწყო მშვიდობიანს და
 მეშა ხალხს მძლავრობა, ცნობვა-გლეჯა და და-
 წიოკება. შეგინებულებმა ველარავისგან მო-
 ითხოვეს სამართალი და ერი მალე ჩავარდა
 სასოწარკვეთილებში.

ამისთანა მოქმედებით იმდენი უბედურება



მაიუენს მხედრობამ ერს, რომ ის მიუდგა
 ერისთვეებს და ითხოვდა ამათგან მხედრობას.
 ერისთვეები მიხვდენ, რომ თუ ერის ხმას არ
 გაუგონებდენ, იმათში ზატვიისცემას დაჭკარგვი-
 დენ და იმათაც ისეთივე უწყესობება მიადგებოდათ
 მეივის მხედრობისაგან, როგორც თვითონ
 ერს. სამეგრელოს, ოძრხეს, კლარჯეთის და
 წუნდის ერისთვეები, რომელნიც მეივის კარ-
 ხე უფრო დაშორებულნი იყვნენ, განუდგენ
 ამხასხ მეივს და მოითხოვენ მეივით სომხე-
 თის მეივის შვილი რევი; ამათი მხარე ეჭი-
 რათ რომაელებს და მთაულებს. თუმცა ამ-
 ხასხს სხარსელება ესმარებოდენ, მაგრამ ერთ
 ბრძოლაში ქართველებმა მაინც დაამარცხეს
 და კიდევ მოკლეს. შემდეგ დროებში ამას-
 თანა შემთხვევა თანდათან ხშირდება.

ამასხათ ძველი მამასახლისების დროს რომ
 ერი თავის მოგებით და შრომით იყო მდი-
 დარი, ხსლას შეიქნა მხედრობის დაარსებით
 დარბი და მამულის გულგრილი.

მეორე უბედურება. უოკელ მასრამი

ერისთავის სრული ბატონობა მოინდომა, ვა-
 მართა თავის ცხელ ქალაქი, გაიერთგულებინა
 ნაურობა და შედა ელოდა, იქნება იმისთანა
 შემთხვევა მომეტეს, რომ მეუასგან დაძო-
 კიდებელი შევიქნეთ. სშირათ მოხდებოდა,
 რომ მტერი რაღა მოადგებოდა სამეფოს
 ერისთავები მეუას მიშველების მაგიერათ,
 იმის მტერთან იკეთებდენ საქმეს და თუ სა-
 რგებლობის იმედი ქიანდათ კიდევ დალა-
 ცობდენ თავიანთ მეფეებს. ამ საქმეში ბუ-
 ნებითი მაგარი ადგილობრივი მდებერობა
 ბევრს შეკლიდა ერისთავს. იმას შექმლო თა-
 ვის მანძილში შესავალი გზები ისე გაემარ-
 ტებინა, რომ ვინცობა მეფე იმანვე გალაშ-
 ქრებულ იყო დასასჯელათ, თუქრი ანათურისა
 ქიანდა.

მესამე უბედურება. მედამ გაწყო-
 ბილს მეუას ჯარს დიდი რჩენა უნდოდა,
 მაღ-მაღლე რძი რომ არ გაემართა, ალათვის იმე-

დი რომ არ შეიძლება, დაქირავებულს უნდა
 რა გაუძლებდნენ. აი, რა მისეულად და
 დენ დაუწყებულათ საქართველოს მეფეები
 სომხეთისას და თუ ოდესმე მეგობრათ გაუხ-
 დებოდნენ, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ან
 სპარსეთი და ან საბერძნეთი აეკლათ. ამ დაუცხ-
 რომელობამ ის ორი დიდი სახელმწიფო
 თან-და-თან გააჯახურა, ასე რომ შემდეგს სა-
 უკუნაობში სპარსეთისა და საბერძნეთის ზო-
 ლიტეკა კავკასიის შესახებ მხოლოდ იმას
 შეიტყუდნენ, რომ საქართველოს ერი ან ერთს
 ჩაუგდო ხელში, ან მეორეს.

ამასხით თანადადის სამეფო დაწეობა-
 ლებამ თვითონ საქართველოში ერთი ნაწი-
 ლი ერისა მეორეს დაამტკუნა, ერისთავებს
 სატრანშების მაგიერობა მოაქმედებინა, სახელ-
 მწიფო შემოსავალი ერის მაგიერათ მეფეს და
 ვიდრე რამდენსავე ზირს ჩაუგდო ხელში, დაწეონ
 ტყუულა მუამელი მხედრობა, რომელიც დაწეონ

ზურგზე ვის სარჩენათ და ამით იმის ღონე
დაჩაგრან, ძლიერი გარეშე სახელმწიფოებრივ
მუდამ ომიანობით დაიმტკუნან და ძალა უნებურათ
გულში ჩაუგდო იმათ საქართველოს დამორ-
ჩილებს.....



ქართული
ზიზლიწოთქქ

მიბაძვას ღეინქსადმი

მეცა მქონია კარგი მამული!...
თურმე სცხოვრებდა იქ სიუკარული,
თურმე იქ ჭურენდა ბედი მდიმარი,—
ესლა კია ეს მარტო სისმარი!

თურმე იქაცა ბრწინავდენ დღენი,
იქაც სცხოვრებდენ ერთგულნი ძენი,
თურმე გაელათ მაშინ ცისკარი,—
ესლა კია ეს მარტო სისმარი!



ინგლისზე

თხზულება ლეინრიხ-ლეინესი

(ნათარგმნი)

I

ს ა უ ბ ა რ ი ტ ე მ ზ ა ზ ე

უკითხელი კაცი რემ გვერდში იდგა გემზე,
როცა ჩვენ ტემზას მდინარეში შევედით და
ტემზის ამწვანებული ნაპირები დავინახეთ.

ჩემი გულის უკვლა კენჭულებში ბუღბუ-
ლებმა გაღობა დაიწიეს «სალამი, თავისუ-
ფლების მხარეკ», ვითუქრე მე. «სალამი თავისუ-
ფლებაკ, გახსლებული ქვეყნის ხალხ მზეკო!
მისი ძველი მზეკები—სიუყარული და სარწუნოე-
ბა—დაჰკენ და გაცოდენ; იმათ განათება და
გათობა აღარ შეუძლიანთ. მსტოკებულნი

არიან ძველი პირტის ტყეები, რომელნიც
 ოდესმე მცხოვრებლებათ სავსე იქნებოდა,
 მათ ნახ ბუჩქებში მარტო გვრიტები იპო-
 თვენ საბედს. დაემხვენ ძველი ტაძრები, რომ-
 ელნიც უხარ-მაცხარ სიმაღლეზე აიყვანა ამაჟამ-
 მლოცველმა ხალხმა, რომელსაც თავისი ტაძ-
 რების ტაძრი აყვანა სურდა. ესლა ისინი ტა-
 რაელები და ნახეკარზედ დანგრეულები არიან,
 და მათში ნამეთვარ ღმერთებს თვითონაც აღარ
 სწამთ თავიანთი თავი. ამ ღმერთებმა თავი-
 ანთი დრო მოსჭამეს, და ჩვენ დრავებს სა-
 კმაო დასტანაა არა აქვს, ხალა ღმერთების
 გამოსაგონებლათ. ვაცაბრიაობის სულის ძალა
 ესლა თავასუფლების სიუკარულზეა მიქცეული
 და ვინ იცის, იქნება თავასუფლება ხალა
 დროების წმინებათ შექმნალა, ისეთ წმინე-
 ბათ, რომელსაც მდიდრებს კი არა, ღარიბებს
 უქადაგებენ, და რომელსაც თავისი მახარებ-
 ლები, თავისი მოწამენი და თავისი ისკანდი-
 ტები ჰყავს! »

— «აღტაცებულა ხალგანდაკ,» მითხრა უკეთელმა კაცმა, «თქვენ თავის დღემდე იმყოფებით იმას, რასაც ეძებთ. თქვენ, შეიძლება არ სცდებით, რომ თავისუფლება ხალხი დროებას წმუნებას, რომელიც მთელ ქვეყანას ეძრეოდებოდა. მაგრამ, როგორც ადესმე, ქრისტიანობის მიღების დროს, სხვა და სხვა ხალხები ამ სწმუნობებს თავის ჩვეულებებისა და ხასიათის დაკვრით ასხვავებდნენ, ისე ეხლაც უფალი ხალხი მაგ ხალხი წმუნებისგან იმას ირჩევს, რაც უფრო უხდება მის ადგილობრივ საჭიროებას და ნაციონალურ ხასიათს.

«ინგლისელები შიანური ხალხი არიან; ისინი უძეგობრო, დასძული ოჯახში ცხოვრობას ატარებენ, და თავიანთ ცოლშვილში და ნათესავებში ეძებენ სულის და გულის სიამოვნებას, რომელსაც, დაბადებიდან დაყოლილ შეუთვისებლობას გამო, ისინი სხლს გარეშე ვერ ჰყოფლობენ. ამასგამო ინგლისელს ისეთი თავისუფლება აკმაყოფილებს, რომელიც შე-

უხებლათ იტყვს მის ჰეროვან უფლებებს, მის გვამს, მის ქონებას, მის პატრიარქებს და თვით მის ჭინიანობასაც. თავის სახლში არაკან არ არის ისე თავისუფალი, როგორც ინგლისელი; როგორც ერთი გათქმულა ანდაზა აშობს, ის თავის სახლში შეუვცდ არის და ეპისკოპოსიც, და არც უსაფუძვლოა მისი ნაჩვევი ანდაზა: *«my house is my castle»* (ჩემი სახლი — ჩემი ციხეა).

მაგრამ, თუ ინგლისელებისთვის უმთავრესი მოთხოვნილება მისი ჰეროვანი თავისუფლებაა, მაგიერათ ძრწინდები არაფრათ ჩაადებს ამის დაკარგვას, თუ კი კაცა მას ერთ ჰაწაწა ნაწალს მანც დაუტოვებს იმ საზოგადო თავისუფლებისას, რომელსაც ჩვენ თანასწორობას ვეძახით. ძრწინდები შინაური კი არა საზოგადო ხალხი არიან. იმათ არ უუჯრთ ოთხ კედელს შუა გარემებული დროს გატარება, რომელსაც ისინი • 1888

conversations anglaise» (ინგლისურ მუსიკას) /
 ეძახიან. უმეღობით მიხტანი ისინი უკანასკნელ-
 დან კაზინოში და კაზინოდან სასტუმროში;
 მათი ძრატე შამპანის ღვინის სისხლი და და-
 ბადებისთანავე დაყოლილი მისვლა-მოსვლის
 ნიჭი, საზოგადო ცხოვრებისკენ მიიზიდავს
 მათ და ამ ცხოვრების ჰიროკული და უკანასკნელი
 ჰარობა, მისი სული,—თანასწორობაა. ამის-
 გამა საფრანგეთში საზოგადო ცხოვრების
 დაარსებას საზოგადო თანასწორობის საჭი-
 როებზე უნდა დაყოლოდა. და თუ რეკოლეუ-
 ტის უმთავრესი მიზეზი უთულოობა იყო, უნდა
 ვთქვათ რომ იმას ზმა იმ გამბუდავმა *roturiers*
 (ერბნალო ხალხმა) მისცა, რომელთაც ჰარია-
 ჟის მაღალ საზოგადოებაში თითქო დიდ-კაცო-
 ბასთან თანასწორათ იღებდენ, მაგრამ ხანდის-
 ხან ძლივს შესანიშნავი და მით უფრო გამა-
 უბატოებელი, დიდ-კაცური დიმილით ახსუ-

ნებდენ უშველებელს, წამბილწველ უთანასწო-
 რობას. და როცა ამ უბრალო ^{ქრისტიანული} ~~საღვთისმეტყვე-~~
 და და ამ ხატონების თავებს წაავლო ხელი,
 ამის მიხეზი ქონების წართმევა კი არა, მათ-
 თვის წინაპარების მოსპობა და სამოქალაქო
 უთანასწორობის მაგიერ კეთილშობილურა
 თანასწორობის დაფუძნება იყო. რეკოლიუ-
 ციის უზირატესი საფუძველი რომ ეს თანა-
 სწორობის სურვილი იყო, ამას ჩვენ ის გვიძ-
 ტკიცებს, რომ ღრანტუხებს თავიანთი თავი
 ბედნაურათ და კმაყოფილათ მიაჩნდათ მათი
 დიდი იმპერატორის (ნაპოლეონ პირველის)
 უფლების ქვეშ, რომელმაც მათ მტარე წლო-
 ვანებს მიხედა და მათი თავისუფლებს თავ-
 ვის სსსტიკ ზედამხედველობის ქვეშ დაიკავა,
 ღრანტუხებს კი დაუტოვა მხოლოდ სრული
 დიდებით აღვისილი თანასწორობის სიამოვნ-
 ნება.

«ტანტუსზე უფრო მომთქენი ინგლისელი
 ამ მიზეზით, უპირატესადის ტოკრატის (დად-
 კატობის) დანახვას იტანს. იმას ის ნუგეში
 აქვს, რომ მის ხელშაას ისეთა უოღლებები,
 რომელნიც შინაურ გაწეობილებში და ოჯახ
 ხის შმართვაში არავის ივენს არ შეადგმევიანებენ.
 და არც ინგლისის დიდ-კატობა არენს თა-
 ვის უოღლებებს, როგორც ამას დანარჩენ
 ევროპაში შერებთან. ლონდონის ქუჩებში და
 სსვა და სსვა სასეირო ალაგებში, ჳრელ ლენ-
 ტებს კაცი მარტო ქალის ჩეპრიკზე დაი-
 ნახავს და ოქროს და ვერცხლის ბუზმენტებს
 მარტო მოსამსახურების ტანსაცმელზე. რა-
 გორც აკტერი, წარმოდგენის შემდეგ, პირი-
 დგან ივერ-უმარის ირეტსს, ისე ინგლისე-
 ლი აფიტერიც, სამსახურის საათის გავლის
 შემდეგ, თავის წითელ მუნდირს იხდის, და
 ჳენტლმენის ტანსაცმელში ისევ ჳენტლ-
 მენათ გამოდის. მარტო სენ-ჳემის სტენა-

ზე ნიადავ ზჩება ეს ტანისამოსები: იქ ორ-
დენის ლენტები დაზარბარებენ, ვარსკვლავები
ბზინავენ, აბრეშუმის შარვლებს და ატლასის
ვაბებს შრიალ-შრიალი გააქვთ, იქ ისმის ოქ-
როს დეზების რაწკა-რაწკი და ძველებური
ფრანცუზული სიტყვის წუობილება, იქ იბუ-
რებიან რაინდები და იმანჭუბიან ფრეილი-
ნები. მაგრამ თავისუფალ ინგლისელს რა
დარდი აქვს, რა ხდება სენ-ჟემსის სასახლის
ტუატში. იმას ხომ არავინ უშლის იმნი-
რივე კომედია თავის საკუთარ სახლში წარ-
მოადგინოს, თავის მოსამსახურები თავის
წინ დაიჩოქოს, და თავისი მოხელის ლუ-
კვერთხს შეეთამამოს *) *honny soit qui mal y
pense* (შერცხვეს მისი შეურაცხყოფელი!)

«რაიცა შეეხება გერმანიელებს (ნემცებს),

*) დეინე ხუმრობს აქ უმთავრეს ინგლისურ ორ-
დენზე (*garter*, ლეკვერთხი), რომელიც მისმა მტა-
რებელმა ფუხის წივზე უნდა ატაროს.

იმან არც თავისუფლება, და არც თანასწორობა /
 სჭირიათ. ისინი არიან «მოაზრე» ხალხი, იდე-
 ოლოგები, ოცნებელები, რომელნიც წარსულში
 და მომავალში სცხვრობენ და აწმყოფი კი არ-
 სიდა აქვთ. ინგლისელებს და ჭრანტუზებს აქვთ
 აწმყოფი, იმათში უოველ დღეს თავისი ბრძო-
 ლა და ისტორია აქვს. გერმანიელებს კი არა
 აქვთ რა საბრძოლველი, და როცა იმათ და-
 იწყეს თუქრი, შეიძლება იმისთანა ნივთები
 იყოს, რომლის შოვნა სურვილის დირსიათ,
 მათმა თეილფსოფოსებმა მაშინვე ღრმა აზრო-
 ვანათ დაასწავლეს მათ ეჭვიანობა ამ გვარი
 საგნების არსებობაში. შეცთობა არ იქნება,
 სთქვას კაცმა, რომ გერმანიელებს თავისუფ-
 ლება უუკრთ, მაგრამ სულ სხვა რიგათ, კი-
 დრე დანარჩენ ხალხებს. ინგლისელს უუკრს
 თავისუფლება, როგორც თავისი კანონიერი
 ბეულე; იმას ხელში უჭირავს ის, და თუცა
 ხანდის-ხან ნამეტნათ ნაზათ არ ებურება,
 მაგიერათ საჭარტება რომ მოიხზავს, და-

იტავს იმას ისე, როგორც ვაჟკაცს ეკადრება,
 და ვაი იმას, ვინც მის წმინდა საწოდში
 შეუხტება, სულ ერთია ვინც უნდა იყოს, მა-
 არშიუე თუ ზელიტიელი. ღრანტუნს თავისუფლე-
 ბა ისე უუვარს, როგორც თავისი საუვარელი:
 ის დნება მისთვის, მწველი ფიცით მუხლს
 წინ უჩოქებს; იმას საუვარელისთვის სხსიკვდი-
 ლოთ აქვს გაწარელი თავი, და მზათა მისთვის
 ათსნაირი სისულელე მოახდინას. გერმანი-
 ელს ვი თავისუფლება ისე უუვარს, როგორც
 თავისი მოხუცებული ბებია.»

საკვირველი ქმნილება უოფილა კაცი! სამ-
 შობლში, ჩვენ თავს გვაბეზრებს, უოველი
 სისულელე, და უოველი უხეირობა გვატეცხლებს;
 ბავშვებსაკათ გკურს ჩვენ მაშინ სამშობლას
 მოცილებს და უცხა ქვეყანაში წასვლას. ბო-
 ლას ძნელა მაკდივართ ამ უცხა ქვეყანაში,
 მაგრამ ის ჩვენ ნამტნათ მოშორებული გვე-
 ჩვენებს და ისევ ჩვენს სამშობლას სისულე-

ღეს და უხეარობას ვიხსენებთ; ჩვენ ძველ
 ნაცნობ ოთახში ჯდომას გვინდებს და
 ღება, იქ ბუხრის უკან თუილი ვუნჯულის
 გაწეობა და «სახოგადო გერმანიელი მოამბის»
 კითხვა. სწორეთ ეს დაქმართა მე ჩემ მგზავ-
 რობის დროს ინგლისში; თვალიდან მამშორდა
 თუ არა გერმანიის ნახიბი, მაშინვე რადღაც
 უცნაური სურვილი მომივიდა: მე ისევ მოვი-
 ნდომე ყველა საღამურათ და სადღესასწაულთ
 მართული თავების დანახვა, რომელნიც წა-
 მოსვლის დროს გაბრახებით დაჯგოვე სამ-
 შობლოში. და როგორც კი საშობლო თვა-
 ლიდან დაკვარგე, მე ის ჩემ გულში ვიპოვე.

ამასგამო შეაძლება, რომ ჩემა ხმა ტა-
 ტათი ადელკებულა უოფილიუოს, როცა მე
 ვითელ კატს ვუბახსე: ანუ მივინებთ გერ-
 მანიელებს! თუ ისინი მართლს ოცნახობენ,
 ზოგაერთებს იმათში ისეთი მშვენებრი ოც-
 ნებებში მოჩვენებიათ, რომ მე ჩვენი მუნობ-

ლების მხივლ ნამდვილ-ცხოვრებაში იმ
 სიხშირებს არ გავცვლი. რადგან ^{არც მხივლნი} ^{არც მხივლნი} ^{არც მხივლნი}
 ლას გვძინავს და უკელა ვოცნებობთ, შეიძ-
 ლება, რომ უთავისუფლებოთა ც იოლათ წავი-
 დეთ; ამისთვის რომ ჩვენ დამჩაგვრელებსაც
 სძინავთ და ისინიც ცნებობენ ჩვენ დაჩა-
 გვრწაზე. ჩვენ გამკვირვებულად მხოლოდ მა-
 შინ, როცა რომის კათოლიკეებმა ჩვენ ცნ-
 ნების თავისუფლება წაკვართვეს. ჩვენ გამო-
 ვითვინებულეთ მაშინ, შევეტაკეთ, ვაჯობეთ და
 მეჩვე მიღს ხელ-ახლავ შეკუდებით და ცნ-
 ნება დავწიეთ. ომ მოწესალო შემწიოთვეკ! ნუ
 ჭკიცხავთ ცნებაში მეოთხ პირებს, ამისთვის
 რომ ისინი ხან და ხან მიღში საკვირველ
 სიტყვებს ამბობენ და ეს სიტყვები თავის-
 უფლების თესლათ იქცევიან. არავას არ შე-
 უძლია წინ და წინ შეიტყუას რა ცვლილე-
 ბები შეემთხვევა რომელიმე საქმეს. იქნება
 თავმობეზრებულმა ინგლისელმა თავისი მე-

უღლე შეამუღოს, კისერზე თოკი მოახას და
 სმიტტილდში გასასუიდათ წაიუვანოს ბრწყინ-
 ნვალე ჭრანტუშმა, იქნება, თავის დანიშნულს
 უღალტოს, მიატეკოს, და ზალე-როილის
 სასახლას ქალების წინ გაღობა და ტეკვა
 დაიწყოს. გერმანიელი კი თავის მოხუცებულ
 ბებიას გარეთ არასოდეს არ გააკდებს; ის
 ყოველთვის სადმე კუთხეში ალავს მიუჩენს,
 სადაც ბებიას ტქვიტათ მსმენელი ბავშვების-
 თვის თავისი ზღაპრების თქმა შეეძლება, და
 როდისმე—ამისგან ჩვენ დიურთმა დაგვიფაროს,
 —თავისუფლებს მთელ ქვეყანას რომ გაქრეს,
 მაშინ რომელიმე გერმანიელ ოცნებელთა-
 განი იმას თავის ოცნებებში გამომტებნის.

ამასობაში ჩვენა ხომალდი, და მასთან—რასა-
 კვირველია— ჩვენი საუბარით მდინარეს ჩაყვა.
 მზე მიწურული იყო და მისი გამოსალმების
 სხივები ანათებდენ გრინვიჩის სააკვათბუროფოს,
 უზარ-მზარ სასახლას-მსგავს შენობას, რომე-

ლიტ ორი ცალკე შენობიდან იყო შემდგანი;
 იმათ შუა ცარიელი ადგილია, ^{ერეკუნული} ~~სამხედრო~~
 თვალ წინ ამწვანებულა გორა იშლება,
 ლამაზი ჰატარა კოშკათ დაკვირვებულნი.
 ხომალდების სმაურობა თან და თან უივრო
 მატულაბდა და მე მეტის-მეტათ მიკვირდა,
 რა ოსტატობათ უკლიდენ ერთმანერთს გვერდს
 ამხელა ხომალდები, ისე, რომ ერთი მეორეს
 არ ეჯახებოდა. ისე ახლო დადიან ისინი
 ერთი მეორესე, რომ შიგ მჯდომებს შეუძლიანთ
 ერთმანეთს ხელი ჩამოხტონ და ერთ და
 იმავე დროს «გამარჯვებაც» უთხრან და
 «მშვიდობით.» გული უტყის გატს, ამოდენა
 გაბერილ იალქნებს რომ ხედავს და უცნაური
 გრძნობა უძრება, როცა ნახარიდან აჩეული
 ხმიანობა სატეკვაკვი მუხიკა და მესომალდეების
 კიჟინა ერთ ხმით ესმის. მაგრამ, საღამოს
 ნისლის თეთრ სუდარში ცოც-ცოცათ ქრება
 საგნების გამხატვულება და თვალ წინ მარ-

ტო გრძელი და შაშველი მარტებიდან შემდგარი /
 ტუე სჩანს.

უკითველი კატა მაინტ ჩემ გვერდით იდგა და ჩათვიქრებული მადლა იუერებოდა, თითქოს ნისლიან ცაში მქრთალ ვარსკვლავებს ეძებდა. ცაზე თვალ მოუცილებლათ, იმან მე მხარზე ხელი დამადო და იმნაირი ხმით მათხრა, თითქოს მისი სწიღებლად ვხრები მასდა უნებურათ სიტყუებთ იქტეოდენ. «თავისუფლებს და თანასწორობას! კატა ამას ვერ იხივის ვერც ამ ქვეყანაზე და ვერც ზეცას. იქნა ვარსკვლავები თანასწორნი არ არიან, ერთი მეორეზე უფრო დიდი და მნათებელია. არც ერთი იმთგანი არ დადის თავის ნებანზე, ისინი მისდევენ ადრიდგინვე დაწესებულ რკანის კანონებს;— თავისუფლებს არც ცაში და არც ქვეყანაზედ არ იხიება.»

«აი ტოუერი *) უცბათ დაიძახა ერთმა

*) ტოუერი სახელმწიფო და მძიმე დანაშაულებებისთვის დანიშნული საპატიმრობაა.

მოგზაურმა, და ხელი ერთ მადლ შენობას მია-
 უკირა, რომელიც ნისლით შემოსილ ღონ-
 დონში, თვალთმაქცური, მძიმე სიზმარსავით
 მჩინდა.

ვლ. ნიკოლაძე.

რს დაუგარგავთ ქალების



და

რს დაეძებენ ისინი?

(უძღვნი ჩვენ ასაღვანდა ქალებს)

«ამ სიტყვებს მივაქცევ ცოცხლები-
საკენ და არა იმათკენ, რომელნიც
ცოცხლებში ურეკიან, სოფელ მკვდარ-
თათანა შეირაცხეს».

ამობენ, რომ ერთი დამნაშავე რაღაც ავკაცობის-
თვის რამოდენიმე წლით სპეცობილება იყო დამ-
წვედულო; გაუთავდა თუ არა დამწვედულის ვადა,
სპეცობილის შედამსედველმა გაულო იმას თურმე
კარები და უთხრა: «ჩემო ძმაო, შენ გაგივიდა სპე-
ცობილება ჯდომის ვადა; ახლა თავისუფალი ხარ.
შექკარი ბარგი, გამოდი ამ სულ-შემსუთავი ოთასიდან
და ფეს-წაუშტვრეკვლათ იცხოვრე ქვეყანაზე.» მაგ-
რამ, წარმოიდგინეთ შედამსედველის გაკვირება, რა-
ღესაც დაინახა, რომ დამნაშავე ამ ამავმა სრულია-
თაც არ გაასარა და, ოთასის გამოთხოვების დროს,
იმან ტირილი დაიწყო. — ამობენ აგრეთვე და მეც



ჩემი უურებით გამიგონია, რომ, როცა ჩვენში გავარ-
და გლესების განთავისუფლების ამბავი გავრავი-
გლესები ამბობდენ, რომ «ჩემ ბატონს თავის დღეში
არ მოკმარდება, ჩემ მამა-პაპას ჯეოლია ბატონი და
მეც უნდა შეელოდოსო!..»

სწორეთ ამნაირია უმეტესი ნაწილის ახლანდელი
ქალების საქმეც: ისინი მამა-პაპიდგანვე შჩკეულან თა-
ვის მდგომარეობას, მამა-პაპიდგან კაცების სელ-ქვე-
ვით უაფილან და თითქმის არავითარ! სურვილი,
თვით-მოქმედება და უფლება იმათ არა ჭჭონიათ, და
როდესაც ასლა ქალებს ეუბნებიან, რომ დროა გან-
თავისუფლდეთ ამ მონობისაგან, თქვენც ისეთი სწავლა-
განათლების, ჭკუა-გონების გამოჩენისა და მოქმედე-
ბის უფლება უნდა გქონდესთ, როგორც კაცებსა აქვთ
და ამით თქვენც უნდა დაესძაროთ კაცობრიობის
წარმატებასა, — ისინი გაკვირვებულნი არიან და ამ-
ბობენ: «ჩვენ ასლაც ვარც მდგომარეობაში ვართ, რის
უფლებები, სდაური მოქმედება, რომელი სწავლა —
განათლება! ასე უცხოვრია ჩვენ მამა-პაპას და ჩვენც
ასე უნდა ვიცხოვროთო!»

**

ძალიან ძნელია რომელსამე კაცს იმის ცუდი
მდგომარეობა აუხსნას, თუ კი ამნაირ მდგომარეობაში
მეოთვი თვითონ არა გრძნობს ამას: საზურობილება

რას დაეძებენ ქალები

ნამწკვედი დამნაშავე ისე შესხვევია თავის დამწკვედვას, თავის ოთასის დამხალ ჯერს, იმის მსოფლიო ოთხ კედელს და განსრულებულ დოშაკს, რომ იმით მოშორება ეძნელება, და ვერ გაუგია — რა სიტუაცია უნდა იყოს გაცნობის თავისუფლებაში. აგრეთვე ქალიც: თავის სამოქმედო ახმარებათ იმას მსოფლიო სისტემით, საწოლი და სანტანტაო ოთახები მიანია, და ამას გამო ვერ გაუგია — რათ ეუბნებიან იმას, რომ ქალის დანიშნულება მარტო გველუცობაში და გაცნობის და თავის გრძნობის დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობს; ვერ გაუგია — რათ ამოარებენ იმას თავის მოარბიე კავალერს, თავის ტკბილი სმების გამოძახს ფორტეპიანოს და რათ ახეჩებენ სელში რაღაც აუფლებებს, რომელიც, ირ იცის, სად და როგორ მოისმაროს!

* * *

ვევლან და ვეკლა ქალები რომ ასე ჭიჭირობდნენ და სჯიდნ თავის მდგომარეობას, მაშინ, უეჭველად, დღეს ამ საგანსე მკითხველთან ღაზარაკი არ მოგვიხდებოდა. მაგრამ, ღვთის მადლით, უმრავლესა ნაწილი დასაგლეთი ევროპის და რუსეთის განათლებული ქალებისა და ამერიკაში თითქმის ვეკლანი — სულ სსვა ნაირათ სჯიან ახლა ქალის დანიშნულებასე და ისინი სსვა ფრივაც მოქმედობენ, იმისთვის, რომ ქა-

ლებმა შემდეგში მაინც, ამ თაკის დანიშნულებისა და გვართ, ცხოვრებისა და მოქმედების უფლებას შეიძინონ.

*

**

ჩვენი დედა-მინის ზურგზედ ისეთი სულდგმულე-ბი არიან, რომელთაც ვერასცხივ, ათასი საბუთით და არგუმენტებითაც, ვერ დაარწმუნებ რომელსამე ახალს აზრში და ვერ ჩააგონებ ამ აზრის ან სხვა რომელიმე საქმის სიკეთესა და სარგებლობას. ამისთანა სულდგმულეებს გარდა, ახლა თითქმის უკვლანი დარწმუნებული არიან, რომ ქალების კაცებთან გათანასწორება, ე. ი. იმათთვის უკვლამ უფლებების მინიჭება, რაც კაცებსა აქვთ, შეუმსუბუქებს მამობრივ სქესს ცხოვრების მძიმე ტვირთს და საზოგადოთ გააერთიორებს მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას.

ამ საგნის თეორეტიკულ მსარეზე ბევრი რამ არის ნათქვამი და დაწერილი უცხო ქვეყნების და თითქმის ჩვენს ღარიბ ლიტერატურაშიაც; და უკვლასთვის, ვინაც კი გონება მამა-მამური აზრებითა და ცრუმარწმუნებით არა აქვს დასშული, ცხადათ დამტკიცებულა, რომ ქალი კაცის თანასწორათ არის გაჩენილი, რომ იმის დამონაგება და სხვა და სხვა უფლებების წართმევა, სიკეთის მიგიჯრათ, ვნებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და სასიათს, როგორც საზოგ.



გადოთ გაფუჭებული უოკელი «მონისა» და «ბატონისა» ბუსება და სასიათი; დამტკიცებულია, რომ ქალმა მარტო შვილსნობისთვის, ტყველი გრძნობისთვის და ქვეყნიერების დასამშვენებლათ არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია, ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვისსა და სშირათ სელსაც ისეთ ნაირათვე შეუძლიანთ კაცობრიობის სასიკეთოთ მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით, დამტკიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს თითქმის ყველა იმ მოკალები და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამ უქმათ მსოფოთ კაცები ასრულებენ. მაშ, თუ ეს ასეა, რატომ უოკელგვარი უფლებსა, უოკელი საქმე მარტო კაცებსა აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები? ნუ თუ ჩვენ ცხოვრებაში ქალებისთვის საქმე აღარ არის? ნუ თუ მართლს თავის ცხოვრების გაუმჯობესობისთვის და ბუნების გამოსაყენებლათ კაცობრიობას იმდენი მამობრივი სქესის ტვინები და სელები აქვს, რომ ქალების პრობლემისთვის სრულიად საჭირო აღარ არის?...

* * *

მაგრამ ყველა ამებზე და სხვა ამ საგნის თეორეტიკულ მსარეებზე ჩვენ არ მოველაშარაკებით დღეს მკითსველს. დღეს ჩვენ გვსურს გავაწინოთ მკითსველს მსოფოდ ის სასსრები და ღონის-ძიება, რომლითაც განათლებული ქალები კაცების მონა-



ბისაგან დასსნას და საზოგადოთ თავის ცუდ მდგომარეობისაგან გამოსვლას აზირობენ. თავიდანვე ვიტყვით, რომ ეს ღონის-ძიება — ქალების სამოქალაქო უფლებების შექნა, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჭკუა-გონების გასსნა. სამივე ესენი ისეთ ნაირათ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულინი, ისეთ ნაირათ კუდი-კუდზე არიან გადაბმულნი, რომ ერთის უმეორეთ შექნა და მეორეს უმესამეთ შეუძლებელი საქმეა. მართლა, როგორ შეიძლება რომელიმე სამოქალაქო უფლებების შექნა, ვსთქვათ, სასულემწიფო სამსახურში შესვლისა, თუ ადამიანი გონება-გასსნილი არ არის? ღარიბს, რომელსაც ლუკმა — ზური არა აქვს, როგორც შეუძლია ჭკუის გამდიდრებას მისდიოს და ან უჭკუო ვაჯს როგორ შეუძლია თავის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესოს?

*
* *

ამიტომაც ქალებმა ამ სამთავე საშუალებას ერთნაირი ყურადღება მიაქციეს და ერთნაირათ სტდილობენ ისინი როგორც სამოქალაქო უფლებების შექნას, აგრეთვე სწავლის მიღებას და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

* *

როცა ამ ოცი-ოცდაათი წლის წინეთ ქალების

მოძრაობა დაიწყო, იმათ კარგათ იცოდნენ, რომ
 პირველი მტრები ქალებისთვის სსკა და ხსნა უფლებ-
 ბის მინიჭებისა კაცები იქნებოდნენ; ისინი კარგათ
 გრძნობდნენ და სედავდენ კიდეც, რომ ცრემლორწმუ-
 ნებით სავსე და წარსული ცხოვრების მაგალითით
 შემდგარი კაცის გონება ვერ წარმოიდგენდა, რომ
 ქალიც კაცია და იმასაც «კაცური» უფლება ადამიანუ-
 რათ, და არა პირუტყუელათ, არსებობისა უნდა ჰქონ-
 დეს. ამიტომაც თვითონ ქალები, თავის საშუალებით
 და ჭკუით, შეუდგენ საქმეს და დაიწვეს მეცადინეო-
 ბა თავის გარკვეული მიზნის მისაღწევად. პირველად
 ეს მეცადინეობა უსოფლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ
 ქალები და ზოგი განათლებული კაცებიც სცემდნენ
 სასსნაირ წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს,
 რომლებშიაც სწერდნენ ქალების ცუდ მდგომარეობას
 და უხვევებდნენ სასოგადოებას და მმართველობას იმ
 გზებსა და სახსრებს, რომლითაც ამ ცუდი მდგომარე-
 იანობის გაუმჯობესება შესაძლებელი იყო. ამ ნაირათ
 ისინი ქადაგობდნენ და ავრცელებდნენ სასოგადოებაში
 ქალების კაცებთან გათანასწოების აზრს.

**

უკვლახე უფრო გაცხარებული ეს სიტყვითი, ლი-
 ტერატურული მოძრაობა ამერიკაში, ინგლისში,
 გერმანიაში და ამ უკანასკნელ დროს რუსეთში იყო.



ამ ნაირი ქაღაღებით ქაღებმა ამ ქვეყნებში მომხრეები შეიძინეს და თავის აზრები საზოგადოებაში: ახლა უოკელ განათლებულ კაცს ნოდან ეთქვა, რომ ქალი მარტო საარსიყოთ არის გაჩენილი და იმის სქმე მარტო შვილის შობა და სტუმრის შექრვა არისო. ამას მაშინ და სშირათ ახლაც მხოლოდ ზოგიერთი ვიუტი და გონება-დას-შული ჰირები ამტკიცებდნ.

* * *

მაგრამ მარტო ლიტერატურული მოძრაობით, მარტო ქაღების სასარგებლო აზრების გავრცელებით, მაგდენი არაფერი არ გამოადიოდა: იმათი მდგომარეობა ისეკ უწინდელურათ შევიწროებული იყო. მაშინ ქაღებმა მიაქციეს ყურადღება ერთს საშუალებას, რომელსაც უოკელთვის და ყველგან მამართავენ სოდ-მე, როდესაც რომელიმე მძიმე საქმის ახრულებას სურთ: მე ვამბობ ასსოციაციასზე. დარწმუნდენ თუ არა ქაღები, რომ განცალკევებული მეცადინეობით, ისინი ბევრს ვერას გარეგებენ, იმათ ასობათ და ათასობით დაიწყეს თავის შეურა და ერთად, ასოციაციით, შეუდგენ თავის საქმეს. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან უოკელ წელიწადს ათასობით იკრიბებიან მიტინგებზე ქაღები, დაპარაკობენ თავის მდგომარეობაზე, კბიებენ თავის

მონობის მოსახშობელ საშუალებებს, მძართვეს ქალებისთვის სასწავლებლებს, ესმარებიან კრიმინალისთვის მათი მუშაობის მოპოებაში, რომლითაც ქალს კანონისაგან დაუმოკიდებლათ ცხოვრება შეეძლოს. ამ მიტინგებზე ათასობით ესწრებიან კაცებიც და ამხაირათ, იმათი საშუალებით, ქალები უფრო მსწრაფლათ და უფრო კარგათ ავრცელებენ თავის აზრებს, ვიდრემ ბუკდვით.

**

ასლან ვახანოთ — როგორ მოქმედებენ და რა გააკეთეს იმ განათლებული ქალების ქალებმა, რომელთაც თავის შევიწროებული მდომარეობა იგრძნობეს.

**

აზრებთ ქვეყანაში ქალებს ისეთი უფლება არა აქვთ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ, ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ აზრებთ ქვეყანაში ქალები ისე ეჩერებიან და ისეთი სკუით არ მოჭვიდებიან თავიანთ საქმეს, როგორც ამერიკაში. ამიტომაც იმათ ბევრი უფლებები სწორეთ ძალით წაართვეს კაცებსა. ნიუ-იორკის სასოფლო შკოლებში სულ 26,000 მასწავლებელია და იმათში 21 000 ქალია. მასაჩუსეტში 4,000 მასწავლებელში 2,5 0 ქალია. ასე რომ მთელი სახალხო განათლება თითქ-



მის მარტო ქალების სელშია. ამას გარდა ამერიკის ქალები არიან: მომრიგებელ მოსამართლეებთან, ზოგი ფესორებათ, ექიმებათ, ზონტაში და ტელეგრაფში მსახურობენ და სხვა.

ნიუ-იორკში და ვაშინგტონში არის ამ ყამად მუდამი ქალების კონგრესი; ვაშინგტონის კონგრესს «ქალების შარლამენტა» ჰქვია. უკანასკნელ დროს ამ შარლამენტმა წინადადება შეიტანა ამერიკის კონგრესში, რომელშიაც თსოულობდა, რომ ქალებსაც მიენიჭოს დეპუტატების ამორჩევისა და საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღების უფლებაო, რომ, ერთი სიტუევით, განსხვავება კაცებსა და ქალებს შუა ამ მართთაც მოიხდესო. ერთ შტატში ქალებსა აქეთ ამ ყამად მინიჭებული ამორჩევითი უფლება. — ყველა ამების მიღწევა და ამ თანამდებობების მოხმარება, უკვკვლია, ქალებს არ შეეძლოთ, უმაღლესი განათლების მიღების (ე. ი უნივერსიტეტებში და კოლეგიებში შესვლის) ნება რომ არ ჰქონდეთ იმათ ამერიკაში.

ამერიკაში ძალიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებლები და სკოლებია, სადაც ქალები და ვაჟები ერთათ სწავლობენ; სშირათ 15—16 წლის ახალგაზდა ქალი და 18—20 წლის ემაწილი კაცი ერთათ სსკდან. ერთს სკამსე, მაგრამ ეს არ უშლის იმათ არც მასწავლებლის უურისგდებას და სწავლაში სი-

ბეჭითეს, და ამისგან საქალ-ვაყო სასწავლებლებში არის-
 ოდეს არც წნეობის დამარღვეველი და არც სასოცია-
 ლოთ გასაყიცი რამ შემთხვევა არ მომხდარა.

ყველა შემოსენებუელი უფლებები, ასე ვსთქვათ,
 სამოქალაქო უფლებებია. ხსენა ვნასოთ — როგორ
 მდგომარეობაშია ამერიკის ქალი შინაურობაში, რჯა-
 სობაში.

* * *

სადაც სასოგადოება იმდონათ განათლებულია, რო-
 გორც ამერიკაში, სადაც ცოლქმრობა მხოლოდ ერთ-
 მხეთის სიუვარულსე და ნდობასე და არა მზითეკ-
 სეა დამყარებული და კიდევ, სადაც სასოგადოთ
 უოველ ქალს ისეთი მრომის ახმარეზი აქვს გასხნი-
 ლი, რომ უოველთვის შეუძლია თავის ჭკუით და
 ხელებით დაირჩინოს თავი, — იქ, რასაკვირველია, ქა-
 ლი, როგორც სსვა მსრვი, არც რჯასობაში იქნება
 კნისაგან დამოკიდებული. — მართლაც, ჩვენ ვხედავთ,
 რომ ამერიკაში არც ქმრიანი და არც გასათსოვარი
 ქალი კნცის მონათ და ჭკუით ბავშვათ არ მიაჩნიათ,
 როგორც სსვაგან: უოველ სასოგადო და კერძოობით
 თავის საკუთარ საქმეებსე ცოლი და ქმარი ერთად
 მოილაშარაკებენ, ერთათ აქვთ რჩევა და ერთათ გადა-
 წვეუტენ — როგორც ხვობია.

ამ რჯასის რჩევაში სშირათ გასათსოვარი ქალიც



იღებს მონაწილეობას. მაგრამ ასაღვასდა ქალს თავის ნაწინაობები და შეგობრები ჯერ, თავის საქმევე და საზოგადოთ, როგორც ჭკუა უჭრის, ისე სცნოვრობს. თავის საკუთარ საქმეში თვითონ ისაა ბატონი და, იმისდა უნებლიეთ, არავის არ შეუძლია ამ საქმეში გაერიოს. ხშირათ ასაღვასდა ქალს ეწვევა სტუმრათ რომელიმე უმაწვილი კაცი; ისინი მარტომარტოკა დასსდებიან ცალკე ოთახში და რაყედმე ლაპარაკობენ. ერთ დედას არ მოუვა აზრში, და კერც გაბედავს, რომ შეიჭვრიტოს ქალის ოთახში, თავის ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ. ყოველი დედა დარწმუნებულია, რომ იმის ასაღვასდა ქალი საზრასნისს არაფერს არ იქს და არც უმაწვილი კაცი იყადრებს და კერც გაბედავს იმის ქალის გაუმატიურებას, რადგან ამის შემდეგ ამ უმაწვილ კაცს, არათუ იმ ქალაქში, მოელ ამერიკაშიაც ღარ შექძლება ცხოვრება, ისე ედეკნის და იმდენს ჯიცსავს იმას საზოგადოება. ერთი-ორი ამისთანა მაგალითის შემდეგ, ქალის გაუმატიურება არავის არ მოსკვლია აზრში...

* * *

რას იტყვიან ჩვენში — მარტო ასაღვასდა ქალი და გაუი რომ დაინასონ ერთად, ცალკე ოთახში? ან როგორ შესედავს საზოგადოება, მაგალითად, იმას, რომ ასაღვასდა ქალი და კაცი სელი-სელს გაყრილ-

ნი ერთად დაიარებოდნენ სადმე ქალაქს გარეთ ან ქუჩაში? უკველია, უკვლა ძალიან იჭვიანოთ შესუდგან ამ გარემოებას: «საქმეს არიგებენ, სიყვარულს უცნა-დებენ ერთმანურათს», იტყვიან. და ვინ დაამტკიცებს, რომ სასოგადოება შემცდარი იყოს, როცა ამისთანა აზრის არის. ჩვენი ცხოვრება იმხარათაა გამართული, ჩვენ ისეთის თვალებით უყურებთ ქალებსა, რომ მართლა, იმათ ხასკის დროს, შირუტეული გრძნობის დაკმაყოფილებისა და არშეყოფის მეტი აზრში არიყერი არ მოგვდის... საზარელია ქალზე ამისთანა შესუდგულობის ქონა, მაგრამ ამაში ერთი მხრით ჩვენი ქალებიც დაშინაშეკენი არიან...

* * *

ვინ იცის, იქნება ერთი მისეხთაგინი იმ ბედნიერი ცხოვრებისა და კეთილ-მდგომარეობისა, რომელშიაც იყოფება ამ უჰმად ამერიკა, ის გარემოებაც იყოს, რომ იქაუნი ქალები უკვლასე უფრო ნაკლებათ არიან გაცებისგან დამოკიდებული, რადგან უკვლასე უფრო მომეტებული უფლებები აქვთ მინიჭებული. იქნება ეს ამერიკელი ქალების დაუმოკიდებლობა იყოს იმის მიზეზი, რომ ამ ქვეყნის ცხოვრებას, სიმდიდრეს და განათლებას თითქმის უკვლა ევროპის სალსები შე-ანტრიან. თუ ამაში ერთი ილტა ჭეშმარიტება მანიც არის, მაშინ ძნელათ წარმოსადგენია — რამდენათ წინ

წაიწევს კაცობრიობის ცხოვრება, როდესაც ყველა
 ქვეყნებში ქალებს შრომის, განათლებისა და სპორტის
 ლათ მოქმედების სრული უფლება მიეცემათ...

*
 **

ამერიკის შემდეგ ყველაზე უფრო გაცხარებული
 მოძრაობა, ქალების სასარგებლოთ, ინგლისში იყო.
 სასოგადოთ ინგლისელებს ისეთი სასიათი აქვთ,
 რომ ყოველი ძველი, თუნდ უაზრო და მკნებელი,
 ჩვეულების გადაგდება და რომლისაჲმე ახალი აზრის
 შეთვისება და ახალი ნაბიჯის გადადგმა ცხოვრებაში იმათ
 ძალიან ეძნელებათ. მაგრამ, თუ გი ერთსეულ ინგლისე-
 ლმა რაჲმე საფუძვლიანათ გაიგო, თუ გი ერთსეულკე
 მისვდა, რომ ეს საქმე კარგი იქნებაო, ან მეორე ცუ-
 დიო, მაშინ იმას კერაფერი კერ დაიჭერს: ყოველ
 ღონის-ძიებას ისძარს, რომ თავის გაგებისა და-
 გვართ, მოიყვანოს სისრულეში (ეს საქმე. — სწორეთ
 ამხაირათ იყო ინგლისელი ქალების საქმეც: მგონი,
 არფერთ განათლებულ ქვეყანაში ქალი ასეთს ცუდს
 მდგომარეობაში და კაცისაგან დამოკიდებულებაში არ
 ყოფილა, როგორც ინგლისში. მაგრამ ინგლისის
 სასოგადოება ამ საუკუნის მეორე ნახევრამდე ამას
 სრულებით ყურს არ უგდება: «ჩვენ მამა-პაპების
 დროს ასე ყოფილან ქალები და ახლაც ასე უნდა
 იყვნენო,» ამბობდენ ინგლისელები. «ჩვენი დედები და

ბებიებიც ამ ნაირათვე ყოფილან კაცებისგან დამოკიდებულნი და უფლება ჩამორთმეულნი, და ჩვენს აკრებულ უნდა ვიუყუთო, აძობდეს ინგლისელი ქალები. დიას, საუბედუროთ, ამნაირ სიტუაციებს სძარათ მარტო ჩვენში კი არა, განათლებულს ინგლისშიაც გაიგონებთ. მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იქ ადრე თუ გვიან გარჩევენ მანცა კარგსა და ცუდსა და, თუ კი ერთსელვე გაიგეს, ყოველ დონეს სძარობენ ცუდი მოსპონ და კარგი შემოიღონ. ჩვენ... მაგრამ ჩვენ ცუდ მხარეებზე თუ დავიწეე ლაპარაკი, ერთობ დიდ ხანს მოგვიწდება გაჩერება და საქმეც შორს წავა....

* * *

ამ ოცი-ოც და ათის წლის წინეთ ჩამოვარდა პირველათ ინგლისში ქალების მდგომარეობაზე ლაპარაკი. ყველასე უფრო ძლიერი და ჩასაგონებელი სიტუაცია ქალების სასარგებლოთ ჯონ-სტუარტ-მილმა და იმის ცოლმა სთქვეს. მას შემდეგ ქალების მდგომარეობაზე და იმათ კაცთან გათანასწორობაზე ლაპარაკი და მოძრაობა ინგლისში არ გაწყენარებულა. ქალების ასოციაციები, სასოციალური და კლუბები, რომლებიც უკით მოვისხსენე, ყოველ წელიწადს იკრიბებიან ღონდონში, სტემენ საქალბო ყურნალებსა და გასეთებს, კითხულობენ საშუალო ლექციებს, ქალების შესახებ;




ესმარებიან ღარიბ და უპატრონო ქალებს მუშაობის და საქმის მოპოვნაში და სხვანაირი ისეთი მადლობის სა-
დაც მარტო ქალებს აძლევენ სამუშაოს და მარტო
იმათ სელსაქმარს ჰყუდიან; წელიწადი არ გავა, რომ
ამ ასოციაციებმა ჰარლამენტში ათასი ქალისგან სელ-
მოწერილი თხოვნა არ შეიტანონ, რომელშიც ისინი
ისეთივე უფლების მინიჭებას თხოულობენ როგორც
კაცებსა აქვთ. მარტო შარშანწინ, მაგალითად, 117 პე-
ტიცია (თხოვნა), 42, 954 ქალის სელ-მოწერილი, შეი-
ტანეს იმათ ჰარლამენტში, იმისგან რომ იმ დროს იქ
იყო სვა იმასე, მიეცეს ქალს ქონებითი უფლება, თუ
არაო. (უნდა იცოდეთ, რომ 1869 წლამდე ინგლი-
სელ ქალებს საკუთრების უფლება არა ჰქონდათ: უო-
ველი, რასაც ქალი თვითონ შეიძენდა, ან რაც დედ-
მამისგან მოჰყუებოდა, განაზღვრული მალით, ქმარის განუ-
კითხავ მფლობელობაში იყო. ამ წელს ცოტათი
შეამსუბუქეს ეს კანონი). — ამას გარდა ამ წელსვე
260 პეტიცია შეიტანეს ქალებმა, რომელშიც თხოუ-
ლობენ, რომ ჩვენც მოგვეცეს ამორჩევითი უფლებები
ე. ი. მოგვეცეს კენჭი, რომ ჩვენც ჰარლამენტისთვის
დეპუტატების ამორჩევაში მივიღოთ მონაწილეობაო. ამ
ორსსამც თხოვნაზე 61,548 ქალს მოეწერა სელი;
ორმოცი ისეთი პეტიცია შეიტანეს, რომლებშიც თხოუ-

ღობდენ ქალაქების გამგეობაში (მუნიციპალიტეტში) მონაწილეობის მიღებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, ინგლისელი ქალები მოსვენებას არ აძლევენ მმართველობას: ეს სამსახურში შესვლის ნება მოგვეცია, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები გაგვიჩვენია, ან კაცების უნივერსიტეტში შეგვიშვი, ვისწავლოთ და სხვა. და იმათმა მეცადინეობამ უსაყურათ არ ჩაიარა: სხვა და სხვა სამოქალაქო უფლებებს გარდა, იმათ ამ უკანასკნელ დროს შეიძინეს უნივერსიტეტებში შესვლის ნება: დღეს ქალები ედახურდის, კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიარებიან და ვაჟებთან ერთად სმენულობენ ლექციებსა

არცერთი განათლებული ხალხი არ უყურებს ისე ცუდათ ქალს, როგორც ფრანცუზები. ფრანცუზების აზრით, ქალი მხოლოდ კაცის სათამაშოთ, დროს გასტარებლათ და საარშეოთ არის განკენილი. დღემდე თვით უგანათლებლესი და მოწინავე სწავლულებიც (პრუდონი, მაგალითად) ამისთანა აზრის იყვნენ ქლებზე. მაგრამ ასლა, როგორც ეკელგან, საფრანგეთშია ც ისეთი პირები ამოჩნდენ, რომელთაც ნამდვილის, და არა პირუტყული გრძნობით დაბრძვებული.



თვლებით დაინახეს ქალების დაცემული მდგომარეობა და სტდილობენ იმათ თქვსზე დაუქნებან. მანამ წინათ შარეის ქალებმა გასსნეს საკუთარი კლუბი, იმ განზრახვით, რომ ქალები, რომელნიც თავის ცუდ მდგომარეობას გრძნობენ, დაუხსლოვდენ ერთმანეთს და ერთად იმოქმედონ. შარეშივე გამოდის ორი საქალებო გასეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში ქალების განათლებისა და იმათი შრომის ჟეროვანათ დასახუქრების აზრებს. ამ სუთი, თუ ექვსი წლის წინეთ 20,000 ახალგაზდა ქალმა შეფიცეს ერთმანეთს, რომ, სანამ აღმორჩეკითი უფლებები არ მოგვეცემა, მანამ ნურც-ერთი ჩვენთაგანი ნუ გათსოვდებაო. ეგონათ, ამით ძალა-უნებურათ მიიმსრობდენ თავისკენ იმ კაცებს, რომელნიც ცოლების შერთვას ავირებდენ, და ისინი ქალების უფლების მინიჭებასუდ კანონმდებელ კრებაში მეცადინეობას დაიწყებდენ. მაგრამ შესცდათ, და კიდევ რომ დაეწოთ მეცადინეობა, აბა, ნაპოლეონის სელიდამ რა სიკეთე, და განსაკუთრებით, რა უფლებები უნდა გამოეცანათ! ამას გარდა შარშანწინ ჰეტიცია შეიტანეს ქალებმა კანონმდებელ კრებაში აგრეთვე იმათი უფლების მინიჭებასუ, მაგრამ ისიც უნაყოფოთ დარჩა.

* *

*

უკანასკნელი ომიანობის დროს, საფრანკეთის ქ-



ლებმა, თავის თავგანწირული მოქმედებითა და მამაცობით, დაამტკიცეს, რომ ისინი მარტო ქალების სათამაშოთ არ არიან გახენილნი. რამდენი მამულს-მოყვარეობა, რამდენი გასაკვირველი თავდაუსოგაობა, რამდენი გულგეთილობა და ჭკუა გამოიჩინეს ქალებმა ამ უკანასკნელს, საფრანგეთისთვის საუბედურო და საშვედლო, ბრძოლაში! მოვა დრო, როდესაც ამგვარი მაგალითებისა და თავისუფალი აზრების გავრცელების საშუალებით, ფრანგული შესცვლისთვის პირუტყულ შესედულობას ქალზე და, ადამიანთ ჩარიცხულს ქალს, ადამიანურ უფლებებს მიანიჭებს....

* * *

საფრანგეთზე უკეთ ქალებს გერმანიაში მიუყავთ თავიანთი საქმე. როგორც სასოგადოთა კაცების განათლება, აგრეთვე ქალებისაც, გერმანიაში, ამერიკას გარდა, სხვა ყველა ქვეყნებზედ უკეთ მიდის. შრუსიაში განსაკუთრებით უთვალავი საქალებო შეკოლებია თუ მართებლობისაგან და თუ თვითონ ქალების ასოციაციებისაგან გამართული. ამ მდაბალ შეკოლებში ყველაზე მომეტებული ყურადღება სხვა და სხვა ხელსაქმესა და ხელმსნობას აქვს მიქცეული. ბერლინში არის ერთი ლიცეია, სადაც ასაღვანდა ქალები და ვაჟები ერთად დაიარებიან ლექს-



ციების სასმენელათ; ბრესლავლის საქაღებო ლიტერატურაში 110 ქალი დაიარება და სსკათა შორის სსკათა მთავრის, ფიზიოლოგიას, ბავშვების მოვლას და სხვა საგნებს სწავლობენ. ლეიპცილის შკოლაში, რომელიც ქალების ასსოციაციამ გახსნა, ვაჭრობას, მეურნეობას და ოჯახობას ასწავლიან ქალებსა.

შარშანწინ, ნოემბერში, მრავალი ქალები და კაცებიც შეიკრიბენ ბერლინში და ჰქონდათ მოლაპარაკება იმაზე — თუ რა ღონისძიება უნდა ისმარონ, რომ ქალების ახლანდელი მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამ კონგრესში იყვნენ დემუტატები (ქალები და კაცები) მრავალი ამგვარი საზოგადოებისა ამერიკიდან, ინგლისიდან და შვეიცარიიდან. კონგრესის პრეზიდენტით ამოირჩიეს პროფესორი გოლტენდორფი, ვიცე-პრეზიდენტებათ და სეკრეტრებათ სულ ქალები იყვნენ. სსკათა შორის გამოჩენილმა სწავლულმა ბიუნსერმა — სთქვა ამ კონგრესზე, რომ ახლანდელი საქაღებო სასწავლებლის პროგრამმა სრულიად უნდა შეიცვალოს, რადგან ამ სასწავლებლებიდან გამოსული ქალები სრულიად ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებასა; ისინი არც მასწავლებლებათ ვარჯიხან და რიგიანათ ვერც თავიანთ შვილებს სრდიანო; იმ სასწავლებლებიდან, ბიუნსერის სიტყვით, გამოდიან ისე-

თი მანდილოსნები, რომელთაც მსოფლიო სტუმრის მიღება და იშოთთან ტიკტიკა შეუძლიანთ განკარგონ და დიდი ხნის მოღვაწეობისა და პასის შემდეგ ბერლინის ქალების კონგრესმა დასდვა შემდეგი გადაწყვეტილება (რეზოლუცია): აბერლინის ქალების საზოგადოებას (ასოციაციას) მუდამ კავშირი და მიწვდომი უნდა ექნეს უცხო ქვეყნების ამგვარსავე ასოციაციებთან, რადგან ამ საქმეში მსოფლიო ერთად და ერთხანით მოქმედება საზოგადოთ ქალების ცუდ მდგომარეობას შეამსუბუქებს. 2) უნდა დავაწინაოთ საკუთარი ორგანი (გაზეთი ან ყურნალი), რომელშიაც მსოფლიო ქალების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და განათლების საშუალებებს იქნება სჯა. 3) უნდა გავმართოთ ქალებისთვის უმაღლესი და აგრეთვე სასელის სასწავლებლები».

მას შემდეგ ეს კონგრესი მუდამ წელიწადს იგრიბება და ნელ-ნელა აკეთებს თავის საქმეს. ამნაირი მკრამ უფრო პატარა კონგრესები და ასოციაციები, მარტო ბერლინში გიარა, სსჯა გერმანიის ქვეყნებშიც და ქალაქებშიც არის.

* *

ესპანიაში ქალები დაიარებაან მადრიდის უნივერსიტეტში; იმათთვის აქური პრეფესორები ცალკე



ლეჭიებს კითხულობენ. შვეიცრიაში მშობლები
 ლობამ ამას წინეთ კოროლისის უნივერსიტეტში სი-
 რულის ნება მისცა ქალებს, რომელნიც სტუდენტე-
 ბთან ერთათ სმენულობენ თითქმის ყოველგვარ ლე-
 ჭიებს. აგრეთვე დანიას ში ქალები დაიარებიან კო-
 პენგაგენის უნივერსიტეტში და, როგორც ამბობენ,
 მშვენიერათ სწავლობენ და კარგათ ესმისთ ყველა
 ძნელი მეცნიერების საგნებიო. ნორვეგია ში
 ქალებს აძლევენ სასოფლო შოკლების მასწავლებლო-
 ბის ალაგს.

ამას გარდა თითქმის ყველა ევროპის სახელმწი-
 ფოებში და აგრეთვე რუსეთშიაც ქალებს ამ უამად
 ტელეგრაფის და ფონტის სამსახურში იღებენ.

*
 * *

რუსეთში ქალებზე ლაშარაკი პირველათ 1861
 წელს დაიწეს, როდესაც, მაშინ დიდი გავლენის მე-
 ქონე ყურნალში — «თანამედროეში» — დაიბეჭდა
 უფ. მ. მისაილოვის საკუთარი და ნათარგმნი
 სტატიები ქალების მდგომარეობასზე. მაგრამ ყვე-
 ლაზე უფრო მომეტებულათ რუსეთში ქალებზე და
 სხვა ბევრ რამეებსედაც დაიწეს ლაშარაკი მაშინ, რო-

დესაც 1863 წ. დაიბეჭდა ამ საქმის შესახებ რომელიმე მანი. მას შემდეგ რუსულ საზოგადოებაში დასრულდა ტურაში თითქმის არ გაწინარეებულ ამ საგანზე სკვა: უკველი გახეთი და უწინაღი, ყოველი განათლებული და გაუნათლებელი საზოგადოების წევრი ვალდებულია რაცნადა თავის თავს რაიმე დაეწერა ან ეთქვა რუსის და უცხო ქვეყნების ქალების მდგომარეობაზე. ზოგიერთნი იმ ასალი აზრებისა და საქმეებისა, რომლებსაც რომანისტი ქადაგობდა, აღსრულებასთან მოაყვანეს, მაგ. ქალების სასკოლო სწავლა და სსკ.

* *

ამ დროს პეტერბურგის ქალებს უნივერსიტეტში და მედიცინის აკადემიაში ლექციების სმენის უფლება ჰქონდათ. შემდეგ მხოლოდ ერთი ქალი (კაშკაროვა) დაიარსებდა მედიცინის აკადემიაში და სსკ სტუდენტებთან ერთად სმენულობდა ლექციებს. რუსეთში აგრეთვე ქალებს უფლება აქვთ საქალებო სასწავლებლებში მასწავლებლებათ და ბულგარტურებათ სამსახურისა.

* *

1867 წ., როდესაც რუსეთის ნატურალისტების თავის-მოყრა იყო პეტერბურგში, აქაურმა ქალებმა შეი-



ტანეს ყრილობაში ქალღი, რომელშიაც სთხოვდნ
 პროფესორებს, გვიშუამდგომლეთ, რომ ზვენი
 ვერსიტეტებში ბუნებითი სკანების სმენის ნება მო-
 გვეცხო. მაგრამ პროფესორების რჩევამ გამო-
 უცხადა იმათ, რომ, თქვენი თსოვნის ასრულება არ
 შეგვიძლია...

1868 წ. ოთხსსე მეტმა ქალმა შეიტანა ქალღ-
 დი უნივერსიტეტში და ქალებისთვის ლექციების
 სმენის ნებას თსოულობდენ. ყოველი რუსეთის
 ქალაქებიდამ მოსდიოდათ მაშინ შეტერბურღის
 ქალებს ადრესები, რომელშიაც ისინი თანაგრძნობას
 და მადლობას უცხადებდენ იმათ ამ საქმეში მეცადი-
 ნეობისათვის *). მაგრამ სსსაღსო განათლების ს-

*) მაშინ ამბობდენ, ვითომც სოგიერთი ჩვენი ქა-
 ლაქებიდამაც გაგ საზნოთ შეტერბურღში თანაგრძნობის
 ადრესები. ის გი მეც მსსსოვს, რომ ამ დროს ქუ-
 თაისიდამაც უნდოდათ გაგ საზნა თანაგრძნობის ადრეს-
 სისა, მაგრამ ვერ მოასერეს. სოგი ამბობდა: ჩვენ
 ვინ გვეითსავს, რა ჩვენი საქმეა! სოგი: ვერ
 თფიღისის ქალებმა გაგ საზნონ, მერე ჩვენც გაგ-
 საზნითო.....მარტო ეს ერთი უბრალო გარემოებაც
 სკამო იწნება იმისთვის, ვისაც ჩვენ ქალებზე აზრის
 შედგენა მოუნდება.....

მინისტრომ უპასუხა იმათ, რომ ქალებისთვის სსკპ-ის საკუთარი სასწავლებლები გასსნილიაო, სადაც ისინი შეიძლება შეგიძლიანთ და ქალების უნივერსიტეტში შესვლა კი ჯერ უდროაოთ დაინახა და იმიტომ უარი უთხრა პეტერბურლის ქალებს იმათ თხოვნაზე.

ს. მესხი





ვალტერის თქმული

ზოლო ფრანცუზულის ენისაგან თარგმნილი
და გარდმოღებული ქართულსა ენასა ზედა თა-
ვლის ალექსანდრე ჭავჭავაძის გარსევანის ძისა
მიერ.

(ორ-ორ ტაყადა გალექსული).

მე ამას წინად ვეწვიე ჩვენს მეწიგნეს მათეოზსა,
რომენ კაცი ქულბაქს უკეთ ვერა ნახავს მოსაწონსა.
მომეკება, ღვთის მადლმანო, ერთი წიგნი მაქვს ასალი,
ჭკეუნიხათვის სასარგებლო, უცხო რამ და განსაწერ-
თხალი.

ეკელა ტუუის, ვინც ეს იცის, კაციც იმასა ჭკვიანო:
ხელთ მომცა, აი, ეს არის, ტაკტიკას ეძახიანო.
ტაკტიკა მეოქი, გავჭკვირდი, და ვუთხარ შენ კი
გქონია, —

მაგრამ ეგ ლექსი აქამდის ჩემს ყურს არ გაუგონია.
მიპასუხა: ეს სასული, საბუძნეთათ აქ მოსული,

წინაშეს მალს სელოვნებს, ასე არის განმარტული:
 აზნაურებს გონებათას, საწადლისა სრულ მყოფობას,
 ვიედე მისი ტაქტიკა, ვამობდი ვინლა მჯობია.

გვსასობდი, ვწმობე მეთქი, იმაში გზას დღის სი-
 გრძისას,

წამალს რასმე მომიპოვებს ამ ხოფლისა სიმწარისას,
 გონებისა განათლებას, ცუდთ ვნებათა მძლე კეჭმნები,
 ეკლას მძურად შევიუვარე, არც ვის ვიმტრობ, არც
 კემტრები.

დავსჯე შინ და ესე წიგნი საუცხოვრო წინ დავიდე,

სსკა ეკელაყა გარდავქუარე, მის ვითვასა ტაკვიდე;

გაშურებდი სულ ზეპირად, დავისწავლო ეგაბე მალე;

და განიხვეთ, ესე წიგნი, კაცთა კვლისა იყო მსწავლე!

იქ სწერს, ვითამ გერმანიას ერთსა ბერსა საკე-
 თილს

შესაქცევლად გოგირდი და გორჯილაყე შეესილოს;

მგრგვალე რაღაც დიდი ტუკია ქუსილსავით განს-
 ტუორცი,

ზეით უნდა ინიშნოსო, რომ ქვე იქმნას კაცთა მსოცი.

სპილენძისა სიღრუიდამ გამოსტუვრესო მუის სი-
 კვდილი,

დასწეროსო რაღაც სასით შარბოლად გარდახრილი:

ერთისა თუ ორის სრფლით, სიფრთხილისა განი-
 შნულით,



ასზე მეტი მწუბორი კაცი გაქროსო ერთობ სულით!
 სრმალი, თოფი თუ სანჯალი, გამსული, გინა მჭრელი,
 ყველას აქებს, ყველა მოჭსწონს, ოღონდაკი იყოს
 მკვლელი.

მერე გვიქებს ღამის ქერდთა, ფრთხილთა, მსნეთა,
 და უძილოთ,
 რომელნიცა გათსრილს გსაში, უდაფოდ და უძა-
 სილოთ,
 მიიპარენ და თან მიაქვთ? ზურგით კიბე მპურობნი
 სძალოთ;

ჟერ პირველად სუთ-ეჭვით მსმილავთ, შემოჭსკდესთ
 რა მოჭკვლენ ძაღად
 მერე მარჯვედ აიჭრებინ ქალაქისა ზედან კედელთ,
 სად საბრალთ მოქალაქეთ ჭსძინავსთ მუედროდ,
 არა მთეველთ.

შეესვიან შიგან სასლსა, ცეტსლითა და მასვილითა:
 ჭმართა ჭსოტენ განუვითხლად, ცოლთა ჭბილწვენ
 საძაგ მძლითა,

ერმათა ჭსრვენ და დაღალულნი ესდენ ბრძოლით,
 ესდენ შრომით,
 ჭსმენ ღვინოსა დაუსოგლად, და სოცით გვამთ ზე-
 დან ჭსსდომით;

შეორეს ღღეს განთიადსა, წარასსმენ რა ამათ საუდრად,

ღვთის მადლობად, რომ კეთილი განზრახვა ვარს-
 შიშვენიერი
 მართალი

უგალობენ ლათინურად, რომ შენ სარო შემწე ჩვენი,
 ცეცხლ-მოდებულს ქალაქშია წინ მძღობელი გზის
 მანვენი,

გინდ ქურდობდეთ, გინდ მძღაგრობდეთ, გინდ კაცს
 ჭკლევდეთ შესაზარად;
 თითქო უკელას ბოროტშია ღმერთი გეკანდესთ
 თანახმარად.

ამ ნაქების სელოვნებით განაცვიფერი და გამწურალი,
 მათესაკენ გავექსნე, შიშით ისეკ იგერ-ნამერთალი.

თავის წიგნი წინ დაუგდე და შეგჭსძასე ამღვრეულმან:
 აჰა, მეტქი, შენი წიგნი, ეს რა მომეც შე წეუელმან?
 შენი ტაკტიკა წაუღე თოთოხ მსედაროთა მთავარსა:
 საბოთისა სასელსედ ის უძღვის ო'მალთა ჟარსა;
 იმან მომართა ზარბაზნით დარდანელისა კარები,
 და უსჯულთა ასწავლა ქრისტეანთ სრვისა გვარები.
 ან არა და ეგე წიგნი მიუტანე რუმენცოვსა,
 რომელმანცა სისხლის ჳნთსეკით ჳსძლია ბენდერს

და აზოვსა,
 და მეტადრე ჭრიდერიგოზს მიართვი ეგ შენი ძცხუბა.
 ძგრამ გრწამდეს, უკეთ იცის მან ეგ ცუდი სელოვნება:
 ის სატანას ბრძოლის გზების ასე მცოდნეთ გაუხდია,
 რომ მაგ წიგნის გამკეთისთვის სულ აღარა დაუგდია.

დია ძველი ოსტატია, ზეპირ იცის სულ ეგანი,
 მკვლელობაში ვერ ედრება ვერც გუსტავ და ვერც
 მობსნი.

აზრ, მე ვერ დავიჯერებ, რომე ღვთისა ვაწთ ბუნება,
 ამისთვის რე დაებადოს, ამაღ ეცეს მათთვის მცნება,
 რომელ ესრეთ საზარელად შემოქმედსა არისსებდენ,
 და ესრეთის სიცოფითა თვითც ივნებდენ, სსკათც
 ავნებდენ.

შენაწს ჩვენთვის ორი სელი, ათი თითი და შეძლება,
 ამისთვის არ მოუცია, რომ ვისწავლათ დღის მოკლება;
 ვაწს რაღა ეგ ეჭირება, უმისოთაც დღე მოკლეობის:
 წყალ-მანკი და ზვი ჭირი, რომელიც სოწც თერაღ
 მძლეობს,

საწყელეს ბუშტში ჭვის გაჩენა, ვაწის მტანჯვი და
 მუვირები,

საოფლე, ციუბ-ცხელება და ათასი სსკა ჭირები;
 ამას გარდა ერთი ჯარი, კარის-კარად მოტანტალე,
 მკურნალებად წოდებულნი, ვაწთა მკვლელნი სენთ
 უძალე, —

არ ვმაროდენ ჭკუენასა, მომსვრელად და მარსრელად,
 რომ ბრძოლაც არ შემოელათ, ერთმანეთის სასო-
 რველად?

კვიროსიღამ იმ მეუქმდის, რომელმანცა თვისთა ერთა
 საკუთარის მაგალითით დაასწავლა ძლევა მტერთა,

ქვეყნად გმირი ვინც უოფილა, უკელა მძაგს და მე-

მათი სიმსნე, მათი ძალი, გინა მათი გულფენება,
 რაგინდ ცაღმდე აღიუკანონ, რაგინდ მიქონ და მიდიდონ,
 უწინ სუღიმც ამოსდებათ, მანამ მხოტკენ მე მიმწიღონ!
 ამას ასე რა ვიტყოდი, ვნასე რომე გუთსეს დგომით
 ერთი ვინმე უცნო გვამი უურს მიგდებდა გულ-დაუ-
 რდომით.

კაბა მისი, ორის ოქროს კულოეტით განაშეკნი,
 უტკეულად სამხედროსა სარისისისა იყო მშვენი.
 დადგრომილი ჭკრეტა მისი, დამტკებარი და აუჩქარი,
 ნიშნეკდა, რომ იყო ჰსწავლულ, მაგრამ მშვიდი და
 გულ-წინარი.

და მოკლედ ვსწთქვა, თუ ეს იყო იმ ტატიკის დამ-
 წერელი.
 მან მომიგო, არ მიკვირსო, რომ მოსუცი, ბრძნულად
 მრჯელი,

ყოვლის კაცის მოუვარული, ღმობიერის გულის მქონე,
 ამა ჩემის ხელობისა იყო მძულე, არ მომწონე:
 ხიუვარულს კი არ ჰქადაგებს, მაგრამ ჩვენგი გვეტირება.
 ახელ მოკლა არ კაენმან, ასე გვეწარბობს ბოროტება,
 და ჩვენიცა ძმანი ღუნნი, და ფრანგნი და ვიზი-
 გოტნი,



დონის პირით მოსეულნი, ძაღლის მითითა, ვით

ქრისტეანობა
გადასცემს

ასე ვერ ააოხრებდენ სენას კიდუ-ნაპირებსა,
თუ რომაული ტაქტიკა ჰსცოდნოდა მაშინ ჩვეებსა.
საღდათი, საღდათის შვილი, ვიჩვენები მე ამ გზასა,
რომ ჩვენ ჩვენსას მოუაროთ, განა უწუოთ ჰრბევა
სსკასა.

და რა ან თქვენ გეწეინებათ, რომე ვინმე დაგიფაროსთ,
გიაძებათ რომე მტერმან, სასლი, კარი გარდაგიწოსთ,
ბადი, ბაღსა დაგიმჰსგავსოს ათასის წლის ნაოხარსა?
თუ ძაღლებს არ შეინასავ, ვინ მოუგლის მაშა ცხვარსა?
დამიჯერეთ, ყველა ბრძოლა უსამართლო ნუ ჰგონიათ,
დიდთა მძლეთა, ვისაც ვიცნობთ, ყოვლთა ბრალი არ
ჰქონიათ;

და იტყვიან, რომ თვით თქვენცა, ღენრისასა ძლევა
მუართა,

დიდებსა და ქებასა შესხმიდით მრავალ-გვართა:

მასა ჰსწადდა, რომ დაეტვა ადგილისა თვისის თელობა.

ღენრისმან რა მან აშავა, ვისც გაბედა მისი მტრობა.

გარსა აწ ამ დიდის მეფის ჰსსენებასა დაკვსსენები:

აღარ გასსოვს ქუჩტუნუსა, იგ დიდრინი იგი დღები,

როდეს ინგლისთ მწყობნი ჯარნი, წესიერად გან-
მსნობილნი,

თავისუფლად შორის შკედთა ჯართა ვლიდენ

განწყობილნი,

თქვენ რა უოგლით ბედნიერნო, მაშინ პარეც

თქვენს სადგომსა

მუდამარებდით მოშაირათ, უცხადებდით კალმით
ომსა,

ანგოსანას სააშიყოთ თი:ტრისკენ წარსვიდოდით,
და პარტყრით ჭოგრებითა მას შესტყერდით, მას
შესტრფოდით.

ან არა და განატყბდით აკტორების კარგაობას;

აჲ ან თქვენ და ან სსიკანი, ვინ ჭსიქმობენ აჲ
მწერლობას.

ან პარეცი სულ ერთობით რას იქმოდა, თვით
მითხარით,

თუ ლუდოვიკს ადრევე სიდრედ არ გაეხწრო თვი-
ნის ჟარით;

და თუ იმ თქვენსა გმირებსა, რომ ქიარაობთ რვა
რვა ფარათ,

ინგლისები ამ ჭკუენიდამ საუკუნოთ არ უყარათ?

თქვენ ხომ იცნობთ მას, რომელმანც დიდებისა
სიუვარულით

ადენი ოთხის წარბაზანით რა შეგმობათ ძლევა
სრულით?

ესე ძლევა მოგვიგო ჩვენ სახსლის ნთხევით მსხე
გრამომხმას,

გოფიერმან ლუტოკმან და ჭბუკმან კარონმან.



და თქვენი კი მოლექსენი მათსა ქებას მოხდას-
 რომელთაცა კარის კარად ივითსვიდენ, იმასიდენ.
 ახოლონტა ქსშირად იბრძვის; ბრძოლის დმერთი
 თუმც მარსს ქქვიან;
 სამღვდელონი, საერონი, კარისკაცნი სულ იბრძვიან;
 კლექსენტი და საბატოერ, სადღაც სენაკს შეკეტი-
 ღნი,
 კალძით კეთილ — განმსკეულობას ებრძვიან და
 უსრჭენთ კბილნი.
 მე, სადღათსა, რათ მიზრასავ, რომ უსარჩლო მას
 სელობას,
 რომელიცა ჩვენ ქვეყანას შემოსს პატოვს და დიდუ-
 ბას,
 და რომელიც მოქალაქეთ, მშვიდობისა დამკვიდ-
 რებით,
 უსრუნველ — ჭყოფს, განამდიდრებს, და აცხოვრებს
 მეუდროებით? »
 უფალმან გვიბერთ ესე ქსთქვა, და დაასრულა
 თქმა გრძელი.
 მეცა მისებრივ დავწუმიდი, მასუსის ველარ მხოვ-
 ნელი.
 ჭეშმარიტის განმსკეულობის კჭრტქენ უოვლადი
 ხელმწიფებს;

კვსტან, რომელმცა ბრძოლა არის სულ პარკული
 მაგრამ გულში ღმერთსა კვსთხოვდი, კვსცვალე დრო-
 ნი სსკებრ იმ გვარად,
 რომ ეს უცხო სელაგუნება უქმად დარჩეს და უხმარად,
 და შენისა მადლის წმიდით გარდმოგვინე ის
 მშვიდობა,
 რომელისაც წარმის ბერსა, თავს-უდვია მარღვევ-
 ლობა.





ქართული
ზოგადი მოთხრობა

«ვარდის ხმაზე»

(გუძღენი ან. მუსხელოვასას.)

—

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს ჰაზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს!

—

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
გარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

—

აღტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას



და მაზედაც ჩემი მღერა
ო'რ ხმოვანად გამოისმას,

ქართული
ბიბლიოთეკა

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და შჩაგვ'ელს კი გულში, ძგერით
ისარიეთ ესობოდეს!...

მამინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
შმო'რდება უქმად გდება
და, ეინც გრძობით დაუგდებს ყურს,
ვუიციავ არც ის მოსტყუვდება!

გამიქვავდეს მამინ ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმ'რუდით სიმით ვაქლერო!...

რაგინდ ბედით ვიყო კრული,
სამინელიც მექმნეს ბოლო,
— არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!!..

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,



თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,
 და მაინც არ აღვიარებ
 შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მე ჩანგური მისთვის მინდა,
 რომ სიმართლეს მსახურებდეს,
 განამტკიცოს ჰაზრი წმინდა
 და გულს წოფელად ახურებდეს!!

ა. წერეთელი



შინ ელი

(მოთხრობა ნ. გოგოლისა).

დეპარტამენტში..... მაგრამ სჯობს ნუ დაე-
სახლებთ — რომელ დეპარტამენტში, რადგან დი-
დი სიფრთხილე სჭირს კაცს ამ დეპარტამენტების,
პოლკების კანცელარიების, და ერთის სიტყვით,
ყოველგვარ სასამართლო ადგილების ხსენება-
ში. ვხლანდელ დროში ყოველ კერძო კაცს თა-
ვის გაუპატიურება მთელი საზოგადოების გაუ-
პატიურებათ მიაჩნია. ამბობენ, დიდი ხანი არ
არის მასაქეთ, რაც ერთს კაპიტან-ისპრაენიკს
საჩივარი შემოუტანიაო, რომელშიაც ის ნათლათ
ამტკიცებსო, რომ ილუპებიან სახელმწიფო და-
წესებები და თვით ჩემ წმინდა სახელსაც ხში-
რათ სრულიათ ამაოდ იხსენიებენო. ამის დასა-
მტკიცებლათ, იმას თავის საჩივართან ერთი დი-



დი უშველებელი წიგნი რომელიც მოთბარებისა
 წარუდგენია, სადაც ყოველს ათს ^{მეცხრეცხრის}
 შემდეგ ის-კაპიტანი ისპრანკია გამოყვანილი,
 და ალაგ-ალაგ ლოთ კაცთაც... ამისთვის ყოველ-
 გვარი უკმაყოფილების ასაშორებლათ, იმ დე-
 პარტამენტს რომელზედაც არის ლაპარაკი, და-
 კარქვით ერთა დეპარტამენტა. მამ ერთს დეპარ-
 ტამენტში მსახურობსერთი ჩინოვნიკი — ჩინოვნი-
 კი, რომელიც არ ითქმის, რომ ფრიად შესა-
 ნიშნაფი იყოს: ბობრი, ქეჩა, დაბალი ტანისა.
 პირველ შეხედულებაზედ ვაფთომც ბრმა, მელო-
 ტან თაერთ, დამკნარი ლოყებით და ყვე-
 ლა ამ სიკეთესთან იმგვარი პირის ფერთ,
 როგორიც ბუასილიან კაცს ექნება ხოლმე. რაც
 შეეხება იმის ჩინს (პირველად ჩინი უნდა ახსენოს
 კაცმა ჩვენში) ის ტიტულიარნი სოფეტნიკი იყო;
 ეს ის ჩანია, რომელსაც სხვა და სხვა მწერ-
 ლები, რომელნიც მხოლოდ ისეთ პირებს შეე-
 ხებიან, რომ კბენა არ შეძლოა, ხშირად დაცინ-
 ვით იხსენიებენ ხოლმე ჩინოვნიკის გვარი ბანმაჩ-
 კანი იყო, ცხადია, რომ ეს გვარი ოდესმე ბან-
 მაკიდან უნდა წარმოამდგარიყი, მაგრამ კაცმა
 არიცის: როგორ, როდის, ან საიღამ მომდინარე-
 ობს ეს სახელი. ამის მამაც, პაპაც და ცოლის ძმა-

ცა ყველა ბაშმაჩინები იყვნენ, მაგრამ ყველა
 ისინი წაღებს ხმარობდნ. სახელი აკაკი, აკაკი
 ვაჩი ერქვა. ეგების მკითხველს ეგონოს, რომ
 ეს სახელი დაცინვით იყოს დართქმეული, მაგ-
 რამ გარწმუნებთ. სრულებითაც არა: ისეთი
 შემთხვევა იყო, რომ ამ სახელის დურთქმელო-
 ბა შეუძლებელი იყო. აი ეს როგორ მოხდა:
 აკაკი აკაკივეჩი, თუ მეხსიერებამ არ გვიმტყუნა,
 დაიბადა ოცდა სამს მარტს, საღამოს. — ცხონე-
 ბულმა დედამ — ძლიერ პატიოსანმა ქალმა
 და ჩინოვნიკის ცოლმა — მოინდომა შვილის მონა-
 თვლა, როგორც რჯული და წესი მოითხოდა.
 მაშინ დედა კიდევ ლოგინათ იწვა; ლოგინის
 მარჯენივ ნათლიები: ივან ივანიჩა ეროშკინი,
 სენატის სტოლის-ნაჩალნიკი — და არინა სი-
 მონოვნა ბელოპრიუშკოვას აპოლიციის აფიც-
 რის ცოლი და ფრიად პატიოსანი ქალი — იდ-
 გნენ. დედას მიანდევს სამს სახელში: მოკია, სო-
 სია და ხოზდაზატაში, რომელიც ჰსურდა, ამო-
 ერჩია და დაერქვა თავის ვაჟისათვის. «არა», იფი-
 ქა ცხონებულმა დედამ: «ესენი რაღაც ახირე-
 ბული სახელებია». იმის პატივის ცემისათვის კა-
 ლენდარი მეორე ადგილას გადაშალეს; ამოვი-
 და კიდევ სამი სახელი: ტრეფილი, დულა და



ვარხასი. «ეს რა ღმერთის წყრომაა!» წამოიძახა დედამ, «ეს რა სახელები ამოდის? ტემპარატად, ეს სეხელები ჩემს ღღეში არ გამიგონია! ვარადატი ან ვარუხი, რომ ამოსვლოდა, კიდევ ჰო! თორემ ტრეფილი და ვარხასი?» კიდევ გადაშალეს კალენდარი, ამოვიდა: პავსიკახი და ვახტისი. როგორც ვატყობ, ეგრეთი ილბალის ყოფილა, თქვა დედამ. «რადგანაც ასეა, დავარქვათ მამის სახელი; მამას აკაკი ერქვა და შვილიც აკაკი იყოს!!» ამაზედ გადაწყვიტეს და ყმაწვილიც მონათლეს. ნათელაში ბავშვი ისე სტიროდა და იტყანებოდა, თითქო აქედამევე ეგრძნოს, რომ ის ოდესმე ტიტულიარნი სოვეტნიკი უნდა გამხდარიყო აი, როგორ მოხთა ყველაფერი ესენი და რა შემთხვევით დავარქვა აკაკი აკაკიევიჩს სახელი. იმედია, მკითხველი ეხლა მაინც არ იქნება ეჭვში და ჩვენც ეს ამბავი მისს დასარწმუნებლათ მოვიყვანეთ. როდის დაიწყო იმან დეპარტამენტში სამსახური, ან ვინ ეცადა იმისთვის, რომ იმას იქ ადგილი ემოვნა, ეს ვერაფერ ვერ გაიხსენა. რამდენი ღირექტორები და უფროსები არ გამოიცვალა დეპარტამენტში, მაგრამ აკაკი აკაკიევიჩი კი სულ ერთს ადგილზედ იყო, ერთს და იმავე მდგომარეობა:

ში, ათეთრებდა ქალღმერთებს ასე, რომ ბოლოს
 დარწმუნდნენ: ის უთუოთ ასე თავის ძველ ვიც-
 მუნდირში და მელოტიან თავით უნდა დაბადებუ-
 ლიყო. არაფერს დეპარტამენტში იმას პატივს არა
 სცემდა: როდესაც შემოვიდოდა, სტოროეები,
 არა თუ არ აღგებოდნენ, არც კი შეხედდნენ —
 თითქოს კარებიდან ბუზი შემოფრენილიყო. უფ-
 როსებიც სასტიკათ ეპყრობოდნენ: რომელიმე
 სტოლის ნაჩაღნიკის თანაშემწე ზედ ცხვირთან
 მიაჩრიდა ხოლმე რამე გადასაწერ ქალღმერთს და
 არც კი ეტყოდა: «გადაწერეთ! ან და «აი, ძლიერ
 საინტერესო საქმეო», როგორც ამ შემთხვევაში
 ზრდილობა და პატიოსნება ღოთხოვს. ის არც
 კი აიხედებოდა, რომ ქალღმერთის ღმერთისათვის
 შეეხებოდა, მაშინვე კალამს მოჰკიდებდა ხელს და
 მოეწყობოდა გადასაწერათ. ამხანაგებს სასაცი-
 ლოთ ყავდათ აგდებულის, ხშირად შემოეხვეოდნენ
 ხოლმე და დუწყებდნენ კითხვას: როდის გექნება
 ჯვარის-წერა შენ სამოცდა-ათის წლის სახლის-
 პატრონზეო და ან დაწიწკნილ ქალღმერთს აყრიდ-
 ნენ თავზე და თან უძახოდნენ, გათოვსო. აკაკი
 აკაკივეიჩი ერთს ამათგანს ხმას არ გასცემდა;
 ისე გულმოდგინეთ და ყურადღებით მუშაობდა,
 რომ ამ ვაი-ვაგლახში ერთს შეცთომას არ იზამდა



ხოლომე; მაგრამ, თუ ზუმრობას გადააქარბებდნენ, მაგალითად, თუ ხელს წაკრავდნენ, რომ წყრბა მიემალათ, მაშინ ის საცოდავის ხმით წარმოთქვამდა: «დამანებეთ თაფი, რას მაწვალებთ.» ამ სიტყვებს მხოლოდ ერთს უმაწვილ კაცზე, რომელიც ახალ განწესებული იყო დეპარტამენტში და რომელსაც სხვა ამხანაგებთან ერთად მიეღო მონაწილეობა აკაკი აკაკიევიჩის გაჯაფრებაში, ჰქონდა გავლენა. ამ სიტყვების შემდეგ, უმაწვილი კაცი მოშორდა თავის ამხანაგებს, რომლებიც პირველ გაცნობაზე პატიოსან და ზდილოპიან კაცებათ ეჩვენა; იმას ამხანაგობაში ხშირათ მოაგონდებოდა ხოლომე მოხუცებული და მელოტიანი კაცი, რომელიც თავის გამაჯაფრებლებს ევედრებოდა: «დამანებეთ თაფი, რას მაჯაფრებთო», და როდესაც წარმოიდგენდა, რომ ამ სიტყვებში სიტყვები: «მე ძმა ვარ შენო» იგულისხმებოდა, საბრალო უმაწვილი კაცი, დაღონებული, ხელებს დაიფარებდა სახეზე; შემდეგშიაც ხშირად შეძრწუნდებოდა ხოლომე, როდესაც მოიფიქრებდა, რამდენი ველური გრძობა და სასტიკი საქციელი იმყოფება ზოგიერთ ფაქიზად გაზდილ, განათლებულ უმაწვილ კაცებში და იმ კაცებშიაც

რბ ღმერთო, რომლებიც ქვეყანას კეთილდღეობას
წილისიან და პატროსან კაცებათ მიაჩნია.

აკაკი აკაკიევიჩს ისე უყვარდა თავის სამსახურ-
რი და ისე თავგადადებული იყო იმისთვის, რომ
ამ შემთხვევაში იმის მსგავსი მცორე ძვირათ მო-
ინახებოდა დედა-მიწაზე. ქალაქების გადაწერ-
გადმოწერაში ის ყოველ გვარი დარდების გან-
ქარვებას და თავის შექცევას ხედავდა: წერაში
იყო მისი სიხარულიცა და დარდიც... ზოგიერ-
თი ასოები მაინც თითქმის მიჯნურებათ ყვანდა
აჩენილი; როდესაც წერაში ამ ასოებამდი მია-
წვედა, სიხარულით, სანამ იმათ დაწერდა, არ
იცოდა, რა ექნა: კიდევ გაიღიმებდა, თვალე-
საც უქნევდა და ტუჩებსაც იმნაირათ აკეთებ-
და, რომ, ერთის სიტყვით, შეიძლებოდა მისს
სახეზე გამოეცნო კაცს ყოველი ის ასო, რომ-
ლის გამოყენასაც კალამი ცდილობდა. იმის-
თვის რომ ჩინი ისე ეძლიათ, როგორც კითილ-
სწილისიანათ ის ასრულებდა თავას მოვალეო-
ბას, ეგების, ყველას გასაკვირველათ, ის სტაკვი
სოვეტნიკობასაც დაიმსახურებდა; მაგრამ, რო-
გორც მისი თანამომსახურენი არ დასცინო-
ბენ, იმან მხოლოდ პრიატკა ყელზე და ბუასი-
ლი წელ ქვეშ დაიმსახურა მაგრამ არც იმის



თქმა შეიძლება, რომ ის მართლა სრულყოფილად უყუ-
 რადლებოთ ყოფილიყო დეპარტამენტში ერთ-
 თმა დირექტორმა, რომელსაც სურდა დაეჯილ-
 დოებია აკაკი აკაკიევიჩი დიდი ხნის სამსახური-
 სათვის, ბრძანა მიენდოთ იმისთვის სხვა უფრო
 ძნელი რამ საქმე, ვინემც ჩვეულებრივი გადა-
 წერ-გადმოწერა. ეს ახალი მინდობილობა იმაში
 მდგომარეობდა, რომ შესრულებულ საქმიან
 იმას რაღაც ქალაქი უნდა შეედგინა სხვა სა-
 სამართლოში გასაგზავნათ; ამისათვის მხოლოდ
 ტიტულის გამოცვლა იყო საჭირო და კიდევ
 ზოგიერთი ზმნები უნდა გადაესწორებია პირ-
 ეული პირიდან შესამეში. აკაკი აკაკიევიჩს ეს ისრეთ
 ძნელ და თავსატეხ შრომათ ეჩვენა, რომ მარ-
 ტო ერთის თვალ გადავლებით გარდააწყდა ოფ-
 ლი. დიდი ფიქრის შემდეგ, მოიწმინდა შუბლი
 და სთქვა: «არა, ისევ სჯობს გადასაწერი რამ
 მომეცით». და ამის შემდეგ იმას, გადასაწერის
 მეტს, არაფერს არ აძლევდენ. — ამ გადაწერ-
 გადმოწერის გარდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზე
 არაფელი არ არსებობდა. თავის ტანთსაცმელზეც
 არაფელს არ ჰფიქრობდა. იმის ვიცმუნდირი,
 მწვანე ფერის მაგიერ, რაღაც წაბლის ფერი იყო,
 აკაკი აკაკიევიჩს, თუმც მდაბალი კისერი ჰქონდა

მაგრამ ამ ვიცმუნდირის მაღალ და ვიწრო სა-
 ყელოში საშინელი მაღალი მოჩანდა და თავი
 ისე უყანყალობდა ამ კისერზე, როგორც თი-
 ხის ქუპრებს, რომლებსაც უანგარიშოთ ატარებენ
 ხოლმე თავით რუსეთის უცხო-ქვეყნელები. უთუ-
 თოთ რამე, ან ღინლი და ან ძაფი კი მიეწებე-
 ბოდა მისს ვიცმუნდირს; და თუ ქუჩაზე მი-
 დიოდა, ისე დაოსტატებული იყო, რომ სწო-
 რეთ იმ დროს გაივლიდა რომელსამე სახლთან,
 როდესაც იქილამ ნაგავს გადმოყრიდნენ, ასე
 რომ წშირათ მიიტანდა ხოლმე სახლში შლია-
 პით ან ნესვის ან საჯამთროს კანებს და ან სხვა
 რამე ამ გვარს ნაგავს. არ შეიძლებოდა მისგან,
 როცა ქუჩაზე მიდიოდა, იქით-აქეთ გაეხედნა,
 რომ შეეტყო — რა ამბავი იყო ქუჩის მეორე კი-
 დის ტროტუარზე. მისი ამხანაგები, ახალგაზდა
 ჩინოვნიკები კი, ამ შემთხვევაში ძალიან გაფაცი-
 ცებით იყურებიან ხოლმე იქით-აქეთ ქუჩაზე და
 შეუნიშნავათ არაფერს არ დასტოვებენ ხოლმე.
 აკაკი აკაკიევიჩი, თუ კი რამე შემთხვევით სადმე
 გაიხედავდა ან ვისმეს შეხედავდა, იმას მაინც
 სულ თავის წმინდა და მშვენიერი ხელით ნაწე-
 რი სტრიქონები ეჩვენებოდა და ეგების მამინ
 მოაგონდებოდა, რომ, შუა სტრიქონებზე კი არა,



შუა ქუჩაშია, როდესაც ცხენი, საიდუმლოდ აქუ გაჩ-
 ნდებოდა, გადებდა თავს მის მხარეზე და ცხენ-
 რის ნესტოებიდამ ზედ ლოყასთან დაუბერა ვედა.
 მივიდოდა სამსახურიდან სახლში თუ არა, საჩ-
 ქაროთ დაჯდებოდა სადილის საქმელად: ცო-
 ტა რამე წვენს შეხვრებდა; ცოტა ხორცს ხა-
 ხვით შესქამდა და ამასთან, თუ ბუხს ან სხვა
 რასმე ამისთანაებს უწყალობებდა ღმერთი. ის
 არაფერს არ დაზოგავდა. როდესაც დაატყობდა,
 რომ მუცელი უგორავს, მაშინვე ადგებოდა სუ-
 ფრიდამ, ამოიღებდა საწერელს ჯიბიდან და მო-
 ყვებოდა წერას. თუ შინ მოტანილ ქალაღდეშში
 გადასაწერი აღარ დაურჩებოდა, მაშინ თავისთვის
 გადიღებდა ხოლმეპირებს იმ ქალაღდეშიდამ, რო-
 მლებიც მოეწონებოდა არა თუ იმითი, რომ კარგი
 ენით იყო დაწერილი. არამედ იმით რომ თვითონ
 ტიტული იყო შესანიშნავი. — თითქმის მაშინაც,
 როდესაც პეტერბურლის მოწმენდილ ცას სიბ-
 ნელე შემოვპარება და მთელი ჩინოენიკობა, თა-
 ვის ჯამაგირისდა გვართ, ნასადილევი და გა-
 მაძლარია, როდესაც ყველა ისინი, განთავისუფ-
 ლებულნი დეპარტამენტში ჯლაბნას და კალმე-
 ბისფხაკა — ფხუკს, — მიეჩქარებიან დანარჩენი დრო
 კარგა სიამოვნებით და მოსვენებით გაატარონ.

ვან თეატრში ვან ქუჩაზე, წანწალით და მალა-
 ზიებში გამოუენილ ნიუთების თვალიერებით, ვინ-
 სადმე წვეულებამი მიდის, რომ იქ, შეთხუპნულ
 ქალებთან ლაქაცუნში და კომპლიმენტში გაა-
 ტაროს დრო, ვან, და ეს უფრო ზშირათ მახ-
 თება ხოლმე, მიდის თავის ამხანაგთან, მეოთხე
 ან მესამე ეტაჟში მდგურთან, ერთის სიტყვით,
 მამინ, როდესაც ზოგიერთი იმათგანი თავ მ.ა-
 ყრილნი ერთ ამხანაგთან-კარტს თამაშობენ, ხე-
 რებენ ჩაის ორ გროშიან სუხარით, თან ოთახს
 აბოლებენ გრძელ ჩიბუხებით და მუსაიფობენ
 რამე უფრო მაღალ საზოგადოებიდან შემოსრულ
 ქორზე. რასაც ვერასოდეს და ვერც ვერაფრით
 ვერ მოაშლის ჩენი კაცი, — მამინ, ვამბობ, აკაკი
 აკაკიევიჩი არაფელს ამაებს არ ჩაღიოდა, იმას
 არაფელი არ ეხალისებოდა და ვერც იტყვის ვინ-
 მე რომ ის ვისმეს სადმე წვეულობაში ენახოს.
 როდესაც დაიქანცებოდა წერით, დაწვებოდა
 დასაძინებლათ და დაძინების წინეთ ერთს გა-
 ილიმებდა, როდესაც მოუფელიდა ფიქრი, რას
 მისცემდა ღმერთი იმას ხვალ გადასაწერათ. — ასე
 მშვიდათ გაიარა იმ კაცის სიცოცხლემ, რომე-
 ლიც ოთხასი მანეთის, ერთი წლის ჯამაგირის,
 სრული კმაყოფილი იყო. და, ვინ იცის, ამ გვარ



ცხოვრებით იმას ეგების დიდი მოხუცებულობა მოასწრებდა, რომ ბევრი უბედურება და ხვედროდა წინ; ეგების ტიტულიარნი სოვეტნიკობას კი არა, ტაინი, დეისტეიტელნი და ნადვარნი სოვეტნიკობაც დაემსახურებინა.

პეტერბურღში ერთი სასტაკი მტერი ჰყავთ ამჩინოვნიკებს, რომელთაც ჯამაგირი 400 მანეთი ან უფრო ნაკლები აძლევათ. ეს მტერი ჩრდილოეთის სუსხი სიცივეა. თუმც კი ამბობენ, ვითომც ის უხდება კაცსაო. დილით ცხრა საათზე, როდესაც პეტერბურღის ქუჩები მოუენილია დეპარტამენტში მიმავალ ჩინოვნიკებით, ამ დროს ეს ყინვა იმ რიგათ წიწკნის და ჰსწვავს ამ საწყობების ცხვირს და ყურებს, რომ არ იციან — როგორ დაიფარონ, ან სად წაიღონ ისინი. მაშინ, როდესაც უფრო დიდს და მემძლე ჩინოვნიკებს შუბლი მომწვარი აქვთ სიცივისაგან და იმის მიზეზით თვალები ცრემლით ევსებათ, მაშინ საწყალი ტიტულიარნი სოვეტნიკები ყოველად დაუფარენი არიან; თავს იმითა შევლიან, რომ გაცვეთილი შინელით გადირბენენ ხოლმე რამდენიმე ქუჩას და, გაყინული რომ არ შევიდნენ სამართლოში, წინა ოთახში დაიწყებენ ფეხების ბრაგა-ბრუგს, ჩქარა მაძრობას, რომ ცოტა მანც

შეთენ და რისიმეს გაკეთება შეიძლოს. აკაკი/აკაკი
 აკაკივერჩმა ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყო გრძელ
 ნობა, რომ სიცივე როგორათაც მას უფრო ზურ-
 რგში და მხრებში უჭერდა, თუმც კი, რაც ღო-
 ნე ქონდა ცდილობდა რომ ქუჩები მალე გაერ-
 ბინა და თავი დეპარტამენტში შეეკარებია. იმან
 იფიქრა, რომ ამის მიზეზი უთუოთ შინელი
 უნდა ყოვილიყო; თავის დასაჩუქმუნებლათ, ერთ-
 ხელ დაათვალიერა ის სახლში ძალიან ყურადღებით
 და, მისდა სამწუხაროთ, შენიშნა რომ სწორეთ,
 ზურგზე და მხრებზედ შინელი საშინლათ დაც-
 რეცილიყო. უნდა იცოდეთ, რომ აკაკი აკაკივერ-
 ჩის შინელი მისს თანამომსახურეებს სასაცილოთ
 ქონდათ აგდებული: იმას, შინელს კი არა, კა-
 პოტს უძობდენ და მართლაც რომ ახირებული
 მოყვანილი იყო. იმის საყელო, რაც დრო გა-
 დიოდა, ასე თან და თან მდაბლდებოდა რადგანაც
 იქიდან გამოწვერა ნაჭრებს თერძი სხვა ადგილე-
 ბის დასაკერებლათ ხმარობდა; ასე რომ ბოლოს
 შინელი მეტის-მეტი უშნო და დაკერილი ტო-
 მარის მგზავსი შეიქნა. ნახა თუ არა აკაკი აკაკივერ-
 ჩმა, რომ შინელი ამგვარ მდგომარეობაში იყო,
 გადაწყვიტა წაეღო თერძთან, პეტროვიჩთან, რომ
 როგორმე მისი შეკეთება მოეხერხებია. აკაკი აკა-



კიევიჩს გარდა, პეტროვიჩს ყველა მისი ამხანა-
 გები და თანამომსახურენი იცნობდნენ რად-
 განც ეს იყო იმათი ტანისამოსის მკერავეც და
 თან დამკერავეც. თავის ხელობა ამან ჩინებულათ
 იცოდა და ყველა მათ მოთხოვნილებასაც აკმა-
 უოფილებდა, თუ რომ მთვრალი არ იყო, ან
 სხვა რამე აზრები არ უტრიალებდა თავში. ამ
 თერძზედ არა ღირს ბევრი ლაპარაკი; მაგრამ
 რადგანაც რიგია, რომ მოთხოვნილებაში ყველა
 პირების ხასიათი და ზნე უნდა იყვეს გამოყუ-
 ნილი, ამისთვის ვიტყვი იმაზედაც ცოტა რას-
 მეს: უწინ ის ერთი მებატონეს გლეხი იყო, სა-
 ხელათ გრიგორი ერქვა. პეტროვიჩი დაირქვა
 როდესაც თავისუფლება მიიღო და გვარიანა-
 თაც დაიწყო ღოთობა, ჯერ დიდს დღესასწაუ-
 ლებზე, შემდეგ გაურჩიველათ ყველა საეკლესიო
 უქმებზედ, სადაც კი კალენდარში ჯვარი ესვა. ამ
 შემთხვევაში ის მამა-პაპურ გზას მიჰყვა, და თუ
 ცოლთან ამაზედ ლაპარაკი მოუვიდოდა, მამინ
 იმას პრანჭვია და ნემენცის ქალს უძახდა. რად-
 განც ცოლი ვიხსენეთ, საქირთა იმაზედაც ვთქ-
 ვათ რამე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, იმის
 მეტი, რომ ის პეტროვიჩის ცოლი იყო და,
 თავსაფრის მაგიერ, ჩეფიკს ახურაედა, არაფე-

ლი არ ვუცით. სილამაზეს ის ვერ დაიკვირებოდა, ამისთვის რომ მარტო გვარდიის სალდათები თუ შეხედებოდნენ როდესმე, მხოლოდ ისინი შეუქცვრეტდნენ ჩეფჩიკს ქვეშ, უქნევდნენ ცალს ულვამ და თან საოცარის ხმით ჩაიბუტბუტებდნენ რაღაც სიტყვებს. . . .

დაგვაფიწყდა გვეთქვა, რომ პეტროვიჩის სადგომს, რომელიც მეოთხე ეტაჟში იყო, ძლიერ მაღალი კიბე ჰქონდა. როდესაც აკაკი აკაკიევიჩი შეუდგა ამ გათხუპნულს, ნაგავით მოყრილს და სპირტით აყროლებულს კიბეს, ის ფიქრობდა იმას — თუ რა უნდა ეთხოვა პეტროვიჩს სახელფასო და გადაწყვიტა კიდევ თავისთვის, რომ რაც უნდა დამართოდა, ორი მანეთის მეტი არ მიეცა. სამზარეულოს კარები ღია დახვდა, რადგანაც შიგ კომლი გამდგარიყო, პეტროვიჩის ცოლის წყალობით, რომელიც რაღაც თევზს ამზადებდა. აკაკი აკაკიევიჩმა გაიარა სამზარეულო ისე, რომ ვერავინ ვერ შენიშნა და პირდაპირ შევიდა პეტროვიჩის ოთახში. თერძი დიდს და შეუღლებავს სტოლზედ დახვთა ფეხ-მოკეცილი, ფშასავით. როგორც ყველა თერძებს, ამ შემთხვევაში პეტროვიჩსაც ფეხები შიშველა ჰქონდა და ამ შიშველ ფეხებზე აკაკი აკაკიევიჩს პირველად უზარმაზარი



ცერიკუს ხოჯოის სისქე და სიმაგრე ფრჩხილით,
 ეცა თვალებში. ამცერს აკაკი აკაკიევიჩი კარგად
 იცნობდა; ეს პირველი ნახვა არ იყო. კისერზე
 პეტროვიჩის აბრეშუმის ძაფის შულო ეკიდა და
 მუხლებზე რალაც ძონძი ეფარა. ეტყობოდა, ის
 როგორღაც გაჯავრებული იყო თურმე რამ-
 დენიმე მინუტის აკაკი აკაკიევიჩის შექვლის წინეთ
 წვალობდა, რომ ძაფი გაეყარა ნეესში და ყურწი
 ვერ ენახა. ამაზედ ძლიერ მოღუშული იყო და
 თავისთვის ბუტბუტობდა: «ვერ ავაგე, ეს სატია-
 ლო, ესა! ამომართვა ტენი ამ ოხერმა, ამან.
 აკაკი აკაკიევიჩს ძალიან არ ექაშნიკა ამ მდგომარე-
 ვობაში პეტროვიჩის ნახვა. იმას მამინ უყვარდა
 პეტროვიჩისთვის რამე შესაკერი მიეცა, როდეს-
 საც ის ცოტა შეზარხოშებული იყო, ან, რო-
 გორც მისი ცოლი იტყობდა: «გადუყლაპავს სად-
 ლაც არაყი, ამ ბრუტიანს!» ამ მდგომარეობაში
 ის მუმტართან ყოველთვის თავდაბლათ და თავ-
 ვაზიანათ იყო, ხელ ფასსაც არ ითხოვდა ბევრს;
 თუმც ცოლი კი მოვარდებოდა შემდეგ და დაი-
 წყებდა ჭუჭყუნს, რომ ჩემი ქმარი მთვრალი
 იყო და ერთობ იათათ აიღოო სამუშაო, მაგ-
 რამ ის ადვილი მოსაშორებელი იყო: ორიშაუ-
 რი რომ გადგეგდო, თავიდან მოიშორებდი. ეხ-

ლა კი ასე არ იყო საქმე. ეტყობოდა, პეტრო-
ეჩი თავის გონზე და ჭკუაზე იყო, და უტყველოა,
იმასთან ეხლა ხეწნა, რომ ბევრი არ ეთხოვა, არ
გაედოდა. ესენი ყველაფერი იგრძნო აკაკი
აკაკიევიჩმა და მოქუსელადაც დააპირა; მაგრამ გვიან
დაურჩა: საქმე დაწყებული იყო. «გამარჯობა პე-
ტროეჩის?» კარებიდამ მიაძახა აკაკი აკაკიევიჩმა,
«ღმერთმა გაგიმარჯოთ,» უპასუხა პეტროევიჩმა
და თან ბრუტიანი თვალი ააყოლა აკაკი აკაკიე-
ვიჩის ხელებს. . . .

— მე შენთან, პეტროევიჩ. . . . რა ქვიან. . .
უნდა ვიცოდეთ, რომ აკაკი აკაკიევიჩი მუსაიფში
ხშირათ ხმარობდა ხოლმე ან თანდებულებს ან
ზმნის დედებს და თან იმისთანა სიტყვის ნაწი-
ლებს, რომლებსაც მუსაიფში სრულებით არა
აქვთ მნიშვნელობა. თუ რომ ხანდისხან მუსაიფი
გაუძნელოდებოდა, მაშინ ფრაზებს არც კი გაა-
თაევბდა: მაგ., თუ რასმეზე დაიწებდა ლაპარაკს,
«ეს გარწმუნებთ, სრულებით. . . რა ქვიან. . .
შემდეგ აღარაფერს აღარ იტყოდა და დაფიწყე-
ბაში შევიდოდა. ეგონა, თუ რაც უნდოდა, ყვე-
ლაფერი თქვა.

— რა ამბავია? ჰკითხა პეტროევიჩმა, რომე-
ლიც თავის შეკერულს ვიცმუნდირს ათვალე-



რებდა აკაკი აკაკიევიჩის ტანზე. ასე იციან საზოგადოთ თერძებმა, პირველ შეხვედრაზე, თუ თავის შეკერული რამ ნახეს ვისმეზე.

— მე, რაქვიან, პეტროვიჩი შინელი, მაუდი. . . . ხომ ხედავ, სხვაგან ყველგან მთელია და მაგარი. ცოტა არ იყოს დამტვერულია და ვითომც ძველათ იყურება, მაგრამ ეს სულ ახალია, მხოლოდ აი, მარტო ამ ერთს ალაგას, რაქვიან, ცოტა. .. ზურგზე და კიდევ მხრებზე დატრეტილა. . ხომ ხედავ? აი, სულ რაც საქროა. სამუშაო ძალიან ცოტა.

პეტროვიჩმა აიღო კაპოტი, გაშალა სტოლზედ და, დიდხნის შინჯვის შემდეგ, გააქნია თავი და გადასწვდა ფანჯრისაკენ ღენერლის სურათიან ბურნუთის კოლოფს. რომელი ღენერალი იყო, ვერ გამოიცნობდა ჯაცი, რადგანც სახე თითოთ იყო გახვრეტილი და შემდეგ ოთხ კუთხიანი ქალღლით დაწებილი. როდესაც კარგა ბლომით შეისუნთქა ბურნუთი ცხვირში, აიღო შინელი, კიდევ გაშალა სინათლეზედ და კიდევ გააქნია თავი; გადმოაბრუნა, უნახა სარჩული და კიდევ გააქნია თავი, შემდეგ კიდევ მოსწია ბურნუთი და ბოლოს თქვა:

— არა, ამის დაკერვა არ მოხერხდება; ერთობ
დაცრეცილია.

ამ სიტყვებზედ აკაკი აკაკიევიჩი ერთი საშინ-
ლათ შეჰქრთა.

— რატომ არ შეიძლება, პეტროვიჩ? უპა-
სუხა საცოდავის ხმით. ხომ ხედავ, რომ მარტო
მხრებზეა გაცრეცილი. და როგორ დავი-
ჯერო, რომ შენ მაგის დასაკერებელი ნაჭრები
არ გქონდეს?!,

— ნაჭრებს კი ვიწოვი, ნაჭრები არაფელია;
უპასუხა პეტროვიჩმა, მაგრამ დაკერება არ მოუ-
ხერხდება; სრულებით დამპალია: ერთი ნეესი
ამოუნცო, ის არის დაიშლება.

— მერმე რა უშავს: სადაც დაიშალოს, შენ იქ
ნაჭერი მოასწარ და დააკერე.

— გეუბნებით, რომ არ მოხერხდება; დაცრე-
ცალს გარშემო ერთი სიმაგრე არსად ჩანს, რომ
ძაფს ფეხი მოვაკიდებინო; პირველ შეხედვაზედ
კიდევ ჰო, შეიძლება კაცმა მაუღიაო თქვას და
აბა ერთ ქარმა დაუბეროს, უეჭველია, დაიფან-
ტება...

— კარგია, პეტროვიჩ, სცადე როგორმე
დაამაგრო ნაჭრები მართლა, ასე როგორ იქ-
ნება... რა ქვიან.....



— არა, სწორეთ არ შემძლიან, სტეპანეტ-როვიჩმა, — სულ ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვა იქნება. მის მაგიერათ მე თქვენ გირჩევთ როდესაც ძალიან სიცივეები დაიწყება, ეს ფეხსხრევათ გადააკეთოთ, რადგანც მაუდი წინდებზე უფრო ათბობს ფეხებს: ეს ხომ გაგეგონებათ, ნემენცებმა გამოიგონეს, რომ ფული ბლომათ იზონონ. (პეტროვიჩის უყვარდა, თუ შემთხვევა ექნებოდა, ნემეცები გაეჯავრებია). და რაც შეეხება შინელს, უთუოთ ახალი უნდა მიიყროთ »

— სიტყვა «ახალი» რომ გაიგონა აკაკი აკაკიევიჩმა, თვალები დაუბრმავდა. რაც ოთახში რამ იყო, აირივა და დაირივა მის თვალ წინ. ამაებში მხოლოდ პეტროვიჩის ბურნუთის კოლოჯზე ქალაღდით გადაწებილ ღენერლის სურათს არჩედა.

— როგორ თუ ახალი, წამოიძახა იმან, თითქოს ჯერ კიდევ სიხმარში იყო — ვინ მომცა მისთვის ფული?

— დიახ, ახალი, მიუგო პეტროვიჩმა

— მამ, ვინცობაა, რომ მართლა მომიხდეს ახლის შეკერვა, როგორ ფიქრობ, რა უნდა რაქვან.....



— ესე იგი, რა დაჯდება?

— დიახ.

— ას ორმოც და ათი მანეთი, მიუგო პეტროვიჩმა, და თან მოპრუწა ტუჩები. იმას უყვარდა ასე უცბათ გაეოცა კაცი და შემდეგ, ტუჩებ გაპრუწული, შეაჩერდებოდა, რომ დაენახა: რა გამოეხატება სახეზე იმის სიტყვების შემდეგ.

— ას ორმოც და ათი მანეთი შინელში მივცე? პირველათ დაიყვირა თავის სიცოცხლემი საწყალმა აკაკი აკაკიევიჩმა.

— დიახ, ას ორმოც და ათი მანეთი; მაგრამ... მაგრამ შინელიც არის და შინელიც: კერნის საყელო რომ მოინდომოთ და აბრეშუმის მატერიაც რომ სარჩულათ გაუკეთოთ, მაშინ ორას მანეთამდინაც დაჯდება.

— თუ გიყვარდე, პეტროვიჩ ევედრებოდა საცოდავის ხმით აკაკი აკაკიევიჩი, რომელსაც უკანასკნელი პეტროვიჩის სიტყვები თითქო არ გაეგონა — როგორმე შეაკეთე, რომ რამდენიმე დროს კიდევ მემსახუროს.

— გეუბნებით, რომ არ შეიძლება, როგორც წელან არ გითხარით, ეს ტყუილ უბრალოთ დროს დაქარგვა იქნება და ფულის გადაყრა, უთხრა პეტროვიჩმა. აკაკი აკაკიევიჩმა, რაკი შეა-



ტყო, რომ ვერაფერი გაარიგა, სრულებით იმედ-
დაკარგული დაბრუნდა სახლში პეტროვიჩის იმის
გასვლის შემდეგ კიდევ დიდ ხანს იჯდა ტუჩებ
მოპრუწული. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ
ამითი ასახელა თერძები და რომ არ დაამცირა
მათი ხელობა.

ქუჩაზე კაცს რომ შეეხედა აკაკი აკაკიევიჩის-
თვის, ეგონებოდა, ეს კაცი სიზმარშია: «როგორ
მოვიდა საქმე? ამბობდა თავისთვის აკაკი აკაკიე-
ვიჩი. «მე სრულიად არ მეგონა და ვერც წარ-
მოვიდგენდი, რომ...რა ქვიან...» შემდეგ ცოტა
ხნის საჩუმისა დაუმატა: «მამ, აი ბოლოს რა გა-
ნოვიდა! მაგრამ მე კი მართლა წარმოვდგენაც
არ შემეძლო, თუ ეს ასე მოხებოდა.» ამის
შემდეგ სიჩუმე გაგრძელდა დიდხანს და შემდეგ
კიდევ წამოილაპარაკა: «მამ ასე, ა?! სწორეთ
ხათაბალაა და სრულიად მოულოდნელი.. რა
ქვიან. . . ამას ვერასოდეს..... როგორი შემთ-
ხვევა!» ამ ლაპარაკში, მის მაგიერ რომ შინ წა-
სულიყო, დაბნეულა გზა დასადლაც მიდიოდა. გზა-
ზე წაკრავლიქვი გამურულმა ბუხრის მწმენდელმა
და გაუსეარა მთლათ ნახევარი მხარე როდესაც
გაიარა ერთს სახლთან, რომელსაც ამ დროს
ამენებდენ, კირი გადმოაყარეს თავზე. ამებს ის

ერაფერს ვერ გრძობდა; — სულ ასე გაივლიდა იმ
 ქუჩებს, რომ ამ დროს ბუდოჩნიკს არ დასჯა
 ხებოდა, რომელიც თამბაქოს ფშენიდან ჩაბუნის
 გასაწყობად. «როგორ დაეხეტები, რომ ლამის
 ცხერ პირი დამამტვრიე?.. ტროტუარი დაჰკარ-
 გე?!» ამ შემთხვევამ გამოაღვიძა აკაკი აკაკიევიჩი
 და მოანახვინა დაკარგული გზა. როდესაც შინი-
 საყენ გზას დაადგა, მხოლოდ აქ მოაგონდა და
 წინ წარმოუდგა მისი მდგომარეობა და დაიწყო
 მუსაიფი თაფსთაფს ისე ჭკვიანათ, მოსაზრებით
 და გატყდომით, რომ თითქო ვისმეს თავის
 დაახლოვებულს ელაპარაკებოდა თავის საქმეზე.
 არა, ამბობს აკაკი აკაკიევიჩი, ეხლა პეტრო-
 ვიჩთან ლაპარაკი არ მოხერხდებოდა: ის..
 რაქვიან... ეცუობოდა ცოლს გაუღახავს და ამი-
 სათვის სჯობს კვირა დილას მივალ იმასთან; რა-
 საკვარველია, შაბათის და მთელი კვირის მუშაობის
 შემდეგ, კვრა დილას ყელის ჩასველებას მ. აინ-
 დომებს. ცოლი, ლაპარაკი არ უნდა, ფულს არ
 მისცემს; მიმინ ერთ-ორ შაურჩიანს, რაქვიან... ხელ-
 შიდ. . ეს იმას დააღობოს, თავაზიან კაცათ გახ-
 დის, მაშინ შინელსაც... რაქვიან..» ასე დააწყო-
 პლანები აკაკი აკაკიევიჩმა და გადაწყვიტა, მოეცა
 აღ კვირადილამდისინ. — კვირა დილას, რომ გამო-



ვიდა სახლიდან დაინახა, რომ პეტროვიჩის ცოლი სახლიდამ გამოვიდა და სადღაც მიმსურებოდა; იმან მაშინვე გასწია იმათკენ. პეტროვიჩს, თითქო ძილი დაკლებოდა, ისე პრუწავდა თვალებს. აკაკი აკაკიევიჩმა მაშინვე შეატყო, როგორ მდგომარეობაში იყო საქმე; მაგრამ მისი დანახვა და პეტროვიჩის შეძახება: «არ შეიძლება, ინებეთ ახალის შეკერვა, ერთი იყო აკაკი აკაკიევიჩმა ამოიღო ორ შაურიანი და ჩაუდვა ხელში. «მადლოხელი გახლავართ, ბატონო, ამით თქვენ სადღეგრძელოთ ჩაეისოლებ ყელს»; უთხრა პეტროვიჩმა, და შინელზედ ბევრს, ნუ შეწუხდებით: ძველი, უნდა იცოდეთ, არაფლათ არ გამოდგება და რაც შეეხება ახალის შეკერვას, იმედი გქონდეს, ისეთი შეგვიკეროთ, რომ რათაც გინდა ღირდეს... ეს ჩვენი ხელობაა».

აკაკი აკაკიევიჩმა კიდევ ჩამოულაპარაკა ისევ ძველის შეკეთებაზედ, მაგრამ პეტროვიჩს, ვითომ არ ესმოდა, განაგრძო: «მენდეთ, რომ ახალი კარგიც და რასაკვირველია, ახალ მოდაზედაც იქნება შეკერული». როგორც იყო, დარწმუნდა აკაკი აკაკიევიჩი, რომ მეთი ღონე არ იყო, უნდა შეეკერა ახალი შინელი, მაგრამ ვაი, იმისთანა დარწმუნებას! მართლაც, რა საშუალებით უნდა შეეკერა ახალი

შინელი? შეაძლებოდა კიდევ მომავალ დღესასწა-
 ულებისათვის რომ ჯილდოს მოელოდა, ამის
 იმედი ჰქონოდა, მაგრამ ის ფული სულ წი-
 ნათევე ჰქონდა დარიგებული სხვა და სხვა საჭირო-
 ებისათვის. ამ ფულებით ახალი შალვარი უნდა
 შეეყვრა, მეჩექმეს ვალი ჰქონდა ჩექმების გა-
 მოკერვისთვის და უნდა გაესტუმრებია, ამასთან
 სამი პერანგი და ორი მისი ამხანაგი უნდა
 შეეყვრა; ასე რომ იმ ფულებიდან არაფელი
 აღარ დარჩებოდა, რომ შინელზედაც მოეხმარე-
 ბია, და დირექტორსაც, რომ ესთქვით იმდენი
 სიკეთე ექნა, და ორმოცი მანეთის მაგიერ
 ორმოცდა ხუთი ან ათი მიეცა ჯილდოთ, მა-
 ინც იმდენი არაფელი დარჩებოდა პეტროვი-
 ჩის აკაკი აკაკიევიჩმა, თუმც კი იცოდა, რომ ის
 ხანდისხან იმდენს ითხოვდა სახელფასოს, რომ,
 თუ ცოლი იქ დაესწრებოდა, ისიც შესძახებდა
 ხოლმე გაკვირვებით: ხომ არ გაგიჟებულობარ,
 შე სულელო, შენა! ხან ფითქმის ტყუილათ
 აიღებ ხოლმე სამუშაოს და ეხლა, რა ღმერთი
 გაგიწყრა, იმდენს თხოულობ, რომ შენ თავა-
 თაც არა ღირხარ იმათო, თუმც აკაკი აკაკიევიჩმა
 ისიც იცოდა, რომ პეტროვიჩი ოთხმოცდაათაც
 შეჰკერავდა ახალს შინელს, მაგრამ საიღამ უნდა



შეეყარა თავი ოთხმოცი მანეთისათვის? ნახევარი კიდევ ჰყო, შეიძლებოდა როგორმე ეშოვნა, ეგების ცოტა მეტიც, მაგრამ მეორე ნახევარი?! . სააჭიროა შეეატყობოთ მკითხველს, თუ როგორ მოაგროვა აკაკი აკაკიევიჩმა ის პირველი ნახევარი. აკაკი აკაკიევიჩი ცდილობდა ყოველ დახარჯულ მანეთზე თითო გროში შეენახა. ამ გროშებს ის საგანგებოთ ამისთვის გაკეთებულ ყუთში უყრიდა თავს. ყოველ ნახევარი წლის შემდეგ გამოიანგარიშებდა ხოლმე – თუ რამდენისთვის შეუყრია თავი და გროშების მაგიერ ვერცხლის ან ქალაქის ფულს შეინახავდა. ასე თითო ოროდ გროშობით, დიდი ხანი აგროვა იმან და ბოლოს, რამდენიმე წლის შემდეგ ნახა, რომ ორომოც მანეთზე ცოტა მეტი შეგროვებელიყო. მამ ნახევარი ასე ნაჭირ-ნასუფლევი ხელში ჰქონდა, მაგრამ როგორც ზეფითაც ვსთქვით, საიღამ უნდა ეშოვა მეორე ნახევარი? ამაზედ დიდი ხანი იფიქრა აკაკი აკაკიევიჩმა და მით გადაწყვიტა, რომ მეტი გზა არ იყო უნდა შეემციროებია ჩვეულებრივი დღიური ხარჯი-ერთს წელიწადს მაინც. მაგ. საღამოობით ჩაის უნდა დახსნოდა, სანთელი აღარ უნდა ეყადნა, და, თუ ეინიცობაა, საწერი რამ ექნებოდა შინ, სახლის პატ-

რონის ოთახში უნდა ეწერა, ქუჩებზედ მეტის-
 მეტის სიფრთხილით — ცერებზედ — უნდა ევლო,
 რომ ჩექმები არ გასცვეთოდა, რაც შეიძლება.
 და, ტანისამოსი ძვირათ უნდა ეძლია სარეცხში.
 რომ ამისგამო ის მალე არ დაგლეჯილიყო;
 მოვიდოდა შინ თუ არა, მაშინვე უნდა გაეხადნა და
 მხოლოდ თავის ძველებულ დიმიკიტნოს ხა-
 ლათის აშარა უნდა ყოფილიყო. უნდა გითხრათ,
 რომ პირველად ამნაირათ ხარჯის შემცირება
 აკუი აკაკიევიჩს ძალიან უჭირდა, მაგრამ დროს
 განმავლობით ის თან და თან შეეჩვია ამ გვარ
 ცხოვრებას და ბოლოს იმდონამდი მიაწია, რომ
 საღამოობით შინშიღოსაც თითქმის არაფრად აგ-
 დებდა. მაგრამ, მაგიერათ ერთნ მოგონებით,
 რომ იმას ერთი წლის შემდეგ ახალი შინელი
 ექნება, მაძლარი იყო. მერე და მერე თითქმის
 კმაყოფილი იყო ამ გვარ ცხოვრებისა: თითქო
 ცოლი შეერთოს და ან ვინმე ამხანაგი ემოვნოს,
 რომელიც იმასთან ერთათ აშგვარ შევიწროებას
 ითმენდა. რასაკვირველია, რომ ეს ამხანაგი და
 მეგობარი სხვა არაეინ არ იყო, გარდა მისი



მომავალი, დაბამბულის, მაგარ სარჩულიანის და გაუცვეთელის შინელისა. ის ისე გამბედავი მხიარული და ხასიათ შეცვლილი შეიქნა, რომ სწორეთ იმ კაცს დაემსგავსა, რომელსაც თითქო რომელიმე მიზანი აქვს ამორჩეული ცხოვრებაში. მისს თვალებსაც უწინდელზე უფრო დაეტყო სიცოცხლე და თავშიაც ხანდისხან საკვირველი აზრები, როგორც მაგ. «ფითომ რა ურიგო იქნება, რომ ჩემს ახალ შინელს კვერნა გაუკეთო!» — გაურბენდნენ ხოლმე. ამგვარ ფიქრებმა ჩვენი აკაკი აკაკიევიჩი კინალამ სრულებით არ გარეტიანა.

თვეში ერთხელ მაინც ნახავდა ხოლმე პეტროვიჩს, რომ მოელაპარაკნათ იმაზედ, თუ ან სად უნდა ეყიდნათ მაუდი შინელისათვის, როგორი ფერის ან რა ფასის უნდა ყოფილიყო და, თუმცა ცოტა არ იყოს ჩაფიქრებული, მაგრამ მაინც ყოველთვის კმაყოფილი და განბარებული, დაბრუნდებოდა ხოლმე სახლში, იმ ფიქრით, რომ აღრე თუ გვიან ის დროც მოაწევდა, როდესაც ყველაფერს ამას იყიდდა და შინელსაც შეიკე-

რავდა. და ეს დრო, ის რომ ფიქრობდა, იმაზე უფრო ადრე დადგა: სრულიათ მოულოდნელად დირექტორმა აუკი აუკიევიჩის ორმოცდა ათის მაგიერ სამოცი მანეთი დაუნიშნა საჩუქრათ. იგონო დირექტორმა, რომ აუკი აუკიევიჩის ახალი შინელის შეკერვა უნდოდა, თუ ისე მოუხდა, ამ წყალობით, იმას ეხლა ოცი მანეთით მეტი შეექნა. ამის შემდეგ ორი თუ სამი თვე კიდევ მოითმინა შიმშილი და ოთხმოც მანეთსაც მოუყარა თავი. მისმა გულმა, რომელშიაც უწინ კაცს ეგონებოდა, რომ სისხლი არ მუშაობსო, ეხლა ცემა და ფეთქა დაიწყო. მეორე დღესვე ის და პეტროვიჩი ბაზარში წავიდნენ და ჩინებულნი მაუდი იყიდეს. ეს გასაკვირველი არ არის რადგან ეიცით, რომ ამაზედ ისინი მთელი ნახევარი წელიწადი ფიქრობდენ და ისე თვე არ გაივლიდა, რომ ერთხელ მაინც არ დაეელოთ მაღაზიები ფასის შესატყობათ და მაუდის ამოსარჩევათ. სარჩულად ისეთი მაგარი და კარგის ღირსების კალენჯორი ამოარჩიეს, რომ, როგორც პეტროვიჩი ანობდა, აბრემუმს არაფრად



დაუფარდებოდა არც ღირსებით და არც შესახვედრად დაეათ საყელოსთვის კვერნა ვერ იყიდეს და მართლა ძვირიც იყო, მაგრამ მაგიერათ ისეთი კარგი ტყავი ამოარჩიეს კატისა, რომ შორიდან კაცს კვერნა ეგონებოდა. პეტროვიჩი სულ ორი კვირა მოუწდა შინელის შეკერვას. სახელფასოს თორმეტ მანეთს თხოულობდა; ნაკლებს არ შერებოდა, რადგანაც ბევრი ცოდვილი და დროც მოვანდომეო, რომ მოდაზედ შეკერული ყოფილიყო. — ერთს დილას, რა დღე იყო, არ მახსოვს — მაგრამ დარწმუნებული კი ვარ, მთელ მისს სიცოცხლეში ესრეთი გასახარელი დილა პირველად კი უნდა გათქნებოდა იმას — მოუტანა პეტროვიჩმა შინელი, სწორეთ იმ დროს, როდესაც აკაკი აკაკიევიჩი დეპარტამენტში წასვლას ემზადებოდა. ამ შინელის შეკერვა უდროობა არ იყო აკაკი აკაკიევიჩისთვის: ის იყო სიცივეები გაძლიერებას აპირობდნენ. — პეტროვიჩი ისე თავმომწონეთ შემოვიდა, თითქოს იმასთანა საქმე გაეკეთებინოს, რომლითაც დიდათ ირჩეოდა სხვა თერძებთან, რომლებსაც ბელობა

მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სარჩულს გა
 მოკერვენ და გაცვეთილებს დაკერენ. ამოიღო შინა
 ნელი, რომელიც ახლათ გარეცხილ ცხვირ
 სახოცში იყო გამოხვეული, იქვე დაკეცა ეს ცხვირ
 სახოცი და ჩაიდვა ჯიბეში, თავის დანიშნულების
 მოსახმარებლათ; ერთი თავმომწონეთ გადახედა,
 შემდეგ მარდათ მოახურა აკაკი აკაკიევიჩს, დაუა
 არა იქითაქეთ, კალთები დაუწია და დააყენა
 ტანზე როგორც რიგი იყო; ასე მოხურული
 უნდოდა ენახა, როგორ იყო, და ბევრი აწვალა:
 ხან იქით მოატრიალა და ხან აქით. აკაკი აკაკიე
 ვიჩს, როგორც მოხუცებულობაში შესულს,
 უნდოდა ესინჯა თუჩაცმული როგორ დაადგებო
 და ტანზე. მამინვე პეტროვიჩმა მოეხმარა ჩაც
 მაში და დაარწმუნა, რომ ესეც კარგათ ადგა.
 ერთის სიტყვით, შინელი კარგი შეკერული და
 სწორეთ ტანზედ გამოჭრილი შეიქნა. პეტრო
 ვიჩს არ დაეწყებია იმის თქმა, რომ ის ისე გა
 მოუჩინარ ქუჩაზედ რომ არ იდგეს და აკაკი აკა
 კიევიჩის დიდხნის ნაცნობი არ ყოფილიყო,
 ასე იათათ არ შეკერავდა. ნების პროსპექტზე



თერძები მარტო შეკერვაში იღებენ სამოცდა
 ხუთმეტ მანეთსო. ამ პეტროვიჩის ლაპარაკს
 კი აკაკიევიჩი ყურს არ უგდებდა: მისცა რაც
 ერგებოდა, დაუმაღლა და ახალი შინელით გა-
 ვიდა სახლიდამ, დეპარტამენტში წასასვლელად.

(დასასრული შედეგ №2)



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ორი ლექსი

დობროლიუბოვიდამ

მზე ამობრწყინდა, დაჭსკდა მთასა,
ბარს დაუფარა მსწრაფელ ჩრდილი გრძელი;
არ შეუტყუაა ჯერ მშვიდსა ბარსა,
რომ მთის წვერს ათფობს დღისა ნათელი.

მთის ქვისა გულსა, უინვიან თავსა,
დრუბლის მანტიას, მის მსრებზედ მოსსმულს,
მზე დოუფარავს, ისე რომ ბარსა
შუქი ვერა ჭსდის ბნელს სქლად გადაკრულს.

მაღლა საქმეა და მოძრაობა,
ძირს მოჭებენილა ბურანი ძილის;
ეს ძილი მსოფლად იმით იფრთხობა,
რომ მუდამ კბრძვის მას ზრუნვა დილის.



მაგრამ მღვიძარე მზე მალა იწკვს,
 ის ჩვეულებრივს გზასა მიჰყვება;
 და გრძელი ჩრდილიც თანდისთან იკლებს
 და შუადღეზედ ის სულ განქქრება.

მზე დაადგება შირდაშირ ბარსა,
 მძინარე არეს დღე გაულიძებს,
 ხანამ მეორე მხრით იმაკ ბარსა
 ხსვა მთისა წვერი არ დაჩრდილებს.



ქართული
ლიბრარი

შეხვედრას

ერთხელ ქუჩაზედ პირგამხდარი უმარწვილი შემხვდა;
იყო სნეული, თერმისდილი, თვალ-ნამტირალი,
მონძი ტანთ ეცვა, სიცვიისგან ის განკალებდა,
ქრისტეს გულისთვის შეწევნასა მთხოვდა საწყალი.

«ხუთი დან-ძმა ვართ, მამჩვენი გაგზავნეს ლაშქარს,
და დედა ჩვენსა ღოგინსედა ებრძვის სიკვდილი...
სახლიდგან გვერიან, საქვიძო თუელიც არა გვაქვს,
და ჩვენცა თითქმის სულ ყოველ დღე გვასრჩობს შიმ-
შილი...»

გული მომიკვდა ამის გამგონს, კვსწუნდი სულითა,
საუბედურად, არა მქონდა შეწევნის ღონე...
უმარწვილს დაგწეე მოფერება სიუვარულითა,
და მწარე თიქრმა ჩვენ სვედრსედა იქ შემიბურო მე...:

ჩვენს პირდაპირ კი მშვენიერი სახლი ბრწყინავდა,



მდიდრულად იყო ის მოართული, განალებული...?

მწკანუ სტოლები მის ზალაში აქა-იქ გსჩანდა,

ბაღის მუხიკა იქ გრგვინავდა გაცხარებული....

თორმა კარგარეთელი.

11 აპრილს, 1868 წ.

გადასწავლილნი იმდროინდელი დროის სკოლაში
 აღმოცენდა ერთი ადამიანი, რომელიც
 აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს

მისთვის მისი მკვლევარის აღმოჩენის შემდეგ
 აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს
 აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს

აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს
 აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს

აღმოაჩინა მის მკვლევარს, როდესაც იმის
 აღმოჩენის შემდეგ მისთვის მკვლევარს მკვლევარს

ქალაქია, ლაზათიანათ მორთული და ჩინებუ-
 ლათ მოკაზმული. ეს ქალაქი ყველას მოსწონს,
 მასში ყოფნა, ცხოვრება ყველასთვის — თითქმის
 სამოთხესაგვით სანდომისი და სანატრელია. მაგ-
 რამ, ჩემო მკითხველო, ეს მშვენიერი, ლაზათი-
 ანი და ჩინებული ქალაქი ჩემ თვალში სულ
 სხვანაირათ სჩანს. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა,
 რომ მე ავთამყოფი თვალები მაქვს. ამ მიზეზი-
 თაა, თუ სხვით, თუილისი, თავისი მშვენიერი
 სახლებით და დარბაზებით, თავისი ფართო და
 გატკეპნილი ქუჩებით და ათასნაირათ აკრეფე-
 ბული მცხოვრებლებით, მე მეტის-მეტათ დაპ-
 რანჭულ და ფერ-უმარილიან ბებრუხათ მეჩვენე-
 ბა. მუშტაიდის ბალი, გოლოგინის პროსპექტი,
 საზაფხულო და საზამთრო თეატრი ჩემ თვალ-
 ში გადაწკეპილ და გუნდით შეღებილ წარბე-
 ბათ, ერთი თითის სისხო ზია-ფერათ და ალის
 ფერ სარტყელათ სჩანან. მათი შნო და ზია-ზიო-
 ბა ვერასოდეს ვერ მაფიწყებს მე, რომ, როცა
 თფილისი ახალმოდური პომადით გაწითლებულ
 ტუჩებს გააღებს, მის პირში მამინვე ჩამტვრეულ

და გაშავებულ კბილებსავეთ გამოიჭრეს
 შუა-ბაზარი, ანჩისხატის უბანი, მთაწმინდა, სა-
 ლაყო მადანი და ზურგს უკანიდგან გამოიხე-
 დაეს სპარსელების და ლეკებისგან გაოხრებული,
 მოტიტვლებული მინდვრები. მე მამინვე მაგონ-
 დება, რომ ეს ლაზათიანათ მოკაზმული ბებრუ-
 ხი, რომელიც ეხლა თავისი წითელ-ყვითელი
 ტანსაცმელით, თავისი შეღებილი თმით და გა-
 ფერილი ლოყებით გვეყურებდა, ბევრ, ძლი-
 ერ ბევრ უწინდელი მდგმურების ხელში ყოფი-
 ლა, ბევრისთვის შეუფიცნია სამუდამო სიყვა-
 რული, და ბევრის კოცნა და ალერსი დღემდეც
 აჩნია მეჭვებსავეთ მის შუბლს და ლოყებს:
 მეტეხის ციხე, თფილისის დანგრეული ცი-
 ხე-დარბიზი, სპარსეთის მეჩითი და თათრების
 სასაფლაეო. ასე წმირათ უთაებოლო და ადვი-
 ლი ალერსიანობა სიფლავამდი ამოუხოცველ
 დაღს ასეამს ადამიანის ბუნებას....

∴

დღეს თფილისი ევროპიელი ქალაქია; იმას
 ევროპიული ჩვეულება და ზნე მიუღია, ევრო-



პიულო მორთულობა და მიეხრა-მოხერა და, ზოგიერთი ევროპელების მიბაძვით მხრით, ერთი ლოყით და ცალი ტუჩით ევროპელებს და ხალხს ეაღერებდა და აკმაყოფილებს, და მეორე მხრით კი აზიის კელკუტობასაც ვერ იშლის და აზიელ მოარზიყეებსაც ვერ სცილდება...

სიყვარულში და ცხოვრებაში მე არ მიყვარს ამგვარი ორგულობა. ქალი რომ შემიყვარდეს, მე ვეტყვადი, ჩემი თუ ხარ, ორივე ლოყით და ორივე ტუჩით ჩემი იყავი, თუ არა და ღმერთმა მთლათ ერთიანათ სხვას მოახმაროს შენი თავი; თორემ, რა საქციელია, ერთი თვალით მე მილიმოდე და მეორით ჩემ მეგობარს მეთქი... თფილისს ეკადრება ამნაირი სიტყვა: კეკლუცი ქალივით ის ხან ევროპის ცხოვრებას და ევროპელებს აქალაჩუნება, ჩვენ გვიღიმებს, ხან იმ სპარსელების სცხოვრებისკენ ბრუნდება, რომელნიც დამეჭვებულნი ხელებით მის წერილ-შვილს ბინძურ და უგემურ «ლულა-ქებას» აძლევენ...



:|:

ესრეთია თფილისი. მისი არე-მარე, სურამის
 კორტოხამდი, თითქმის სრულიად მოტიტველ-
 ბულია და გაგლესილია. ვის არ უვარჯიშნია
 ძველ დროებაში ამ არე მარეზე? ვის ხელში არ
 გამოუვლია იმას და ვის არ დაუწყვეტია იმაზე,
 რაც ბუმებას მისთვის ყვავილი და ცხოვრება
 მიუცია? როგორც ბევრ ხელში ნამყოფი ტურ-
 ფა ჭკნება და ლაზათს და სიცხოველეს ჰკარგავს,
 როგორც მისი მოწყვეტილი ყელი და ჩაფარდ-
 ნილი თვალები ნიადაგ უამბობს კაცს მის დაბ-
 ნეულ ცხოვრებას, ისე, ამ საუკუნის დაწყებამ-
 დი, საქართველოს მინდვრების იშვიათი წელ-
 მოხრილი და უმწო ბუჩქები და სრულიად უმ-
 ცენარო მიწა გულმწუხარეთ თითქო ბუტბუ-
 ტებდა: აქ, ჩვენზე, ბევრ ურჯულოებს გადაუვ-
 ლია, და მათი გულ—მკერდი ისე მაგრათ და-
 გვუტებია, რომ ყველაფერი, რაც კი გვებადა,
 გასრესილი და გალენილი დარჩაო.../

:|:

მინდორი, ღრე, მინდორი, ღრე, კიდევ მინ-



დორი და კიდევ ღრე.. ბუნებასაც კი დატყობ
 ბია ქართლში სპარსეთის ხელი. ამ ჩვენ სამუ-
 დამო მტრებს მარტო ჩვენი პოლიტიკური ცხოვ-
 რებისთვის კი არ მოუღიათ ბოლო: იმათ ჩვენი
 ბუნება გაუსპარსელებიათ, ჩვენი მცენარეების-
 განაც ამოურთმეციათ ქართული წვენი და ჩვენ
 საკუთარ ძარღვებშიაც ჩაუწვეთათ თავიანთი
 მომხიბვლელი, მარად ზარმაცი, უთაფო და უცეც-
 ხლო სისხლი. ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრე-
 ბა ათასნაირათ ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი
 ყოფილა

«ერი ჰურადი, გულადი, მებძოლე შავის
 ბედისა»...

მაგრამ ამ მშვენიერი ხალხისგან დღეს ჩვენ რა
 დაგვრჩენია, პურადობის გარდა? ან პურადობა
 რაა, თუ კი პური არსა მოიძიება ამ ჩვენ გადატყა-
 ვებულ მანღვრებზე? ქართველი გულკეთილი და
 პატაოსანი კაცია. ძველი ცხოვრებისგან დღემ-
 დიც დარჩენია იმას სისხლში კეთილი და პატი-
 ოსანი გრძნობა, რაინდული სურვილი. მაგრამ
 დღეს მის ძარღვებში ისეთი სისხლი ტრიალობს,

რომელიც როლიდა სდუღს;— ის ხანდისხან
 «იქავება». ქართველს ტანში დღეს ისეთი
 ზანტებული სული უდგას, რომ მისი კეთილი
 სურვილი ნიადაგ ფუჭ და მიუწვდომელ სურ-
 ვილათ რჩება. თავის სპარსული ზალიჩით და
 სპარსული მუთაქით მოართულ ტახტზე ქართვე-
 ლი დილიდგან საღამომდი სწევს, თითქო მა-
 მაჰაბების გმირობას მისი სხეული დაუღალავს,
 სწევს, და დაძინებაც ეზარება. ნატერის მეტი
 იმას არაფერი რომ არ სჭიროდეს, დაწმუნებუ-
 ლი იყავით, რომ ის მთელ ქვეყანას გაასასუფ-
 ლეცებდა.— ერთი ნეტავი ნატერის თვალი მომცა
 ანა და უჩინმაჩინის ქუდი, ანა და ერთი მი-
 ლიონი მაინც! ოჰ, რა კეთილ საქმეებს ვიზა-
 მო, ფიქრობს ის, როგორ ვისახელებ თაეს და
 ქვეყანას როგორ ვარგებო. მაგრამ მიეცით იმას
 ეს სიკეთეები, და ნატერის თვალს ის მამინეც დაა-
 გირავებს, უჩინმაჩინის ქუდს კუთხეში მიივიწ-
 ყებს, და მილიონს ქალაქში ან ნარდში წა-
 აგებს.



ახლოგაზდა კაცი, რომელსაც გმირობა და ტალის ხასიათი მთელ სხეულში უნდა უფუდეს და რომელიც ნიადაგ თავის საზოგადოების სიკეთეზე უნდა ფიქრობდეს, ამ სპირსულ ტანტზე სპარსულათ გამხვართული, სიყრმაწვილიდანვე დაწყებული, მარტო იმაზე ფიქრობს, რომ სად მოეძებნო კარგი მზითვიანი ქალი, და როგორ დაეწერო მაზედ ჯვარიო, რომ მისი ფულით და შექლებით ლაზათიანათ ცხოვრება შემეძლოსო. ამ სპარსულმა გრძნობამ დაიკავა ჩვენ ახლოგაზლობაში მამა პაკური მხურვალე გრძნობის ადგილი, იმ გრძნობის, რომელიც ამოქმედებდა და აცხოვრებდა ჩვენ ძველებურ გმირებს. და ჩვენი დროების გმირობა — ლაზათიანათ მართულ დარბაზში ჩესტიანათ გამოჯგიმვათ და შემძლე ქალების მოგებათ გადაიქცა. დაილოცა ლეთის სამართალი: იმისთანა წინაპარს ამისთანა შთამომავალი 'შეჭფეროდა?!...'

∴

✓ სპარსეთის ვარჯიშობამ ჩვენ მინდერებში და დარბაზებში, მათმა გამარჯვებამ ჩვენ ციხეებზე

და ქალბატონებზე, ასე დაამცირა ჩვენი ხალხის ხასიათი, ასე ამოჰკაფა მის გულში და მხურვალე და პატიოსანი სიმაღლე, და ამისთანა უბრალო, პაწია გრძნობა ჩათესა ჩვენ ძარღვებში. ბევრი თაობა ჩავა საფლავში და დაებადება ჩვენში, სანამ ჩვენი გული ისევ გავაჟაკდება, სულის დიდებას და გმირობას შეიძენს, შრომას და ლტოლვას შეეჩვევა, და იმავე სიმხურვალით მოქმედებას დაიწყებს საზოგადოების სასარგებლოთ, როგორითაც ჩვენი წინაპრები სწირავდნენ თავიანთ თავსა და უკანასკნელ ფარას თავის მამულას სიკეთისათვის....

:|:


ამგვარ ღრმა საგნებს თავი რომ დავანებოთ, და ისევ ქართულ ხასიათს დავუბრუნდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ქართველი სრულიადაც არ მოქმედებს, არ შრომობს იმ ყალო მიწის და უტყუო, უმცენარო მინდვრების გასაკეთებლათ, რომლის დანახვა და დაკვირება გულს უნდაუკლავდეს ყოველ მამულის შეილს. ბევრია ჩვენში ისეთი გონიერი და მხნე პირები, რომელნიც

თავიანთი შრომით და ღვაწლით მიწა-წყალს და
 ქონებას უვლიან, და ნელ-ნელა თავიანთი მდგომარეობასაც აუმჯობესებენ, და სხვისასაც? ჩვენ
 შეეჩერებივართ (ესეც სპარსეთის სიკეთეა!) სხვის
 შრომას და მოქმედებას, სხვის სიმდიდრეს და შე-
 ძლებას, არასოდეს არ მოგვდის ჩვენ აზრში,
 რომ ჩვენ თითონაც რომ მოვიწოდებოდით, ვისწავ-
 ლოდით, შრომით, ჩვენ შეგვეძლება პატიოსნათ
 თავის ჩჩენა, თავის გამოჩენა და დაფარვა, არა,
 ჩვენ სხვის შეძენილს და ნაშრომს მიეჩერებივართ
 და ვცდილობთ, როგორმე წილი დავიდეთ მის
 სიმდიდრეში, ოსტატობით, ძალადობით, თხოვ-
 ნით ან თავის-დამდაბლებით წავართვათ ან გამოგუ-
 ყუოთ ერთი პაწაწა ლუკმა მაინც, და ამ უხვირო
 საქმეს ვალევთ რაც სპარსელებისგან გაფუჭე-
 ბულ სისხლში უწინდელი ძალა გაგვჩჩენია,
 სპარსეთი და სპარსელები მუდამ ისეთი არსებე-
 ბი ყოფილან, რომელთაც ზოოლოგიაში პარა-
 ზიტი ჰქვიან სახელათ, ესე იგი სხვისა საზრდო-
 თი და სისხლით მცხოვრებნი. პარაზიტს თე-
 თონ თავისი საზრდოს დამზადება ან მოყვანა

როდი შეუძლია: ის ან ხეზე უნდა იყოს გასული და ხის წვენით რჩებოდეს, როგორც სურს, ან ცხოველების კანს უნდა სწოვდეს, როგორც მკბენარი. ჩვენ ამ არსებების მოდგმა ჩავვითეს სპარსელებმა: ჩვენც ვპარაზიტობთ, ჩვენ საკუთარ ნიადაგს ვერ ვამზადებთ, ჩვენ საზრდოს ვერ ვპოულობთ, თუ კი სადმე ან მაღალი ხე არ შეგვხვდა, ან სხვა სულდგმული, რომლის შეძლებას ჩვენი სულის ჩადგმა და რჩენა შეეძლოს...

⋮

დააკვირდით ქართველი კაცის ხასიათს, ქართველ ბუნებას, ღვინოს, ერთი სიტყვით, რასაც გასურდეთ, და მაშინვე დაინახავთ, რომ სპარსეთის ხელი და თესლი ყველაფერს დაჩენია, ყველგან ჩაპარულა, ყველაფერი გაუსპარსელებია. ქართული ღვინო, გინდ ქართლელი, გინდ კახური, მძიმე, უხალისო, უმწო ღვინოა. თავისდღეში იმას არ შეუძლია იმნაირივე მოვლენა იქონიოს კაცის ბუნებაზე, როგორც, მაგალითად, იმერულ ღვინოსა აქვს. იმერული ღვინო



ახლისებს, ახტუნებს, აყმაწვილებს, ან ერთი სიტყვით რომ ვთქვა, «აქიკვიკებს» კაცს, იმერელი კაცი მთერალი იშვიათი სანახავია, ის თითქმის ყოველთვის «აქიკვიკებულია». მარტო ქართული ღვინო კაცს ათრობს. მძინარე, ზანტი კაცი უხალისოდ სვამს მძიმე და მაგარ ღვინოს, რომელიც ზორბა ცხენის ნალივით აჯდება მის გულს; პირველივე ყანწი გულ-მომაკვდინებელ სპარსულ კილოზე გამოთქმულ სიმღერას გგვრის, რომელშიაც ყოველნაირი ხმა და გრძნობა ისმის, ქართული ხმისა და გრძნობის გარდა. ამ სიმღერაში ქართული, სიტყვების მეტი, არა არის რა. ის დაღონებული სიმღერაა, ნათქვამი მომაკვდავი ხმით, ზანტათ ტანის მრხვეელი კაცისგან, რომელიც ღვინოს თითქო მოვალეობით სვამს, და თან და თან უფრო და უფრო კისერს იწყვეტს, ძილს უფრო და უფრო უახლოვდება; მიუმატეთ ამას სპარსული ყურთმაჯა, ბუხრული ქუდი, განიერი სპარსული შარვალი, და პირისახე, რომელიც სანახევროთ კახურს ჩამოგავს და ნახევრათ სპარსულს, მიბლანდული, დაღა-

ლოლი თვალები, და თქვენ ძნელათ შეგეძლებათ /
 თქმა. საქართველოში ხართ, თუ სპარსეთში, ქარ-
 თული ღვინია თქვენ წინ, თუ სპარსული მეფე-
 ლიში. ბოლოს, ღვინის მოქმედება აძინებს მო-
 ლხინეს.

იმერული ღვინო კი კაცს ძილს უფთხოვს.
 ქართული ღვინით დამთვრალი კაცი ლოგინს
 ეძებს და გორდება; იმერული ღვინით აჭიჭიკე-
 ბულ კაცის მიძინება მეტის-მეტათ გაძნელე-
 ბულია მისი მოველეელისთვის; ის დადის და და-
 ჭიჭიკობს, და ძალათაც რომ წააწვინოთ, ათჯერ
 მაინც წამოხტება და თავის ჭიჭიკა, მხიარულ,
 ქაჯურ სიმღერას იწყებს.

:|:

სიყვარულშიაც ქართველს და იმერელს შუა
 ამნაირივე განსხვავებაა. ქართველ კაცს უყვარს
 ქალი როგორც ცოლი. ის მძიმეთ ეარშიყება,
 მძიმეთ უახლოვდება ქალს, ცდილობს ჯვრის
 დაწერას და სახლში დამწყვდევას. მისი აზრით,
 მისი ოჯახი მონასტერს უნდა დაემსგავსოს, და,
 თუ დარი დაუდგა, კიდევც ემსგავსება. რაკი ქა-

რთველი ჯვარს დაიწერს, მისი ყოფაქცევა ცო-
 ლთან იმნაირათვე მძიმე, უხალისო და თითქო
 უნდომია, როგორც მოვალეობის ასრულებდა.
 იმერელ კაცს უყვარს ქალი სიყვარულისთვის.
 ის ეარშიყება, ეთამაშება, ეხუმრება თავის საყ-
 ვარელს, თამაშობს და ათამაშებს, ხალისით, კა-
 სკასით, ტრფობით. კაცს ეგონება, აი, ნამდვილი
 გრძნობაო მაგრამ მისთვის ძნელი არაა, დაიფი-
 წყოს ხვალ დღევანდელი ტურფა, და ზეგ მყო-
 რეს უძღენას თავისი ალერსი, სიხარული, სიყვა-
 რული და კასკასი; ცოლი იმას სახლში დასამ-
 წყედევით როდი უნდა: ის მოკვდება, თუ ლა-
 ზათიანათ არ მოართო თავისი ცოლი, არ გაა-
 ტარ-გამოიტარა სოფელში, არ ეარშიყა და არ
 გაუხუმრდა, თითქო მის წინ ახალი, უცნობი
 ქალი იყოს, და არა მისი «თანამემცხედრე». ქა-
 რთველი კაცი თვითონ სტკბება თავისი ბედნიე-
 რებით, იმას სწყენს სხვისი თვალი, მისი ბედ-
 ნიერების სხვისგან დანახვა. იმერელი ბედნიერი
 არაა, სანამ სხვები არ ხედვენ მის ბედნიერებას,
 სანამ სხვებისთვის აშკარა არ არის მისი გრძნო-

ბა და ხალისი. მარტო, თავისი ცოლით, თავის
სახლში ის ტანჯვით გამოიღრჩობა, იმას მარტო
სადილის ჭამა, ქეიფი, დატკობა არ შეუძლია:
მისთვის ჰურ-ღვინოსავით საჭიროა, რომ მის
გარშემო ხალხი იყოს, ის ბედნიერია მარტო
ხალხში, როგორც ქართველი ბედნიერია მარტო
თავის დახმულ ოთახში...

:|:

როგორც სიყვარული იმნაირიც ენა, საუბარ-
რი. ქართველი ლაპარაკობს მტყუალთ, ნელა, და-
მჯდარათ, დალაგებით. მისი სიტყვა ზანტათ შორ-
დება თავას დაჩვეულ ყელს, თითქო გარეთ გა-
მოსვლა ეზარება. ქართველის ენა იღალება ერ-
თი სიტყვის თქმით, იმას დასვენება სჭირია. სა-
ნამ მეორეს მოძებნის და გამოთქვამს. მთელ
საუბარს სპარსული დალი, რითმა ატყვია: ის
ზანტი და წელ-მოწყვეტილია. სულ სხვანაირათ
ლაპარაკობს იმერელი. მის პირში სიტყვები ცე-
კეფენ, თითქო ერთი მეორეს ასწრებს დახმულ
ყელიდგან თავისუფალ ჰაერში გამოსვლას. სი-
ტყვის წყობილებას და სიტყვას გადასხვაფერებას

(ქლექსიებს) მეტის-მეტათ მხატვ კილო აქეთ იმერეთში, როგორც სპარსული და ქართული სიმღერა და მუზიკა, ისე ქართული სიტყვის წყობილებაც დაღონებული, ილაჯ-მოკლებული, მიძინებული და ზარის დამცემია. იმერული ლაპარაკი კი, იმერული სიმღერის არ იყოს, სულწასული, მომსწრე და მცეკვაფია; ამისგამო ქართველი იმერულ ლაპარაკს დაგრეხილ, ქაჯურ ენას ეძახის და იმერელი ქართულ ენას — წელმოწყვეტილს და მძინარეს.

∴

ნათქვამია, ხალხის ხასიათი მისი ქალის ზნით და ჩვეულებებით გაიცნობაო. თუ ეს აზრი ჭეშმარიტია, და ამ მხრით ქართველ და იმერელ ქალებს დაუკვირდით, ჩვენ დაფინახეთ, რომ ქირთლში და კახეთში ქალი მეტის-მეტათ ჩუმი და მო'ვენებულა ქმნილებაა. მის სიცოცხლეში და მის თვალში სიყვარული, აღერსი და გრძნობა აშაირივე მომბეზრებელი და აუცილებელი სენია, როგორც ყვავილი ან ხურება: რაკი იმას ამ სენის «მოსდას» დრო დაუდგება.

ცდილობს როგორმე მალე აიცილოს მისი «ბა-
 ტონობა», თავაზიანათ დედა-ბებიებიდგან დასწავლ
 სიტყვებს და გალობას ხმარობს, და რაც შეიძ-
 ლება მალე უბრუნდება თავის მოსვენებულ
 ტახტს, რაც შეიძლება მალე შედის თავის ნა-
 ჩვევ ცხოვრების კალაპოტში... ქორწილის შე-
 მდეგ, როგორც ქორწილამდი, ის გრძნობით და
 ტრფობით თავს როდი იწუხებს: იმას ზანტათ,
 უნდომათ, უხალისოთ უყვარს; ზანტათ, თითქო
 ძალდატანებით, იტანს ის ქმრის აღერსს, და
 მთქნარებით, მიძინებულ თვალით, დაზარმაცე-
 ბულ სხეულით უპასუხებს მის ცივს და ზარმაც
 სიყვარულს. ქართლში ცოლ-ქმრის ცხოვრება
 გამაძლარი კაცის უმადო და უბერიო ჭამას ემს-
 გაესება...

ამერელ ქალს ხალისი, სიცხოველე, კვლუ-
 ცობა და სიმარდე დედის მუცლიდანვე ებადება.
 რაგინდ ოსტატურათ თავდაკავებული იყოს იმე-
 რელო ქალი. მის ხტომია თვალეზზე და სქელი
 ტუჩების რხევაზე, მისი სხეულის მიხერა-მოხე-
 რაზე, ერთი სიტყვით, მის კანკებზე აშკარათ აჩ-

ნია, რომ ეს საუკეთესო არსება ღმერთს სიყვარულისთვის გაუჩენია. მეოჯახეობისთვის მოვლის იმერელ ქალს თავი არა აქვს. ამ საქმისთვის გაჩენილია ქართველი ქალი; მაგრამ საყვარლის, კავშირისა და შეილების ტრფობაში, ხალისში, საზოგადოებაში იმერელი ქალი სწორეთ და ნამდვილათ დარდიმანდია. და მისი ბუნება თითქო განგებ გამოჰკრილია ამ დანიშნულებისთვის: მისი პირთხელი სახე, მისი მაღალი, კლავნია და ნაზი ტანი, მისი ალით სავსე, მოთამაშე თვალები, მოცკვე, ვარდის ფერი, სავსე და მუდამ მხიარული, იმედით სავსე და იმედით აღმსებელი ღიმილი — სწორეთ ისე შეეფერება ამ სიყვარულისთვის დანიშნულ ქალს, როგორც ქართველი ქალის დაბალი, ჩასუქებული ტანადობა და სავსე, ზანტი პირის-სახე, მინამული თვლებით და მიწვრილებული ტუჩებით, შეეფერება მის შინაურულ დანიშნულებას...

:|:

მე არ მგონია, რომ ქვეყანაზე შესაძლებელია

იყოს უკილო და სრულიად «სრული» არსება, განსაკუთრებით მდებრობითი სქესის. ვისმე ამისთანა არსების სურათი რომ დასჭირდეს და მე მისი გამოხატვა მომიხდეს, ვეტყვოდი, რომ იმერელ ქალს — ქართველი ქალის შინაურობა, საოჯახო თვისება დაუმატეთ, ან ქართველს — იმერელი ქალის ალერსი და ხალისი, და თქვენ მაშინ ხელში სრული არსება გეყოლებათ. მეთქი.

საუბედუროთ, ბუნებას არ შეუზავებია ამ ჩემი პლანით ქართველი და იმერელი ქალის ხასიათი, და ეს განხეთქილება ქართლსა და იმერეთს შუა, ჩემი აზრით, მეტის მეტათ სამწუხაროა და ...

:|:

რაც უფრო მეტს აკვირდება კაცი ამ განსხვავებას ქართლსა და იმერეთს შუა, მით უფრო და უფრო გაკვირვებულია ის ერთიანათ. რას მოუხდენია ეს საკვირველი განსხვავება, რას დაუდევს ამნაირი ორპირი დალი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისთვის? მაგრამ როცა კაცი სურამს მო-



შორდება და კორტოხიდან იმერეთის ხეობას
 თვალს გადაკრავს, მამინვე მსწრაფლად უკა-
 სუხებს თავის თავს ამ კითხვაზე და იტყვის:
 «სურამის კორტოხსო». მართლაც, იმერეთის
 ბუნება მხიარული, ტყიანი, მწვანეთ აყვავებუ-
 ლი ბუნებაა; ამას თავის დღეშიაც არ შეხებია
 სპარსეთის მომსრესი და წამბილწველი ხელი. აქ
 არც ბუნება აუოხრებია სპარსელების სიხარბეს,
 არც ოჯახი გაუპატურებია მათ ბინძურ ბილ-
 წიერებას. იმერეთში ხეხილი, ტყე, მინდორი,
 ერთი სიტყვით, მთელი ბუნება ყოველგან ჰყვა-
 ეის, ყოველგან იმათ ქართული სული და ნია-
 ეი უდგამთ; არც ერთი ხე, არც ერთი მინდო-
 რი გამწვანებული და მოსრესილი არ არის,
 არც ერთ კაცს არ დაყოლია დედი მისის მუც-
 ლიდგან ტყვიის ფერი, ზანტი, მიბნედილი და
 მძინარე თვალეები, არც მწვანეთ, გაყვითლებუ-
 ლი პირისფერი, არც ზარმაცი ხელფეხი. სუ-
 რამის კორტოხს აუცილებია იმერეთისგან
 ეს განსაცდელი, თორემ, უიმისოთ, სპარსეთი
 აქაც დაუზოგველათ გამწვანებდა ბუნებას და
 დაამცირებდა ადამიანს.

:|:

მაგრამ, ასე ჩინებულათ დაცული ლეთის მხრით, ოსმალოები დასაველეთით დაბრძანდებოდნენ იმერეთში და როგორათაც სპარსელები, აოხრებდნენ ქართლსა და კახეთს. — ოსმალოს ხასიათი ცოტათი ნაკლებათ დარჩა იმერლების ძარღვებში, მაგრამ მაინც დარჩა, და ქართლსა და იმერეთს შუა, შედარებით, სწორეთ იმნაირივე განსხვავებაა, როგორიც ოსმალოს და სპარსეთს შუა. ოსმალო ქეიფის, ალერსის და ხალისის მოყვარეა. იმას მაჰმადი სწამს, მაგრამ მაჰმადზე უფრო მტკიცეთ მისგან დაპირებული «გურიები» სწამს, მათი მშენიერი გრძელი თმით, მათი ჟუჟუნა, მოცინარე თვალებით, ნაზი ტანის რხევით და სიყვარულით მოშაქრული ტუჩებით. ის მაჰმადის სარწმუნოებას ავრცელებს, მაგრამ უფრო იმისთვის, რომ ამ გავრცელებას მოადევს ამ ქვეყანაშივე გურიების მსგავსი ქალების შოვნა, მითვისება, მათი ალერსით დატკობა, მათი სიყვარულით გათფობა. ის «მართლმორწმუნეების» გამრავლებას სცდი-



ლობს, მაგრამ უფრო მეტი მონდომილია მათი სიმდიდრის შეძენაზე, ამიტომ რომ სიმდიდრე იმას გარემის გამართვის შეძლებას აძლევს. სპარსელი კი უფრო ცხელ ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილია, იმას უფრო სჩვევია ჭანატიზმი, სხვისი ცხოვრების მტყრევა, სხვისი რწმუნების ამოკვეთა. — როგორც კაცი, სპარსელიც ემონება ხოლმე სიამოვნებას, მაგრამ ის ყოველთვის გრძნობს მის უკანონობას; ამის გამო მისი უმთავრესი მიზანი ხალხის ამოქლეტა, დათურგენა, დამონებაა, ის სიამოვნებას როდი ეძებს, მაგრამ, როცა სიამოვნება მის წინ დგას, იმოდენა დონე არა აქვს, რომ სიამოვნებას მოშორდეს: ის ერთბაშით ეწაფება ამ სიამოვნებას, სურვილს იკლავს და მაშინვე უკან ბრუნდება, სტოვებს თავის სიამოვნების საგანს და ნამყოფს... ოსმალო ამას თავის დღეში არ იქნ: იმისთვის უმთავრესი მიზანი სიამოვნებაა, და როცა ის თავის სიამოვნების დამაკმაყოფილებელ საგანს პოულობს, როდილა სტოვებს ამ საგანს, იმას ის თან მიყავს, თავის საკუთარ სახლში, რომ

ხელაც, ზეგაც, გაისათაც ხელახლავ დატკბეს იმ სიამოვნებით, რომლის სამოვნელათ უფლია იმას შივი ზღვა, აჭარის მთები და გუჩიის გორები.

სპარსელებს იშვიათათ მიჰყავდათ ქართლელი ქალი... ოსმალოებმა კი მილიონებით გაზიდეს იმერეთიდან ახალგაზდა ლამაზი ქალები. ამისგამო იმერეთის მცხოვრებლების რიცხვი შემცირდა, მართალია, მაგრამ იმერეთის ხასიათს, იმერეთის სისხლს ნაკლებათ დატყობია ოსმალოების დალი. სპარსელების ხასიათის ბეჭედი კი მუდამ ჩვენ ოჯახებში რჩებოდა, ჩვენ სახლებში იზრდებოდა, — და დღესაც სჩანს ქართულ ცხოვრებაში...

⋈

იმერეთში ხშირათ ხმარობენ ერთ საუცხოვო ანდაზას: «ცოლი მყავს, მაგრამ წყალს გაღმა ჩემ მეზობელს ყავსო». მართალია, ეს ძნელი და სამწუხარო მდგომარეობაა. მაგრამ, მე ამაზე უარესი მდგომარეობაც გამიგონია: მაგალითად ის, როცა კაცს უნდა ეთქვა: «ცოლი



მყავს მაგრამ იმას ჩემ ოთახში ჩემი მეზობელი
 უწისოა.

... :::

... :::

მაგრამ იმერეთის ცხოვრებას ერთი საშინელი
 დალი დასმია, რომელიც, საქართველოს საბედ-
 ნიეროთ, ასცილებია ქართველი კაცის ყოვლად
 დატანჯულ და ყოვლის ამტან წარსულ ცხოვ-
 რებას. ეს დალი დაუკრავს იმერეთის ხასიათზე
 ოსმალელების და მათში გარეული ბერძნების ქალა-
 ჩუნობას, პირმოთნეობას და ფარისევლობას. ეს
 უბედური, მანებელი თვისება რომ არ ჰქონდეს
 მის ხასიათს, მისთანა მშვენიერი და სასიყვარუ-
 ლო არსება არსად იქნებოდა ქვეყანაზე. ხშირათ,
 როცა მე მშვენიერს, ბუნებით ჰკუიანს, ბასრი,
 გამჭრიახე გონების და გამბედავი ხასიათის იმე-
 რლებს ვაკვირდები, როცა მე მათი ხალისით
 და მოძრაობით ვსტკბები, ვფიქრობ, რა საჭი-

როა ამისთანა ჩინებული და გონიერი ხალხის-
თვის ეს ორპირი ენა, ეს ქალაჩუნობა, ურომა
ლოთაც იმას წინათვე მოგებული აქვს ყოველი
კაცის გული და გრძნობა, პატივის-ცემა და სი-
ყვარული? რას უმატებს იმათ, ვითომ, ეს პირ-
მოთნეობა, სიყვარულის თხოვნა, როცა უი-
მისოთაც მზათაა კაცი შეიყვაროს ეს მშვენიერი
ხალხი და პატივის-ცემით, რითაც კი შეუძლია,
ხელი გაუწყოს მის მოძრავ და მხიარულ ცხოვ-
რებას?...

:|:

ასე, ხშირათ, მშვენიერი, სიცოცხლით და სი-
ლამაზით საესე იმერელი ქალი, ჟინჯლილივით
ანთებული, ვარდისფერი ემხით და ლაზათით,
დაუზოგველათ იცნებს თავის ახალგაზდა პირის-
სახეზე საძაგელ, ყვითელ უმარილს და აგურის-
ფერ, უხეირო, უმნო ფერს, რომელიც სრულიად
ღუპავს მისი მშვენიერი თვალების სხივს და პი-
რის-სახის სიცხოველეს...

ნ. ხკანდელი.

9 მაისი, 1871

ქუთაისი

სელის-მოწერა «კრებულზე»

მიიღება



ეროვნული

ბიბლიოთეკა

თფილისში — ღუბელირის (გ. წერეთლის და ამხ). სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვას სახლებში და «დროების» რედაქციის კანტონაში, ძელიძე-შვილის სტამბაში.

ქუთაისში — გ. კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ი. მესხთან (ხილაზე).

სელ-მოსაწერი ფასი

ერთის წლისა

გაგზავნით 6 მან.

გაუგზავნელათ 5 მან.

ნახევარი წლისა

გაგზავნით 3 მან.

გაუგზავნელათ 2 მან. და 50 კაპ.

თითო წიგნი ათ შაურათ ღირს.

წინც «დროებაზე» და «კრებულზე» ერთათ მოსაწერს სელს, იმათთვის რჩივე თუმნათ ეღირება. წლეკანდელ «დროების» სელის-მომწერლებს შეუღლიანთ 3 მან. გამოგზავნონ კიდევ, ამ წლის «კრებულის» მიღებაც თუ სურთ.